ელენე ბლავატსკაია

მდუმარების ხმა

თბილისი 2011
“გეორგიკა”

UDC(უაკ) 17
ბ-74

წიგნი თარგმნა და
გამოცემისთვის მოამზადა
თ.თავაძემ

ISBN 978-9941-0-3989-8

ეს წიგნი ყოველი რელიგიის საიდუმლო შინაარსს შეიცავს და ყოველი რელიგიის სათავეა უხსოვარი დროიდან მოსული. იგი ღმერთების დაწერილია იმ დროს, როდესაც ისინი ადამიანთა შორის ცხოვრობდნენ, ამიტომ ამ წიგნში, ქრისტიანები ქრისტიანობას დაინახავენ, მხოლოდ სხვა ტერმინებითა და სახელწოდებებით. ასევე, ნებისმიერი სხვა რელიგიის წარმომადგენელი იცნობს მასში თავის რელიგიას, მაგრამ სხვა სახელწოდებებით, მცნებებით, ტერმინებით და აღმოაჩენს მის რელიგიაში არსებულ სიბრძნის განსხვავებულ წყაროს.

ასე რომ, ეს წიგნი მსოფლიოს რელიგიათა სათავეს ასწავლის ადამიანებს და მათსავე, კერძო რელიგიის აღმსარებლობის საკითხებშიც დაეხმარება, როგორც პრაქტიკულად, ისე რელიგიის უკეთ გასაგებად!



ყველაზე მძიმე შემოქმედება -
საკუთარი თავის შემოქმედებაა!

სარჩევი

1. შესავალი 6
2. მდუმარების ხმა (ნაწყვეტი პირველი) . . 58
3. ორი გზა (ნაწყვეტი მეორე) 80
4. შვიდი კარი (ნაწყვეტი მესამე) 104
5. შენიშვნები 136
6. იესოს “მდუმარების ხმა” პირადი გზა . . 176

შესავალი

“მეცნიერება რელიგიის
გარეშე – კოჭლია,
რელიგია მეცნიერების
გარეშე – ბრმა”
/ა.აინშტაინი/

თქვენს წინ უნიკალური წიგნია. იგი კაცობრიობის უხსოვარი დროის წიაღიდან მოდის. მან გაიარა და გარდაქმნა მრავალი ისტორიული ეპოქა და ცივილიზაცია, შექმნა უნიკალური კულტურები. გამოიყენებოდა რა, როგორც სახელმძღვანელო საიდუმლო ეზოთერულ სკოლებში, მან უდიდეს ადამიანთა გულების გაბრწყინებით, უცნობ თუ ცნობილ ისტორიულ ქურუმთა თუ ფარაონთა შემოქმედებით გააბრწყინა ძველი ეგვიპტე. ამ წიგნის, “მდუმარების ხმის” მადლით ბრწყინავდნენ ბაბილონი თუ ასურეთი, სპარსეთი თუ ინდოეთი და რა თქმა უნდა, მისი უდიდებულესობა – ელადა. ოცი საუკუნის განმავლობაში საბერძნეთში ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ტარ-

დებოდა ელევზინის მისტერიები და მთელი მსოფლიოს განდობილები თუ საკრალური ცოდნის მაძიებელნი იკრიბებოდნენ იქ "მდუმარების ხმის" მოსასმენად. იქ, იმ საბერძნეთში დაგროვდა და გადამუშავდა ინდური ფილოსოფიის ძნელად გასაგები სისტემები და შედეგად ამისა, ის ჩამოყალიბდა, როგორც ერთიანი, მეტად დახვეწილი **კომპენდიუმი** (კრებული) მსოფლიოს ყველა უმთავრესი ფილოსოფიური სისტემებისა. უკვე 24 საუკუნეა მას შემდეგ, რაც პლატონი ამ ქვეყნად აღარაა, მაგრამ მსოფლიოს ყველა უდიდესი მოაზროვნე დაკავებულია მისი შემოქმედების შესწავლით. ცნობილია გამონათქვამი, რომ მსოფლიოს ერთი პლატონიც კი ეყოფოდაო და ეს მართლაც ასეა, რადგან იგი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იყო მსოფლიოს ყველა საიდუმლო ჭეშმარიტებათა აბსოლუტური განმმარტებელი. ეს უდიდესი, ქრისტიანობის ეპოქამდელი ფილოსოფოსი ზუსტად ასახავდა თავის შემოქმედებაში ძველინდური, ვედური ფილოსოფიის სულიერებას და ყველა სხვა, წინათ არსებულ

ღრმა მსოფლიო ფილოსოფიურ ცოდნას. ამიტომაა, რომ იგი ზუსტად გადმოგვცემს ჩვენ ძველი ცივილიზაციების მეტაფიზიკურ შეხედულებებს.

მეტაფიზიკა – ეს არის ის საიდუმლო სამყაროსეული ცოდნა და ხედვა ბუნებისა და ღმერთისა, რომელსაც "მდუმარების ხმის" ყოველი ბოლომდე მიმდევარი მაძიებელი ეზიარება, თუმცა მეტაფიზიკის განმარტება თავისთავად უკვე მისი უდიდებულესობის – აბსოლუტური ჭეშმარიტების მოპოვების გზას წარმოადგენს. *ზუსტად გრძნობათმცოდნეობის მარადიული ჩაღრმავება წარმოადგენს რეალურ მეტაფიზიკასაც და ტრანსცენდენტალობასაც. ამაშია ევოლუციის მიზანიც და მსოფლიოსა თუ მთელი სამყაროების უსასრულო მრავალგვარგმილიანობის არსიც.* ***<u>ყოველი შემდგომი ნაბიჯი განპირობებულია გარკვეული გეგმილის სრული წვდომის შედეგად შეძენილი იმ ახალი ფაქტებითა და საშუალებებით, რომლებიც ახალი, უფრო წვრილი გეგმილის ფაქტებსა და აღმოჩენებში გარკვევის უნარს იძლევიან</u>***.

პლატონისა და ინდოეთის ძველი ბრძენკაცებისათვის ერთნაირად გახსნილი იყო ერთი და იგივე სიბრძნე – ტრანსცენდენტალური მეტაფიზიკა, რომელიც "მდუმარების ხმის" გზაზე შეიძინება და თუ ამ სიბრძნემ დროის ამგვარ გამოცდას გაუძლო ათასწლეულების მანძილზე, მაშინ როგორი უნდა იყოს ეს სიბრძნე, თუ არა მარადიული და ღვთაებრივი? დასტურად ამისა შოთა რუსთაველის ერთი გამონათქვამიც კი კმარა: "...პლატონისგან სწავლა თქმულსა...". დიახ, შოთა რუსთაველის ნაწარმოები მთლიანადაა მიმართული ინდოეთისაკენ და იწყება იგი, – ***"იყო არაბეთს როსტევან"***-ით არაბეთში, გასდევს სპარსეთს: ***"ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანევი..."*** და ბოლოს მიდის ინდოეთის უძველესი მითოლოგიის უძველესს პირველ ***"ვეფხის ტყაოსნის" ღმერთთან – შივასთან.***

მკითხველს არ უნდა შეექმნას ისეთი წარმოდგენა, თითქოს ფილოსოფია და კონკრეტულად კი თქვენი ყურადღებისათვის განკუთვნილი წინამდებარე წიგნი – "მდუ-

მარების ხმა" – განყენებულ, პრაქტიკულად გამოუყენებელ აბსტრაქტულ ფილოსოფიას წარმოადგენდეს; არამც და არამც. ფილოსოფია და კონკრეტულად კი – ბერძნული ფილოსოფია გვიჩვენებს იმას, თუ როგორ გარდაქმნა მან თავისი კულტურით მთელი მსოფლიო. უფრო მეტიც, საბერძნეთის ფილოსოფიური აზროვნების განვითარებასთან ერთად, ჩვენ ნათლად ვხედავთ არაჩვეულებრივ ისტორიულ პროცესს: ფილოსოფიურ აზროვნებასთან ერთად ყალიბდებოდა საბერძნეთი, ბერძნული კულტურა, ბერძნული ცივილიზაცია და მისი მსოფლიო მასშტაბის ღირებულების მქონე ისეთი სულიერი ფასეულობანი, როგორებიცაა ხუროთმოძღვრება და მისი უდიდესი შედევრები – პართენონი, მათემატიკა და პითაგორეიზმი, ჰიპოკრატეს მედიცინა, არისტოტელეს გენია... ამ გენიის მრავალ ნაყოფთა შორის არის სახელმწიფოს უკეთილშობილესი ახალი ***პოლიტოლოგია*** და მასთან ერთად მრავალი სხვა უნიკალური არსი იმ წარსული ცივილიზაციისა, რომელიც მთლიანად ფილოსოფიის ნაყო-

ფია, რამეთუ ფილოსოფია ყველა მეცნიერებისა და რელიგიების დედაა. დღეს ჩვენ მის ერთ-ერთ ღირებულებას – დემოკრატიას ვნერგავთ, მაგრამ დემოკრატიას შეუმჩნევლად მოჰყვებიან ამ უდიდესი ცივილიზაციის სხვა სულიერი თუ ზნეობრივი ის ღირებულებანიც, რომლებსაც დაინახავს ცივილიზებული, განათლებით განვითარებული გონება. ამის საუკეთესო მაგალითია საქართველო. ჭეშმარიტი დემოკრატიის მოსვლასთან ერთად, საქართველოში ერთგვარი რენესანსი დაიწყო. დაკვირებული ადამიანი იოლად გაშიფრავს მომავალი საქართველოს მეორე ათწლედის, დაწყებული 2013 წლიდან, განვითარების ახალ, არნახულად გაბედულ სპირალს...

დიახ, ფილოსოფია ყოველ, დღეს დაცემულ და დაკნინებულ უბრწყინვალეს იდეას უბრუნებს ძველებურ ღირებულებასა და ელვარებას იმით, რომ ისტორიულად ღირებულ, მაგრამ გაუკუღმართებულ წარმოდგენებს მოაცილებს წარსულის ზედნადებს და აღადგენს რა მათ დავიწყებულ შინაარსს, კვლავ იყენებს მათ ცხოვრებაში სიცო-

ცხლისა და ცივილიზაციის სამსახურისათვის. დასტურად იმისა, რომ "მდუმარების ხმამ" ადამიანთა განვითარება მოიტანა, რომლებიც, თავის მხრივ, საზოგადოებებზე და მთელ ცივილიზაციებზე მოქმედებდნენ, ჩვენ ერთ-ერთი უდიდესი განდობილის, არისტოტელეს მრავალფეროვანი შემოქმედებიდან ერთ-ერთ, ასევე უბრწყინვალეს, ღვთაებრივი განზომილების შემოქმედების ნაყოფს – პოლიტიკის არისტოტელესეულ ხედვის შესახებ მოგახსენებთ. ეს მცნება და დარგი მან გააღმერთა და ძველი საბერძნეთის ცივილიზაციის სივრცეში მისი განმტკიცებით პრაქტიკული ძლევამოსილება და დღეგრძელობა შესძინა ძველ ელადას. აი, მისი გამონათქვამი პოლიტიკის შესახებ: "უზენაესი და უკეთილშობილესი ხელოვნებათა შორის – პოლიტიკაა". ის, თუ რამდენად მასშტაბურად და უკიდეგანო შინაარსით მოიაზრებდნენ ბერძნები პოლიტიკას, ჩვენ ისევ არისტოტელეს, ამჟამად უკვე სხვა, ასევე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, უბრწყინვალესი გამონათქვამიდან უნდა დავინახოთ: "ყოველთვის ფრთხილად

უნდა მოვეკიდოთ ცხოვრებაში ახალი ტიპის მუსიკის შემოტანას, როგორც სახელმწიფოსათვის შესაძლო საფრთხეს, რადგან მუსიკის სტილის შეცვლა პოლიტიკური წყობის უმნიშვნელოვანეს ასპექტებზე ზეგავლენის უნარის მქონეა." გასაგებია, რომ პოლიტიკა სახელმწიფოს ტოტალურ საკითხს წარმოადგენდა იმდენად, რომ ყოველ მოქალაქეს, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულს, ერქვა "პოლიტიკოს" და საზოგადოებრივ საქმიანობიდან განდგომილს კი – "იდიოტიკოს"...

რა თქმა უნდა, სამყაროში მიმდინარე მიქცევ-მოქცევის ციკლური პროცესების თანახმად ხდება ჭეშმარიტების გაბრწყინება, შემდეგ მისი გაუკუღმართება და ა.შ. ამიტომაა, რომ ძველბერძნული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი საკაცობრიო ღირებულების მქონე იდეა – დემოკრატია მთელს დედამიწას აერთიანებს დღეს.

გადაიარა დრომ. კეთილშობილება დაეცა და დაეცა ისე, რომ დემოკრატიის – ულამაზესი პოლიტიკის სანაცვლოდ, ჩვენ მივიღეთ მისი ანტიპოდი – მაკიაველის პოლი-

ტოლოგია, რომლის იდეოლოგია მის ნაწარმოებში, – "მთავარი", – არის ჩამოყალიბებული.

ეხლა, მსოფლიო ხელახალი აღორძინების ხანაში შედის და ახალი პოლიტოლოგია – დემოკრატიული ღირებულებები კვლავ იკიდებენ ფეხს ადამიანთა აზროვნებაში. მაკიაველის "მთავარი" და არისტოტელეს ეთიკური პოლიტოლოგია სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჯიდნენ ერთმანეთს ჩვენს თვალწინ, ჩვენსავე დღევანდელობაში. ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ამ მრავალსაუკუნოვანი ორთაბრძოლის დასასრული...

ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ დაიწყო. ცნობილია, რომ ბოროტებას დასაწყისი არა აქვს, სამაგიეროდ, მას აქვს დასასრული. სიკეთეს აქვს მხოლოდ დასაწყისი და დასარული კი – არა. ასე, რომ მაშინ, როდესაც ბოროტება უნდა დამთავრებულიყო, მაშინ რუსეთი, ანუ სსრკ, ცდილობდა რა ნავთობის ბიზნესში მუქთად ნაშოვნი ფულით მთელი მსოფლიოს ეკონომიკის საკუთარ სატელიტად მორგებას იმით, რომ ნავთობის გაყიდვით მთელს მრეწველობას მილი-

ტარიზაციის რელსებზე გადაიყვანდა და თვითონ კი მსოფლიოს სამეურნეო მრეწველობის ბაზარზე ნაშოვნი პროდუქტით მოამარაგებდა თავის ქვეყანას. ისე ტოტალურად მიმართა "სსრკ"-მ თავისი ბიუჯეტი სამხედრო პოტენციალში, რომ პურის იმპერია უპუროდ დარჩა, თუმცა კი ვერ გრძნობდა იმას, რომ ამით იგი მსოფლიოს პარაზიტად, და არა მბრძანებლად, გადაიქცა. აი, მაშინ გადაწყდა ამ მახინჯი მექანიზმის მოშლა და გათავხედებული ქვეყნის დასჯა.

აშშ-მ და არაბულმა ქვეყნებმა მოილაპარაკეს და ორმხრივად, ურთიერთსასარგებლო პირობებით დადეს ხელშეკრულება და ხელოვნურად დააგდეს საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი. ნავთობის გაყიდვით "სსრკ"-მ ვეღარ შეძლო ვეღარც სახელმწიფოს სამხედრო ბიუჯეტის უზრუნველყოფა და ვეღარც სურსათის უცხოეთიდან შემოტანა. ხელფასების გაცემა აუცილებელი იყო, სოფლის მეურნეობა ამ უზარმაზარ დაუბალანსებელ ფულს კი ვეღარ უზრუნველყოფდა და... ბოლოსდაბოლოს, ამ გიგანტურ ქვეყანას მოეღო ბოლო.

ამ საერთაშორისო პოლიტიკის ავტორები უკვე აღარ არიან ცოცხლები, თორემ მათ პირველებს ეკუთვნით მსოფლიოს მშვიდობის ნობელის პრემიები. აქ გავბედავ და შემოვიტან აზრს მესიანობაზე: ვინც ეს გეგმა განახორციელა, მან ცხოვრებაში მესიანური მისია შეასრულა.

ჩვენს თვალწინ იბადებიან მესიანური მისიის მატარებელი პიროვნებები და მათ დანახვა და გააზრება ესაჭიროებათ. მოვლენები ითხოვენ ისტორიული პროცესების ახლებურ ხედვასა და შეფასებას. აი ამიტომ, "მდუმარების ხმის" ფუნდამენტური მოძღვრება, – ცოცხალი ეთიკა, – შემოდის

ცხოვრებაში, – ახალი პოლიტოლოგია ხომ მთლიანად არისტოტელეს უკეთილშობილესი პოლიტიკის უზენაეს ხელოვნებას ნიშნავს და... აი, დაიბადა ახალი მესია – ნურსულტან ნაზარბაევი. მან პირველმა იწვნია პოსტსაბჭოური სივრცის მთელი სიმახინჯე მოშლილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების, დანაშაულებრივი კლანებისა და აღვირახსნილი ბანდიტიზმით დასნეულებული ქვეყნის სახით და... მოსპო დანაშაული, ჩამოაყალიბა ახალი, უბრწყინვალესი ყაზახეთი, ააყვავა იგი, შესძინა ახალი დედაქალაქი – ***ასტანა*** და დღეს, მთელს მსოფლიოში, ხელისუფალთა საერთაშორისო დონეზე ნერგავს ცოცხალი ეთიკის არისტოტელესეული, ძველბერძნული დემოკრატიის სილამაზეს ცოცხალი ეთიკის სახით. მან, სწორედ მან გააუქმა ატომური იარაღის გამოსაცდელი პოლიგონები და მრავალი სხვა სამშვიდობო ღონისძიება გაატარა საერთაშორისო საზოგადოების სასიკეთოდ, რითაც იგი მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატობის რეალური კანდიდატი ხდება, რომელსაც კაცობრიობა ახალი, ცოცხალი

ეთიკის წარმომადგენლის სახით დააჯილდოვებს.

ნაზარბაევს, თავისი უშედავათო ბრძოლით, კვალში უდგას მეორე, მეორე, მაგრამ უფრო მეტი და არანაკლები მესია – სააკაშვილი. მან მკვდარი, მძორად ქცეული ქვეყანა გადაარჩინა, არნახულად ააყვავა და გარდაქმნა, ზღაპრული მომავალი ჩაუყარა მას საფუძვლად და თუ ნაზარბაევს არა მხოლოდ ერის, არამედ მსოფლიოს წინაშეც აქვს დამსახურება, რაც, იმედია, ნობელის პრემიის ლაურეატობას მოუტანს მას, სააკაშვილს ასევე ერის წინაშე აქვს

უზარმაზარი დამსახურება და კიდევ უფრო მეტი დამსახურება კაცობრიობის წინაშე. მხოლოდ ამ ყველაფერს სჭირდება აღმოჩენა, დანახვა, გააზრება და აი, მაშინ გამოჩნდება მეტი სიცხადით მისი არნახული დამსახურებაც და ქართველი ერის ისტორიული მისიაც, რომელიც მან 2008 წლის ომში რუსეთთან ისევე აღასრულა მსოფლიოს წინაშე, როგორც თავის დროზე მეფე დავით აღმაშენებელმა, დიდგორისა და სხვა ბრძოლებით...

დიახ!

...ნავთობისა და გაზის პოლიტიკაში სსრკ–ს მარცხის შემდეგ, რუსეთი კიდევ ერთხელ ცდილობს მაკიაველისეული მზაკვრული პოლიტიკით მსოფლიოს საბოლოოდ დამორჩილებას და უკვე უკრაინაზე გამავალი გაზის სტრატეგიაზე ამყარებს თავის გეგმებს. არანაირი შეზღუდვები ევროპასთან ურთიერთობაში... ევროპა ნდობით ღებულობს რუსეთის გაზს და... ევროპას ვერ წარმოუდგენია, რომ ამ ცივილიზებულ საუკუნეში დასაშვებია აქამდე გაუგონარი მზაკვრობა. ევროპას ისიც

დაავიწყდა, რომ რუსეთი არ სწყალობს დემოკრატიულ ღირებულებებს და უწინდებურად ტოტალიტარიზმს უმიზნებს. რუსეთი უარს ვერ ამბობს მსოფლიოზე ჰეგემონიის მზაკვრულ გეგმებზე. მას სურს მთელი თავისი მილიტარიზებული მრეწველობის შენარჩუნება... ვითომ უკრაინასთან კონფლიქტის გამო, 2007 წლის ზამთარში რუსეთი განახორციელებს ღრმად დამუშავებულ და ძალზედ შორს მიმავალ პროვოკაციას: ევროპის დასაპყრობად "სასუნთქ არტერიაზე" – უკრაინის გაზსადენზე "ფეხის დაბიჯებას." პროვოკაცია გამოუვიდა, პუტინმა დაინახა, რომ ევროპას გაზით დაიპყრობს...

...აი აქ, მოლაპარაკებათა და ხელშეკრულებათა იმედზე დარჩენილი მსოფლიოს მმართველი ელიტა, მთლიანად უყურადღებოდ ტოვებს თავის სასიცოცხლო არტერიებს უკრაინასა და კავკასიაში და მშვიდად მიემგზავრება ჩინეთში ოლიმპიურ თამაშებზე პუტინთან ერთად... მოვა დრო და პუტინისა და იმპერიული რუსეთის ეს ამაზრზენი ფანდი მსოფლიოს მსჯელობის

საგანი გახდება. ფაქტიურად, ისე როგორც თავის დროზე ოსმალეთის იმპერია ავსტრიის დედაქალაქის, ვენის კარს იყო მიმდგარი და ევროპა განწირული იყო, ახლაც ზუსტად ასე, რუსეთი იდგა ევროპის საზღვრებთან და ერთი დარტყმით აპირებდა "მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი პოლიტიკური კატასტროფის" – სსრკ-ს დაშლისათვის მსოფლიოსთან რევანშის აღებას. დავით აღმაშენებელმა და მისი ეპოქის საქართველომ გადაარჩინეს ევროპა და მაშინდელი მსოფლიო. ასე მოხდა 2008 წლის აგვისტოშიც. მე ვადასტურებ, რომ 2008 წელს საქართველომ და მისმა ხელისუფალმა – სააკაშვილმა, გაუგონარი, ელვისებური მსოფლიო ომი გადაიტანა და შეერკინა რა რუსეთს, დაამარცხა იგი, სწრაფად დაიხია უკან, განგაშის ზარი შერისხა და მსოფლიო გამოაფხიზლა.

მიხვდა მსოფლიო ყოველივეს... გამჟღავნდა ფარული მზაკვრობა და მთელი დედამიწა ერთ მუშტად შეიკრა საქართველოსთან ერთად: ***სულ რამდენიმე დღეში დასრულდა ცხელი, მესამე მსო-***

ფლიო ომი საქართველოს გამარჯვებით და ამით უკვე მეორედ გადაურჩა მსოფლიო, ამჟამად რუსეთისგან რუსული გაზითა და ნავთობით დაპყრობის პოლიტიკას.

2008 წლის აგვისტოს ომი, მსოფლიოს სამხედრო გიგანტსა და ახალშობილ, პატარა, მაგრამ მუდამ თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს შორის – თავისი ვადებითა და უმცირესი დანაკარგებით – უპრეცედენტოა მსოფლიოს ისტორიაში!

მიხეილ სააკაშვილი ასეთი საერთაშორისო დამსახურების გამო იმსახურებს მშვიდობის ნობელის პრემიას და წარდგინება უკვე გაკეთებულია წიგნით: "***Новая политология или мир объединяется***".

როგორც ხედავთ, "დუმილის ხმის" ზემოქმედება როგორც ადამიანებზე, ისე ერებსა და კაცობრიობის ისტორიაზე – გრანდიოზულია. იგი შეუმჩნევლად ზრდის ცალკეულ ადამიანებს, რომლებიც, თავის მხრივ, ზემოქმედებენ საზოგადოებაზე და ისტორიულად ასე მიმდინარეობს ევოლუცია

ჩვენს დედამიწაზე.

დავუბრუნდეთ სათაურში მოყვანილ ეპიგრაფს. ჩავეკითხოთ ძველ ფილოსოფოსებს იმის შესახებ, თუ რა იციან მათ მეცნიერებისა და რელიგიის შესახებ: ნუ შევეხებით წვრილმანებს, მხოლოდ კი მთელი სიგრძე-სიგანით გავიაზროთ ეს ორი, აინშტაინისეული ტყუპისცალი – მეცნიერება და რელიგია, რომლებიც, თურმე, ასე სუსტები ყოფილან ცალ-ცალკე და ესოდენ ძლევამოსილნი, თუკი მათ პლატონისეულად შევაერთებთ.

"მდუმარების ხმა" საშუალებას იძლევა, სარგებლობა მივიღოთ ორივე, ასე გათიშული ტყუპისცალისაგან – რელიგიისა და მეცნიერებისაგან. ყოველ შემთხვევაში, ორივე ერთად, პასუხს გასცემს კაცობრიობის მიერ დასმულ ყოვლად მართებულ და კანონიერ, სანუკვარი ოცნებით აღვსილ ერთადერთ შეკითხვას: "არსებობს თუ არა უკვდავება?"

ამ წიგნის ძირითადი დანიშნულება არის ადამიანის ქრისტეში განთავისუფლება, ამიტომ, მხოლოდ ამ შემთხვევაში, იბადება ბუნებრივი კითხვა: როგორ შეიძლება ამ

უზენაესი თავისუფლების მიღწევა, თუკი არ არის გაცნობიერებული ის, თუ რაა ბოროტება, მისი ძირი და წარმოშობა, რისგანაც ასე დაბეჯითებით ვცდილობთ თავის დაღწევას. ასე, რომ აუცულებელია ბოროტების, როგორც სიკეთის ანტიპოდის, მოვლენათა გაცნობიერება. თუ მსჯელობის საფუძვლად ავირჩევთ ძველინდური სიბრძნის ფორმულას, მაშინ შესაძლებელი ხდება სამყაროში ბოროტების გაჩენის ახსნა. ძველი სიბრძნე კოსმოსში ევოლუციისა და სიცოცხლის გაჩენას უკავშირებს არსებული პირველსაწყისი ერთიანობის – ჰომოგენობის (ერთგვაროვნების) გახლეჩას და ამ ერთიანობის სიმრავლეში, ჰეტეროგენობაში (მრავალფეროვნება) გარდასახვას, ანუ დიად ილუზიაში ერთიანობის გადასვლას. ამგვარი ტრანსფორმაციის შედეგად გაჩნდა ის, რასაც ჩვენ ვეძახით ბოროტებას და იმ დღიდან დაწყებული, იგი შეუზღუდავად მართავს ამ ჩვენს "*ცოდვით სავსე ქვეყანას*". ეს უდიდესი მეტაფიზიკური პრინციპია.

რა გასაკვირია ის, რომ მხოლოდ უმეცრება აღუდგება მტრად ამ უძველეს სიბრძნეს და

ამგვარი უმეცრება ცნობილია, როგორც მატერიალისტური პესიმიზმი, რომელიც არც მეცნიერებას და არც ფილოსოფიას არ წარმოადგენს, რადგან იგი უაზრო და უშინაარსო სიტყვების ნიაღვარია. აი, რას ამტკიცებს უმეცარი პესიმიზმი: "ეს (გადასვლა) – პრინციპული შეცდომაა, ის პირველსაწყისი ცოდვა, რომელიც მთელმა სამყარომ უნდა დაფაროს და მოინანიოს დიდი ტანჯვის ფასად. ზუსტად ამ ცოდვამ, რომელიც ყოველი სიცოცხლის დასაბამს წარმოადგენს, გააჩინა ჩვენს სამყაროში ზღვა ტანჯვისა და უბედურებებისა და ამ საშინელებებისაგან თავის დაღწევის ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ გაეცალო ამ ცხოვრებას და ბოლო მოუღო მას"; რა თქმა უნდა, ეს განცხადება წარმოადგენს უაღრესად მცდარ და დანაშაულებრივ აზრს, ეხება ეს "სიბრძნე" მთელს კოსმოსს თუ რომელიმე ცალკე აღებულ, კონკრეტულ ცხოვრებას. აღმოსავლური პანთეიზმი, რომლის ფილოსოფიაც ასწავლის ყოფნის, ანუ არსებულის განპირობებული არსებობისაგან გარჩევას, არასოდეს დაეცემა ზემოაღნიშნული პე-

სიმიზმის ესოდენ აბსურდულ მტკიცებამდე. აღმოსავლელმა პანთეისტმა იცის, რომ შეიძლება მოსპო ფორმა, და არა ყოფნა, და ისიც მხოლოდ მიწიერ, ილუზორულ გეგმილზე. მისთვის კარგადაა ცნობილი, რომ როდესაც ***ტანჰას*** (სურვილებს) სპობს, იგი ამის შედეგად თავისუფალი ხდება შემდეგი, დაწყევლილი დაბადებებისაგან, რაც იგივეა – რეინკარნაციების აუცილებლობებისაგან, ანუ იგი თავისუფალი ხდება განპირობებული არსებობისაგან. მაგრამ მან ასევე კარგად იცის, რომ მას არ შეუძლია მოსპოს, ანუ "*ბოლო მოუღოს*" თუნდაც თავის პატარა ცხოვრებას, გარდა საკუთარი პიროვნებისა, რაც სინამდვილეში სულის გარშემო სამოსელის გამოცვლის მაგვარ პროცესს ნიშნავს. მას სწამს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება – მარადიული ყოფნა, ანუ სწამს მხოლოდ ის "მიზეზი, რომელსაც მიზეზი არ გააჩნია", რომლიდანაც მან თვითონ გამოაძევა საკუთარი თავი ამ ფორმათა სამყაროში, სადაც იგი აღიქვამს და განიხილავს კიდეც ამ სამყაროს წარმავალ და დროებით ფორმებს – მაიას (ილუზიას

და ცვლილებებს) – უდიდესი ბოროტების სახით. მაგრამ, ყოველივე ამასთან ერთად, მან ისიც იცის, რომ ეს განვითარების ბუნებრივი პროცესი მისთვის ისევე გარდაუვალია, როგორც მშობიარობის ტკივილი. ყოველივე ეს მხოლოდ საშუალებაა, რომელთა დახმარებით იგი შეზღუდული, განპირობებული, ტანჯვით აღვსილი ცხოვრებიდან გადავა იმ მარადიულ, აბსოლუტურ ყოფნაში, რომელიც ასე ზუსტად აიხსნება სანსკრიტული სიტყვით **სატ**(ცნობიერება). ფილოსოფოსისათვის, რეალურად, არსებობს მხოლოდ ერთადერთი სიცოცხლე – ნირვანას ნეტარება, თვისობრივად განსხვავებული მდგომარეობა, და არა მხოლოდ ხარისხით, ცნობიერების სხვა რომელიმე გეგმილისაგან ამ გამოვლენილ სამყაროში. პესიმისტისათვის ნირვანა სიცრუეა და უაზრობა, რადგან იგი მას "სიცოცხლის დასრულებად" თვლის, იმ სიცოცხლის დასრულებად, რომელიც მისთვის მხოლოდ აქ, ამ დედამიწაზე იბადება და კვდება. მაგრამ უდიდესი ბრძენი და ფილოსოფოსი ***გაუტამა ბუდდა,*** რომელმაც საკუთარი თავი მსხვე-

რპლად შესწირა კაცობრიობას, ცხოვრობდა მხოლოდ იმისთვის, რათა გადაერჩინა იგი და ასწავლიდა ადამიანებს იმას, რომ გრძნობების მეშვეობით აღქმადი მატერიის არსებობაში დაენახათ ტანჯვა. მაგრამ მისი ღრმა ფილოსოფიური აზრი არასოდეს, თუნდაც მინიშნების სახით მაინც, არ შეიცავდა მითითებას თვითმკვლელობისკენ წასაქეზებლად. მთელი მისი ძალისხმევა მიმართული იყო იმისაკენ, რომ გაეთავისუფლებინა კაცობრიობა სიცოცხლის მიმართ ზედმეტი მიჯაჭვულობისაგან, რადგან მიჯაჭვულობა ეგოიზმის ძირითად წარმომშობ მიზეზს წარმოადგენს და ეგოიზმი ხომ ტანჯვისა და ტკივილის მშობელი დედაა. თვითონ ბუდდამ მიბაძვის მტკიცე და ღირსეული მაგალითი დაგვიტოვა და ისე განვლო თავისი ცხოვრება, რომ არასოდეს უცდია, გაქცეოდა მას. მისი სწავლება გვიჩვენებს, რომ ბოროტება მატერიას კი არ ახასიათებს, იმ მატერიას, რომელიც მარადიულია, არამედ ილუზიას, რომელიც მატერიისაგანაა წარმოშობილი. ამავდროულად ბოროტება არა მხოლოდ

გარდაუვალია, არამედ აუცილებელიცაა. ბოროტების სიკეთისაგან, ბნელის ნათელისაგან გარჩევა და მათი ღირსეული შეფასება მხოლოდ მათი შედარებით ხდება. ბუდას ფილოსოფია (მისი დოგმატური ნაწილი), ამ ჩვენს მიწიერ ილუზორულ გეგმილზე, საგანთა მხოლოდ ბნელ მხარეს გვიჩვენებს; მაგრამ ამ ფილოსოფიის ეზოთერიზმი, მისი ფარული სული თვით საიდუმლოებასაც კი ახდის ფარდას და უჩვენებს არქატს ერთიანის სივრცეში არსებული მარადიული სიცოცხლის, მისი ცნობიერებისა და ყოფნის მთელ სილამაზეს – ერთგვაროვნების სახით. ეჭვგარეშეა, რომ ეს ყველაფერი აბსურდია მატერიალისტური მეცნიერებისათვის ისევე, როგორც თანამედროვე იდეალიზმისათვის, თუმცა მაინც ფაქტია ბრძენისა და ეზოთერული პანთეისტისათვის.

რა თქმა უნდა, საწყის იდეას იმის შესახებ, რომ ბოროტება დაიბადა ერთგვაროვანი მატერიის განუწყვეტელი გართულებით, რის გამოც იგი ღებულობს ფორმას და სულ უფრო და უფრო დიფერენცირებული ხდება

იმის გამო, რომ ფორმა ფიზიკურად სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება, – ეზოთერული შინაარსისაა, რაც, როგორც ჩანს, შეუმჩნეველი დარჩათ თანამედროვე პესიმისტებს. თუმცაღა, ბუდას იდეების ფორმალური მხარე მსოფლიოს ერების, ყოველი მოაზროვნე ხალხის სპეკულაციის საგანი გახდა. თვით ინდოეთშიც კი, ხსენებული ფორმულის დედააზრი დამახინჯებულ იქნა უამრავი სექტებისაგან და დაყვანილ იქნა წესჩვეულებების, მხოლოდ სუფთა რიტუალების ფორმებამდე – ხათხა იოგამდე, რაჯა იოგისაგან განსხვავებით. წარმართულმა და ქრისტიანულმა სპეკულაციებმა, შუა საუკუნეების ბერების ჩათვლით, გამოწურეს ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო, ამ პირველსაწყისი უკეთილშობილესი იდეისაგან და დაუმორჩილეს იგი თავიანთ ვიწრო, სექტანტურ შეხედულებებს. მათი მატერიის მიმართ მცდარმა წარმოდგენებმა მოიტანა ისიც, რომ ოდითგანვე ქალი გაიგივებული იყო ბოროტებასთან და მატერიალობასთან (თუმცა კათოლიკური ეკლესია მაინც ასე სათუთად ეთაყვანება წმინდა

მარიამს).

სევდა და უიმედობა უმეცარი პესიმიზმის მშობლები არიან, რომელთა მცდარი სპეკულაციების გამო დაიბადა "მეცნიერული პესიმიზმი". სინამდვილეში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პესიმიზმი ფილოსოფია როდია: ეს სიცოცხლისა და ცხოვრების მიმართ უფრო სისტემატურ ავყიაობას, განსაცდელში გაჩხერილი უმეცარის ღვარძლის ამონთხევას ჰგავს და ამიტომაა, რომ არავითარი მსგავსება თუ პარალელი არ არსებობს თანამედროვე ევროპულ პესიმიზმსა და ძველ ინდურ ბრძენ ფილოსოფოსთა შორის. საჭიროა საბოლოოდ გავერკვეთ იმაში, რომ უმეცრება, ბოროტების ძირი და ფესვია, რომ უმეცრება – მხოლოდ ნებაყოფლობითი ტანჯვაა. ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ჯანსაღი პესიმიზმის მასწავლებელს კი – ცოდნა წარმოადგენს. ათასწლეულების უმეცრების შედეგად, პესიმიზმი გახდა ბუნებრივი, თანდაყოლილი და უფრო მეტიც, შთამომავლობით გადაცემული, – ატავიზმის სახით. იგი, პესიმიზმი, უცვლელად არსებობს ჩვენში, რარიგადაც ფარული და სუსტი არ

უნდა იყოს თავდაპირველად მისი ხმა ჩვენში. ახალგაზრდობისას ცხოვრების მიმართ შიშში ისმის მისი ხმა, როგორც იმედის გაცრუება თუ ტკივილი ყოველი წარუმატებლობისას, ან ცხოვრების მკაცრი სინამდვილისათვის პირდაპირ თვალებში ჩახედვისას, რაც ცხოვრების უშეღავათო, მკაცრ სინამდვილეს გვიჩვენებს, რარიგადაც ახალგაზრდა და ჯანღონით სავსეც არ უნდა ვიყოთ ამ დროს. ამიტომ, ნელ-ნელა, ასაკთან თუ სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ჩვენ ვეჩვევით სიცოცხლისა და არსებობის მძიმე ცხოვრებისეული ტვირთის, როგორც წყევლის, ატანასა და ზიდვას. მაშასადამე, პესიმიზმი ჩვენს სისხლშია, რასაც უკვე უშუალოდ ჩვენი უმეცრება ემატება. კაცობრიობის რიცხვი კი იზრდება და იზრდება, და მასთან ერთად იზრდება პრობლემებიც, ტკივილებიცა და ტანჯვაც – ცხოვრების სიდუხჭირე და სნეულებანი პანდემიებში გადადის. ჩვენ დაღონებისა და იმედის გაცრუების ატმოსფეროში ვცხოვრობთ, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი მზერა მუდამ დაბლა,

მიწისკენაა მიმართული, მისი ფიზიკური, უხეში გამოვლინებებისაკენ. ამის მაგივრად, მთელი თავისი ცხოვრებისეული დროის განმავლობაში ადამიანმა ერთხელ მაინც რომ შეხედოს, არა ზეცას, რამეთუ ეს ხატოვანი გამონათქვამია, არამედ საკუთარ შინაგან სივრცეს და მთელი თავისი ყურადღება შინაგან ადამიანზე გადაიტანოს, მაშინ იგი მალევე განთავისუფლდება „დიდი გველის“, ილუზიის ხლართებისაგან. მაშინ მისი ცხოვრება, აკვნიდან სიცოცხლის დასასრულამდე, ეღირებოდა იმად, რომ ღირსეულად განვლოს იგი, თუნდაც ყველაზე საბედისწერო და მძიმე მონაკვეთებზეც.

და მაინც, პესიმიზმი, როგორც ბოროტების ნაყოფი, უფრო დაკვირვებით უნდა განვიხილოთ. აღმოსავლეთში არსებობს გამოთქმა, – “დაეყრდენით ბოროტებას”, თუმცა დასავლეთმაც იცის იგი ქრისტიანობიდან – იაკობის კიბე ხომ ზეცაშია აწვდილი, მისი ძირი კი... ჭაობში დგას(!!!). მაგალითად, თუნდაც დღევანდელობა: რაც უფრო შორს მიდის სააკაშვილის შემოქმედება, ანუ რაც უფრო უახლოვდებით, ალეგორიულად თუ

ვიტყვით, “ზეცას,” მაგინებლებიც კლებულობენ რიცხობრივად და დროშიც უკან რჩებიან, აუგი კი სულ უფრო იშვიათად ისმის, თუმცა თუ ისმის, უკვე ყველას ესმის, რომ ეს ღვარძლია... ანუ ჭაობი.

ბოროტება სიცოცხლის მამოძრავებელი ძალაა, სიცოცხლის ანტიპოდია და მის ფონზე ასე მოხდენილად და კეთილშობილურად ბრწყინავს სიკეთე. პესიმიზმი, როგორც ფიზიკური ადამიანის ბუნებრივი თვისება, უმეცართათვის – რისხვაა და სულიერ ადამიანთათვის კი, ეს უკვე ჭეშმარიტი სიკეთეა, რამეთუ ნიჰილიზმიდან ჭეშმარიტი გზისაკენ შემოაქცევს მას და მიიყვანს სხვა, ასევე ფუძემდებლურ ჭეშმარიტებასთან: ყოველივე ამ სამყაროში მხოლოდ მზადებაა, რამეთუ გარდამავალია და წარმავალი. ეს იგივეა, რაც დილეგში ჩამწყვდეული ადამიანისათვის გარესამყაროდან ნაპრალში მარადიულობიდან შემოსული სინათლე, რაც შინაგან გრძნობებს აღვიძებს და ყურში ჩასჩურჩულებს ტუსაღს ჩვენი არსებობისა და ორბუნებოვნების საიდუმლოს. იმავდროულად, პესიმიზმი

უსიტყვო დასტურია ადამიანში ისეთი რაიმეს არსებობისა, რაზედაც მან იცის, თუმცა კი ამის შესახებ მისთვის არავის არაფერი არ უთქვავს, – ანუ მან იცის ის, რომ მისი დაწყევლილი, მიწიერი ცხოვრების მიღმა არსებობს სხვა, უკეთესი ცხოვრება.

აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის, რომ სულმა დაბადებისა და ცხოვრების უმძიმესი განსაცდელი უნდა განვლოს, მატერიით უნდა მოინათლოს, ვიდრე ცოდნასა და გამოცდილებას არ შეიძენს. მხოლოდ ამის შემდეგ ღებულობს იგი სულის ნათლობას, ანუ თვითშეგნებას და ამის შემდეგ უკვე შეუძლია, დაუბრუნდეს პირველ საწყისის ღვთაებრივ მდგომარეობას, რის გამოც ყოვლისმცოდნეობის გვირგვინს ღებულობს. ძნელი როდია მესიანობა, რამეთუ ეს ბუნებრივი მდგომარეობაა – რაც მეტი ბოროტებაა დაძლეული, მით მეტად მაღალია და თვალსაჩინო იესოს მესიანობა, რაც ნაზარბაევისა და სააკაშვილის მაგალითზე იმდენად თვალსაჩინოა, რომ ცოტა ხანში ხალხი აღიარებს მათ ეროვნულ (შესაძლოა საკაცობრიო) მესიებად. ეს ყოველდღი-

ურობის მაგალითებზე ჩანს: რაც მეტად წარმატებულნი არიან ისინი, როგორც ერისა და სახელმწიფოს აღორძინებაში, რაც მეტი მიღწევები აქვთ მათ, მით მეტად დამაჯერებელია მათი წარმატებანი, მიმზიდველი და ბრძნული ხდება მათი ყოველი შემდგომი საჯარო გამოსვლა. ყოველივე ეს იწვევს როგორც პატივისცემის, ასევე აღფრთოვანების გრძნობას, მათ, როგორც ჭეშმარიტად დიდი ისტორიული პიროვნებების მიმართ. ასე იკაფავენ ისინი თავის პირად გზას უფლისა და უკვდავებისაკენ, კვალად კი ტოვებენ ტანჯვისა და უმეცრებისაგან განთავისუფლებულ ეროვნულ ცნობიერებასაც და სახელმწიფოებსაც. შეუძლებელია სრულჰყო საკუთარი თავი, და არ სრულჰყო ცხოვრება და ადამიანებიც, – აი, ასე შემოქმედებენ ისინი როგორც პირად, ისე სახელმწიფო ასპარეზზეც. აქვე უნდა ითქვას ის, რომ ჩვენ ტყუილად როდი მოვიხსენიეთ ეს ჩვენი დრო მესიანურ ხანად; ჩვენ ვამბობთ, რომ მრავალი ცნობილი თუ უცნობი მესია მოვა ჩვენს ამ გასაოცარ დროში...

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანს

ძალუძს დაუბრუნდეს თავის პირველსაწყისს, ღვთიურ მდგომარეობას – ერთგვაროვნებას (ჰომოგენობას) პირველსაწყისის არსს, რაც მხოლოდ კარმის კანონის ნაყოფის მოხვეჭით ხდება. მხოლოდ ამას შეუძლია შექმნას აბსოლუტურად გაცნობიერებული ღვთაება, რომელიც მხოლოდ ერთი საფეხურით დაბლა დგას აბსოლუტური ყველაფრისაგან. და ეს ღვთაება ყოველთვის იბადება გაზრდილი ბოროტების ფონზე და რაც მეტად მძაფრია ბოროტება, მით უფრო აშკარაა და ნათელი მესიანური პიროვნება, რომელიც თვით ცხოვრებისგანაა მოვლენილი და დაპირისპირებული გაავებულ ბოროტებასთან, მისი უდიდებულესობის, მარადიული ყოფიერების ნებით და ძალით, და რა თქმა უნდა, მისივე მფარველობით.

გასაგებია, რომ ასეთ წიგნს, როგორიცაა "მდუმარების ხმა", ესაჭიროება სრული შესავალი და ნახევარ სიტყვაზე თხრობის შეწყვეტა დაუშვებელია. საჭიროა ითქვას სრული სიტყვა ზოგი რამ უკვე გამხელილიდან და კაცობრიობის კუთვნილებად ქცეულიდან. რა თქმა უნდა, სიტყვა შეეხება

ქრისტეს იმ უმთავრესი გაგებით, რომ თუ იესო ქრისტე ძეა ღვთისა და ერთარსია მამაზეციერთან, მაშინ იგი ყველგან არსი უნდა იყოს, რადგან თვითონ გვასწავლის ამას: "მე ვიყავი, ვიდრე სამყარო შეიქმნებოდა"-ო, და ამიტომ, თუ აქამდე, უშუალოდ ელენე ბლავატსკაია გვესაუბრებოდა ამ შესავალით, ახლა სიტყვას გადავცემთ მის მემკვიდრეს, ანი ბეზანტს და აღნიშნულ საკითხზე ამომწურავ პასუხსაც მივიღებთ.

...ჩვენი რასის წინაისტორიის შესწავლისას ჩვენ აშკარად ვხედავთ იმას, რომ ბოდხისატვა დროდადრო მოდიოდა განსხეულებაში, რათა დაეარსებინა დიადი არიული რასის რელიგიები.

ინდუიზმის ძირითადი ქარგა მან ძირძველ არიულ რასას მიანიჭა; ასწავლიდა ეგვიპტეში ჯერ **ტოტის**, შემდეგ კი **ჰერმესის** სახელით; იგი მოვიდა, როგორც ზარატუსტრა 31 ათასი წლის წინათ სპარსეთის დიდი იმპერიის დროს; როგორც ორფეოსმა, საბერძნეთში მან დაარსა ორფიული მისტერიები, რომელთაგანაც შემდგომ განვითარდა საბერძნეთის სხვა დანარჩენი მისტერიებიც;

იგი მეტყველებდა, როგორც მზე – ინდოეთში, როგორც ცეცხლი – სპარსეთში, როგორც მუსიკის, ჰარმონიის და ღმერთების მომნუსხველი სილამაზის ქანდაკებათა ნიმუშები – საბერძნეთში. მან ყოველ დიდ ერს, ჯერობით მიანიჭა თავისი რელიგია, ყოველ მათგანში კი ჩადო იმ ცივილიზაციის ის საფუძვლები, რომლებსაც ამ რელიგიის მეშვეობით უნდა შეექმნა შესაბამისი ერის შთაგონება და სილამაზე. აღასრულა რა ყოველივე ეს, იგი საბოლოოდ მივიდა ინდოსტანში, სადაც ბუდას სახით მიიღო გაბრწყინება და ბუდიზმით დაასრულა განვითარების ერთი უძველესი და მეტად ვრცელი ციკლი.

შემდეგ გაიხსნა ახალი ციკლი – ჩვენი რასის ახალი საუკუნე. ქრისტე კიდევ უფრო მეტად დიადი ცივილიზაციის დამაარსებლად მოდის ებრაელ ხალხთან თავისი მისიის შესასრულებლად. თანამედროვეებმა უარჰყვეს იგი და იმ ერმა იმსხვერპლა, ვისგანაც სხეული შეიძინა. ერთი შეხედვით, წარუმატებლობამ მაინც შესანიშნავი ნაყოფი მოიტანა; მოჩვენებითი სრული კრახისაგან

აღმოცენდა ხე, რომელიც დღეს ამერიკასა და ევროპას მფარველობს.

მან არსებითი მნიშვნელობის ორი ნოტი შემოიტანა, რომლებმაც აღნიშნეს ახალი საუკუნის დასაწყისიც და ის ხაზიც, რომლის მიხედვითაც, შესაბამის დროს უნდა განვითარებულიყო ეს ახალი საუკუნე. წარსულ დროთა ყველა დიადი ცივილიზაცია, ოჯახზე, როგორც საზოგადოების ერთეულზე იყო დაფუძნებული. ინდოეთში ითვლებოდა, რომ ადამიანი შედგება ქმრის, ცოლისა და ბავშვისაგან. თუ ჩვენ ამ ძველ ცივილიზაციებს ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ ინდივიდი ცივილიზაციის მიერ საერთოდ არაა გათვალისწინებული, ამ დროს კი ოჯახი შექმნილია იმისათვის, რომ მან, როგორც უახლოეს, სიყვარულით შეერთებულ ადამიანთა კერამ, შექმნას უდიდესი გენია – ინდივიდი. სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს ოჯახი; ოჯახებიდან იქმნება სახელმწიფო და სამოქალაქო ღირსებანი, რომლებიც, თავის მხრივ, უზენაესი მორალის ბეჭედს წარმოადგენდნენ – ასე იქმნებიან ბრწყინვალების მატარებელი სახე-

ლმწიფოები, და საქართველოც სააკაშვილის ხელში იწყებს გაბრწყინებას.

ახალ საუკუნეში, როგორც უკვე აღინიშნა, აღებულ იქნა არა მხოლოდ ოჯახის ნოტი, არამედ ძლიერი ინდივიდის აღზრდის ნოტიც, ანუ ცალკეული პიროვნების ღირებულებები, რაშიც იგულისხმებოდა ის, რომ ადამიანი დროებით მარტო უნდა დარჩენილიყო, რათა დამოუკიდებლობა და ძალა გამოემუშავებინა. ამ იდეასა და მის შინაარსს ყველაზე უკეთესად გამოხატავს ბერძნული სიტყვა ***ქარიზმა*** (charisma), რაც ღვთიურ ჯილდოს, სიბრძნის, ავტორიტეტისა და საგმირო თვისებების მატარებელ ადამიანს ნიშნავს, მსგავსად ალექსანდრე მაკედონელისა, იულიუს კეისარისა, დავით აღმაშენებლისა, პეტრე პირველისა თუ დიდი აკბარისა და სხვა. ეს ***გმირებისა და წინამძღოლების*** ხანაა და დღეს, საქართველოში მომრავლდნენ გმირებიცა და წინამძღვარებიც, მათ ყოველნაირი ხერხით ქმნიან, იქნება ეს „ჯეოსტარის“, „ნიჭიერის“, „ყველაზე ჭკვიანის“ თუ მრავალი სხვა კონკურსებითა თუ ხერხებით ადამიანში განსაკუთ-

რებულობის, ანუ ნიჭისა თუ გმირობის გაღვიძებით. იგივე მიზანს ემსახურება წახალისება პრეზიდენტის სასახლეში მოსწავლეთა ექსკურსიებით და წაქეზებაც ძალზედ ახალგაზრდა მინისტრების დანიშვნით. ზუსტად ასევე რელიგიაშიც: ქრისტიანობაში რეინკარნაციის იდეის დაჩრდილვით და მარადიული სამოთხის იდეის შემოტანით, აღმოცენდა მიწიერი ცხოვრების გადამწყვეტი მნიშვნელობა და, რა თქმა უნდა, ასევე ინდივიდუალური სულის ღირებულებათა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს დაებედა მსოფლიოს და ქრისტიანობის პირველ მოვალეობად გადაიქცა. ეს ნიშნავდა ბრძოლას, მტრობას, დროებით ქაოსს, თითქმის ანარქიას, მაგრამ უამისოდ მომავალი ვერ შედგებოდა. თუ კლდეს ქვის სამტეხლოში ქვას არ მოვანგრევთ და თუ ის დროებით მარტო არ დარჩება, თუ შემდგომ იგი არ დაიხვეწება, თუ ეს ყველაფერი ასეთი თანამიმდევრობით არ წარიმართება, მაშინ ადამიანნი, – ***ქვები,*** – არ იქნებოდნენ მომზადებულნი (პეტრე ხომ ქვაა); მაშინ კაცობრიობის ძმობის დიადი ტაძარიც,

ძლიერი ლიდერების გარეშე ვერ აშენდებოდა. ხომ გახსოვთ, როგორ დაიბადა ბოროტება?! ამაზე დასაწყისში ვილაპარაკეთ, როდესაც ჰომოგენობა, ანუ ერთიანობა და ერთგვაროვნება დაირღვა და ჰეტეროგენობაში, მრავალ განსხვავებულ თვისებათა მატარებელ სიმრავლის სამყაროში გადაიზარდა. ერთგვაროვნების დაბრუნება არამხოლოდ ცალკეული ადამიანის (ტანჯვისაგან განთავისუფლების თვალსაზრისით) პირად მიზანს წარმოადგენს, არამედ თავისუფალ ინდივიდთა სიმრავლის შექმნას ემსახურება, რაც კაცობრიობას ერთგვაროვნებას შესძენს, ეს კი მთლიანად კაცობრიობასაც და დედამიწასაც გადაარჩენს.

საკაცობრიო მასშტაბით ჰომოგენობის სარეალიზაციოდ საჭირო მექანიზმი – ჰარმონიისა და მუსიკის ნაყოფი, ორფეოსის ქვეყნიდან, საბერძნეთიდან მოდის დემოკრატიის იდეის სახით, ***თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.*** ამიტომ, **ურო** და **საჭრეთელი** ჯერ უხეშად მუშაობენ, სახელოსნოში ბევრია მტვერი,

მისვლა-მოსვლა, შეხლა-შემოხლა; მაგრამ ამ მტვერსა და ხმაურში, **უროს დარტყმების შედეგად** გამოდიან დახვეწილი ქვები (პეტრეები), ის ძლიერი ინდივიდები, რომლებიც ერთიანი შენობის ანუ ერთიანი საკაცობრიო ძლევამოსილი საძმოს ასაშენებლად გამოდგებიან; ძმები ჯერ უნდა აღიზარდონ და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეიქმნას ერთიანი, სრულიად საკაცობრიო საძმო. ინდივიდუალიზმის ეს ბრძოლა ის საჭირო პირობა იყო, რომელიც უფრო ძლიერი და უფრო ბედნიერი რასის შექმნას სჭირდებოდა. ასეთი ბრძოლა უდიდეს პიროვნებათა (ვთქვათ, მიქელანჯელოსა და ლეონარდოს პაექრობა) და სახელმწიფოთა (კაცობრიობის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნებისა და იმპერიების პაექრობა) შორის ხდებოდა, რამაც ინდივიდუალობის (ქარიზმატიული პიროვნებების) მნიშვნელობა და შინაარსი გაამჟღავნა. მაგრამ მიუხედავად ინდივიდების მკვეთრი შეჯახებისა, მიუხედავად მტრობაში მყოფი კლასებისაგან შექმნილი ქაოსისა, ადამიანები ხედავდნენ, რომ ქრისტემ სხვა ნოტიც აიღო,

ის ნოტი, რაც პირველ წლებში შეუმჩნეველი დარჩა და თითქოს დაიკარგა, მაგრამ სულ მალე გამჟღავნდა, როგორც ძირითადი, წამყვანი ნოტი: ქრისტიანული მოძღვრების ის უკეთილშობილესი არსი, რომ ძლიერი უნდა გახდეს მსახური, რომ მიღწეული ძლევამოსილება უნდა მოხმარდეს მსახურებას, რომ ძალის საზომს წარმოადგენს აღებულ ვალდებულებათა ზომა და ისიც, რომ დიდებულნი უნდა ეხმარებოდნენ ყველას. თავდადება განსაკუთრებულად ჟღერს ქრისტიანობაში ისე, როგორც არასოდეს არ უჟღერია მას მანამდე არცერთ რელიგიაში მთელს დედამიწაზედ; თუმცა, თავდაპირველად ჩვენ ინდივიდუალობათა პაექრობას ვხედავთ, ეს მაინც სხვა არაფერია, თუ არა საშუალება მიზნის მისაღწევად, როდესაც ინდივიდი მსახურებისათვის იქნებოდა მზად. სხვათაშორის, რელიგიათა პაექრობის შემდგომი დაახლოების აქტი საქართველოში განხორციელდა უაღრესად ძლიერი პიროვნებისაგან – შევარდნაძისაგან: რომის პაპი მან ჩამოიყვანა თბილისში. ასე, რომ ქრისტეს მოძღვრებიდან, ახალი ციკლის

დაწყებისთანავე, ამოიზარდა მედიდური და მეტად ხმაურიანი ცივილიზაცია, რომელშიც, მიუხედავად ყოველგვარი გადახრებისა, ჩაისახა საზოგადოებრივი სინდისი, რაც ადამიანის უფლებების დეკლარაციის სახით განხორციელდა. ქრისტიანობის მოძღვრებიდან აღებულ მოვალეობის გრძნობას, აშკარად აკმაყოფილებს კაცობრიობის სივრცეში დაბადებული "ადამიანის მოვალეობათა დეკლარაცია." მაგრამ, ზემოთ მოყვანილ ტექსტში მე უკვე აღვნიშნე ის, რომ არსებობს ვრცელი, მმართველობის ისეთი განყოფილება, რომელიც იდეალური ადამიანისაგან იმართება და მისი შემოქმედება ჩვენს შორის ხდება, ქრისტეს უფრო ნატიფი, ფარული, უფრო სულიერი შრომის გვერდით.

გადახედეთ თვით ადამიანის ისტორიას და დაინახავთ იმას, თუ როგორ სულ უფრო აშკარად და აშკარად მჟღავნდება უძლიერესი გეგმის არსებობა, რომლის მიხედვითაც კაცობრიობის ყველა რასა გარკვეული წესით ლაგდება, აქვს თავთავისი ადგილი, გარკვეული ფუნქცია და ვალდებულებანი.

ჩაიხედეთ ისტორიაში და ისტორიის ყველა უდიდეს უბედურებაში, რომლებმაც გარდასახეს დედამიწის ზედაპირი. გაიხსენეთ ის, რომ ყოველი უდიდესი ბუნებისმეტყველი გვიდასტურებს იმას, რომ ოდესღაც ლემურიის კონტინენტი გადაშლილი იყო იქ, სადაც ამჟამად წყნარი ოკეანეა; მეცნიერება უკვე ნათლად ხედავს და სხვადასხვა ტელეარხებით გვიჩვენებს იმას, თუ როგორ იყო დაკავშირებული აფრიკა ამერიკის კონტინენტთან სახმელეთო გზებით და იქაც, სადაც ახლა ატლანტიკის ოკეანეა, ხმელეთი იყო. იმ დროს, – ამტკიცებენ მეცნიერები, – არსებობდა ძლევამოსილი რასა, რომელიც ფართოდ ავრცელებდა თავის კულტურას მთელს დედამიწაზე. ჩვენი, არიული რასის გაჩენასთან ერთად ეს ორივე კონტინენტი, ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეებში ჩაიძირნენ, რის შედეგადაც წყლისა და მიწის ზედაპირის ამჟამინდელი განლაგება დამკვიდრდა გაბატონებული თეთრი რასის ადგილსამყოფელად.

ახლა გავიხედოთ წინ, განვჭვრიტოთ მომავალი და შევამჩნიოთ ჩაძირული კონტი-

ნენტების აღდგენის ნიშნები, რომელზედაც უნდა იცხოვროს, განვითარდეს და აყვავდეს კაცობრიობის ცივილიზაცია, თუმცა უკვე არსებული ჩვენი კონტინენტის (საუბარია ევროპის გარკვეულ ნაწილზე და ისიც ვარაუდით, თუკი აპოკალიფსის სცენარი ღვთის ნებით შეიცვლება, რის იმედსაც მეუფე ***კრაიონი*** იძლევა) მნიშვნელოვანი ნაწილი დაინგრევა და ჩაიძირება. ისიც გავაცნობიეროთ, რომ მიწის და წყლის ზედაპირის ცვლილებები კაცობრიობის ახალ-ახალ ნაირსახეობათა განვითარებასთან ერთად, გვერდი-გვერდ მიმდინარეობს: ლემურიის კონტინენტზე „ჰომო საპიენსის“ თავისი ტიპაჟი ცხოვრობდა, რომლის შერეულ ნარჩენებს თანამედროვე ზანგი წარმოადგენს. ატლანტიდას ასევე თავისი მეოთხე რასა ჰყავდა, რომლის კვალს ჩრდილო ამერიკის ინდიელთა და ეგვიპტელთა შორის ვპოულობთ, და რომელიც დღემდე არსებობს ჩინეთსა და იაპონიაში. ამის შემდეგ დააკვირდით თქვენი, საკუთარი უდიდესი მეხუთე არიული რასის გაჩენას, რომელიც მთელი დედამიწის დასახლებულ

ზედაპირზე განსახლდა, სხვადასხვა ქვეყანებში გადავიდა (მულატები, მეტისები), რომლებიც ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; ასე შეიძლება განასხვაოთ კელტი ტევტონელისაგან, ლათინელი სკანდინავიელისაგან. თეთრი რასა იზრდება, ქმნის კოლონიებს და აშენებს უმძლავრეს იმპერიას. გაიხედეთ მომავალში რამდენიმე ასეული წლის იქით და თქვენ დაინახავთ ამ რასას, აღმავალს ევოლუციის მწვერვალზე იმ გაგებით, რომ იგი ქმნის მსოფლიო იმპერიას, ყველა ძველად არსებულ იმპერიაზე აღმატებულს თავისი ძლევამოსილებით; მასში შეჯამდება ყველა ეროვნების ძალა და დიდება, მის სივრცეში დაიბადებიან უძლიერესი გონების მქონე ადამიანები, რომლებიც ევოლუციის მწვერვალს მიღწეული რასის წიაღში მოდიან შემოქმედებისათვის. შეხედეთ თეთრ რასას, როგორ ფლობს იგი დასავლეთს, იპყრობს აღმოსავლეთს; ჩაწვდით, რომ ამ განსახლებას აქვს თავისი მიზანი და მის ზურგს უკან დგას ***მანუ*** – პლანეტის გამგებელი, რომელიც აყალიბებს და მართავს მომავალ იმპერიას. ჩაწვდით

იმასაც, რომ ყოველ ომსაც და დაპყრობასაც თავისი გარკვეული მიზანი გააჩნია, როდესაც ერთი ამარცხებს მეორეს და დროებით ბატონობს მასზე. დროებით დაპყრობილი ერი სწავლობს თავის გაკვეთილს და არანაკლებ სარგებლობას ღებულობს, ვიდრე გამარჯვებული, რომელიც, თავის მხრივ, თავის გაკვეთილს სწავლობს.

როდესაც ბერძნებმა ინდოეთის გარკვეული ნაწილი დაიპყრეს, მათ თავიანთი ხელოვნება შეიტანეს იქ და ამით ღრმა კვალი დაამჩნიეს ინდოეთს და მის ხელოვნებას. როდესაც შუა აზიიდან მონღოლების ნიაღვარი შეიჭრა ინდოეთში, მათ ხელოვნების სხვა სახეობა შექმნეს და ამგვარად გაამდიდრეს დაპყრობილი ქვეყანა. ყოველი ასეთი გამარჯვება აღმოსავლეთისა დასავლეთზე, დასავლეთისა კი აღმოსავლეთზე – ერთიან დიად გეგმაში არის ჩაქსოვილი და ამით ფართოდ ავრცელებს ხელოვნებისა და კულტურის საგანძურს სხვადასხვა ერების სივრცეში; სხვაგვარად, მეცნიერება, ხელოვნება და კულტურა მხოლოდ ერთი ერის კუთვნილება დარჩებოდა.

გაახილეთ თვალები, უფრო ფართოდ გადახედეთ ჰორიზონტს; ჩაწვდით უფრო გრანდიოზულ გეგმას; მიხვდით იმას, რომ გარკვეული ერები იმისათვის არიან გამოყოფილი, რომ რაღაც ახალი გამოიმუშაონ მთელი კაცობრიობის სასარგებლოდ. ამის შემდეგ მოდის ისევ განსახლება იმ ღირებულებების გასატანად, რაც სამშობლოში იქნა დამუშავებული, – ამის გასაოცარი მაგალითია ებრაელი ერის საგანმანათლებლო მისია მთელს მსოფლიოში, რომელიც კატალიზატორივით აჩქარებდა და აჩქარებს მსოფლიოს ევოლუციას. ომებსა და დაპყრობებს, ერებისა და რასების ჭიდილს – ყველა მათგანს თავისი ადგილი და მიზანი გააჩნია მსოფლიოს ერთიანი განვითარების გეგმაში. ამ გეგმას ***მანუ*** – დედამიწის გამგებელი მართავს. მან ზუსტად იცის ის, თუ რა სჭირდება ამა თუ იმ ერს, და განახორციელებს იმ სასწაულებრივად ლამაზ შერწყმას, რომლის მადლითაც იზრდება კაცობრიობა. გადავხედოთ თუნდაც არც ისე შორეულ წარსულში რუსეთ-იაპონიის ომს და ჩვენ დავინახავთ, რომ

სისხლიანი ომის უკან იყო ორი, აღმოსავლური და დასავლური იდეოლოგიის ბრძოლა. აღმოსავლურმა იდეოლოგიამ სწრაფად დაკარგა თავისი ფასი დასავლეთში და ეს უკვე დაუშვებელი მოვლენა იყო, ამიტომ მის დასავლეთზე ზემოქმედების შენარჩუნებას დასჭირდა ომი, იაპონიის რუსეთზე, – ანუ დასავლური კულტურის მატარებელ ქვეყანაზე დროებითი გამარჯვება. ამას დასჭირდა ბრძოლის ველზე ურდოების სისხლიანი ჭიდილი და აღმოსავლეთის ხალხი ამარცხებს დასავლეთის ხალხს, რა თქმა უნდა, დროებით, მთელი კაცობრიობის სასარგებლოდ, რათა მსოფლიომ არ დაკარგოს და არ დაივიწყოს აღმოსავლური იდეალები. ამგვარად, ჩვენ უკვე ვხედავთ იმას, რომ იქ, სადაც ბრძოლაა, მას პლანეტის გამგებლის, ***მანუს*** ხელი მართავს. იქ, სადაც ამბოხია, ***მანუს*** ძლევამოსილი ხელი აწესრიგებს აწმყოს სამომავლოდ... საშინელებაა, ხედავდე მილიონობით ტონა წონის მქონე მყინვარის მთიდან დაშვებას, ხედავდე, – რა საშინელ ღრმულს ტოვებს იგი მთის ფერდობსა და

ბარში, როდესაც თავის გზას იკაფავს მთიდან ბარისაკენ, ან როდესაც გაავებული მდინარე იკვლევს გზას და ყველაფერი მიაქვს თან, ტბორავს და სპობს ბარში ყველაფერს, ხოცავს ადამიანებსაც და ცხოველებსაც. მაგრამ დაბრუნდით იმავე ადგილებში რამოდენიმე საუკუნის შემდეგ; ეწვიეთ იმ ადგილებს ათასწლეულების შემდეგ და თქვენ დაინახავთ იგივე მყინვარის მიერ დაღარულ ველს, რომელიც აყვავებულია და ჭირნახულის ყანებითაა დაფარული. ნგრევა აღორძინებას ნიშნავს ბუნებაში და სიკვდილს კი სიცოცხლე მოჰყვება. მრავალი განსაცდელით იზრდება, იწრთობა, კეთილშობილდება კაცობრიობა და დედამიწის იერარქია შრომობს და საქმიანობს სამყაროსა და მსოფლიოს გაბრწყინებისათვის. ასე რომ, როდესაც ქვეყნის თავზე გრიგალი გადაივლის, როდესაც ატყდება ამბოხი და ბრძოლა, როდესაც საზოგადოებრივ ფენათა შორის გაჩნდება დაპირისპირება, – რაც ერებს შორის ომზე უარესია, რადგან არყევს ქვეყანას და სისხლისაგან დაცლის მას, როდესაც ყოველივე ამის შემდეგ მომავალი

აღარ ჩანს, როდესაც ყველანაირი იმედი გადაწურულია, როდესაც განკურნება შეუძლებელი გვგონია, როდესაც წარსული ცივილიზაციის რესურსი ამოწურულია და ახალი ცივილიზაციის შესაძლებლობები ჯერ არ ჩანს, გაიხსენეთ ქრისტეს სიტყვები: "და ნუ შეძრწუნდება გული თქვენი და ნუ შედრკება იგი"... გახსოვდეთ: მყოობადის ტანჯვა მომავლის ბედნიერებას შეიცავს.

ყველაფერი კარგად იქნება, ვიდრე ოკულტური იერარქია, ჩვენსავე სისხლისა და ხორცისაგან დაბადებული, განვითარებული და გაბრწყინებული, გვიკაფავს მომავალს, ვიდრე მტრობითა და სიძულვილით აღვსილ ადამიანთა ზურგს უკან დგას და აიძულებს თვით ბოროტებასაც კი, ემსახუროს სიკეთეს.

გემშვიდობებით რა, გეტყვით არა იმედის მომტან სიტყვას, არამედ დარწმუნებისას; არა ეჭვის მომტან სიტყვას, არამედ დასტურისას. ვიდრე ქრისტე მასწავლებელია, ვიდრე იგი ადამიანთა ბედს მართავს, არ შეიძლება სამყარო არ იყოს მშვენიერი. კედლები ინგრევა ჩვენს ირგვლივ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ აშენდეს უკეთესი და უფრო მშვენიერი და ძლიერი. შენობები ემხობიან: მათ თავიანთი საქმე გააკეთეს, და მათ ადგილას სხვა, უკეთესი ტაძრები აშენდება. სასოწარკვეთილებას აღარ რჩება ადგილი იმ კაცობრიობის სივრცეში, რომლის წიაღშიც არიან ისეთი ცალკეული ადამიანები, რომლებიც ქრისტეს სრულ ასაკსა და სიბრძნეს ეზიარნენ. ასეთი, ქრისტეს სრულ ასაკს მიღწეული, ღვაწლითა და დამსახურებებით შემკული ადამიანი მიუძღვის დღეს საქართველოს მართლმადიდებლობას და გააქვს მადლი როგორც ევროპაში, ისე აშშ-სა და მთელს მსოფლიოში...

ყველაფერი კარგად იქნება და ვინ იტყოდა ამ იმედს, დარწმუნებასა და დასტურს, თუ არა ერის სულიერი წინამძღვარი,

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, რომელმაც "***ავე მარია***" შექმნა ქართულად და ამით მართლმადიდებლობიდან კათოლიკობამდე, თბილისიდან ვატიკანამდე ძმობის ხიდი გადო და სამომავლო იმედი დაგვანათლა ყველას, რადგან მან თავისი პოეტური დარიგებით ბრძანა, –

ყველაფერი კარგად იქნება!

ნუ დაეცემი, სულს ნუ იტანჯავ,
ტანჯვა ყოველთვის ფიქრით იწყება;
იფიქრე კარგი და დაინახე,
რომ ყველაფერი კარგად იქნება!

როგორც ისწავლი სამყაროს ხედვას,
შენი ცხოვრებაც ისე იქნება;
გულს ნუ გაიტეხ, გწამდეს უფლის
და ყველაფერი კარგად იქნება!

ტყუილუბრალოდ ღელვა და შიში
განა ვერ ატყობ, რომ არ გიხდება?!
ნუ შიშობ, უფლის იწამე მარად
და ყველაფერი კარგად იქნება!

როცა ვარდები დეპრესიაში
და შენი ტანჯვა, ატყობ იწყება,
მაშინ მოუხმე თვით შთაგონებას
თქვი, – ყველაფერი კარგად იქნება!

რომ დაგარწმუნონ, შენ იღუპები,
შენი სიცოცხლის წამი ითვლება;
რწმენას მოუხმე და შენ იხილავ,
რომ ყველაფერი კარგად იქნება!

თუ ცოდვები გაქვს, სულით დაეცი,
ღმერთი არ გტოვებს, შენკენ იხრება
ის მოწყალეა ყველა ცოდვილის
და ყველაფერი კარგად იქნება!

როდესაც იმედს აზრი აღარ აქვს
და შენი გული ბოღმით ივსება,
ერთადერთია, რაც გადაგარჩენს
თქვი, – ყველაფერი კარგად იქნება!

დიდი ნიჭია თავშეკავება;
ნიჭით სიბნელე ნათლით იცვლება;
როცა ამ ნიჭს ფლობ, შენ უკვე იცი,
რომ ყველაფერი კარგად იქნება!

როცა ირწმუნებ სიტყვების ძალას
და ეს სიტყვები შენთვის იფრქვევა,
სხვებს აუხსენი და შთააგონე,
რომ ყველაფერი კარგად იქნება!

როდის იქნება? როდის იქნება?
როცა კითხვები გულში ისმება,
ნუ უფიქრდები უაზრო კითხვებს
ღმერთის წყალობით, – სულ ყველა-
ფერი კარგად იქნება!

ნაწყვეტი I

მდუმარების ხმა

ეს ცოდნა ეძლევა იმათ, ვინც არ იცნობს ***იდხის***[1] საშიშროებებს.

ვინც მოისურვებს ***მდუმარების ხმის***[2], მისი "უხმო ბგერის" მოსმენას და შეეცდება მის წვდომას, მან სრულყოფილ ***ჭვრეტას***[3] ***(დხარანას)*** უნდა მიაღწიოს.

მიაღწევს რა გარე სამყაროსადმი გულგრილ დამოკიდებულებას, მოწაფემ თავისი გრძნობების ***მბრძანებელი***[4] უნდა მოძებნოს,

აზრთა ის შემოქმედი, რომელიც ქმნის ილუზიებს.

ჭკუა რეალობის უდიდესი მკვლელია.

მოწაფემ უნდა სძლიოს მკვლელს.

რამეთუ, როდესაც მისთვის, მისივე არსება არარეალური გახდება ისევე, როგორც არარეალურია მისივე სიზმრები, როდესაც იგი სიმრავლის მოსმენას შეწყვეტს, მაშინ გაარჩევს იგი ერთიანს, შინაგან ბგერას, რომელიც ყოველ გარეშე ბგერას ახშობს.

მხოლოდ მაშინ – და არა უწინარეს ამისა – გაეცლება იგი ***სიყალბის*** არეს და შეაბიჯებს ***ჭეშმარიტების*** სამყაროში.

ვიდრე სული დაინახავს, ჰარმონია შინაგანი თვისება უნდა გახდეს და ფიზიკური თვალთახედვა სამუდამოდ უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი ილუზიებისათვის.

ვიდრე სული სმენას შეიძენს, ადამიანი ერთნაირად უნდა დაყრუვდეს როგორც ჭექა-ქუხილის, ისე ჩურჩულის მიმართ, როგორც გაავებულ სპილოთა საბრძოლო ყვირილის, ისე ციცინათელას ვერცხლივით წკრიალა ხმის მიმართ.

ვიდრე სული აზროვნებასა და მეხსიერებას

შეიძენს, იგი ისე უნდა შეუერთდეს მდუმარების ხმას, როგორც მოქანდაკის გონებაა შეერთებული იმ წარმოდგენასთან, რომელსაც იგი თიხაში აქანდაკებს.

მხოლოდ მაშინ სული გაიგონებს და გაიხსენებს კიდეც.

და აი მაშინ, მის შინაგან სმენას მიმართავს

მდუმარების ხმა

და ეტყვის:

თუ შენი სამშვინველი იღიმება, როცა იგი შენივ ცხოვრების მზის სხივებში ნებივრობს, თუ იგი მღერის ხორცისა და მატერიის თავისსავე გარსის შიგნით; თუ იგი მოსთქვამს ილუზიებით ნაშენ საკუთარ ციხე სიმაგრეში; თუ იგი ცდილობს, გაწყვიტოს ვერცხლის ძაფი, რომლითაც ***მასწავლებელთანაა***[7] დაკავშირებული, – მაშინ იცოდე, მოსწავლევ, რომ შენი სამშვინველი მტვრისგანაა შექმნილი.

თუკი ამქვეყნიური შიშების მიმართ, შენი ზრდაში ჩართული ***სამშვინველი***[8] იჩენს ყურადღებას; თუკი დიადი ***ილუზიის***[9] მეხივით მრისხანე ხმას ეხმიანება; თუ

ტანჯვის მდუღარე ცრემლებისაგან დანა-ვლული და გოდების ხმებით გონდაკარგული, დაიხევს უკან, როგორც მშიშარა კუ, სა-კუთარი მეობის ჯავშანში და თუ ეს ასე მოხდება, მაშინ იცოდე, სამშვინველი შენი საკუთარი მდუმარე ღმერთის უღირსი კიდობანია.

როდესაც ასაკის შეძენისას, შენი სამშვი-ნველი მიატოვებს თავის საიმედო თავშე-საფარს და მისსავე დამცავი კიდობნისაგან განთავისუფლებული, მოზიდავს თავის ვერცხლის ძაფს და წინ გაიჭრება; თუ სივრცის ტალღებში საკუთარი ანარეკლის ხილვისას წაიჩურჩულებს; "ეს მე ვარ," – იცოდე, რომ შენი სამშვინველი ***ხიბლის***[10] აბლაბუდაშია გახვეული.

ეს დედამიწა, მოსწავლევ, სევდის სრა-სასახლეა, რომელზეც ამ ტანჯვის გზის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხაფანგია დაგებული, რათა შენი "მე" დაიჭიროს იმ ხიბლით, რომელსაც ***"უდიდესი ერესი"***[11] ჰქვია.

ეს დედამიწა, ო, ცოდნის არმქონე მოსწავლევ, მხოლოდ სევდიანი კარიბჭეა, რომლის მიღმაც ბინდია, და აი, ამ ბინდს

იქეთ კი გადაშლილია სინათლის ველი, იმ სინათლისა, რომელიც მარად ჩაუქრობელია და ანთია ლამპარისა და ზეთის გარეშე ისე, რომ მას ვერ შეარყევს ვერანაირი გრიგალი.

უდიადესი კანონი ბრძანებს: "სამყაროს "***მე***[12]"-ს შეცნობა თუ გწადიან, ჯერ საკუთარი " ***მე***" უნდა შეიცნო." ამისათვის, შენ უნდა მისცე შენი "***მე***" – არა "***მე***"-ს, შენი ყოფნა – არყოფნას, და აი, მხოლოდ მაშინ მოისვენებ ***დიადი ფრინველის***[13] ფრთებზე. ჭეშმარიტად ნეტარტკბილია იმ ფრთებზე დამშვიდება, რომლებიც არ ექვემდებარებიან არცა დაბადებასა და არცა სიკვდილს, რაც არის ***აუმ*** [14] ***– უსასრულო საუკუნეთა***[15] განმავლობაში.

სიცოცხლის ფრინველის ზურგზე შეჯექი, თუკი ***შეცნობა***[16] გწადიან.

გაიღე შენი სიცოცხლე, თუკი ***სიცოცხლე გწადიან.***[17]

სამი სასახლე უნდა განვლო, ო, დაქანცულო მგზავრო, შენს მრავალ სიძნელეთა მქონე გზაზედ, ვიდრე მის დასასრულს მიაღწევ. სამი სასახლე, ო ***მარას***[18] მძლევ,

სამი მდგომარეობის[19] გავლით ***მეოთხეში***[20] გადაგიყვანენ, საიდანაც ***შვიდ სამყაროს***[21] გაივლი და მარადიული სიმშვიდის სამყაროთა სივრცეში მოხვდები.

თუ (მო)გინდა სახელების გაგება, ისმინე და დაიმახსოვრე.

პირველი სასახლის სახელია – ***არცოდნა,***[22] ეს ის სასახლეა, სადაც შენ სინათლე იხილე, სადაც ცხოვრობ და ***გარდაიცვლები***.[23]

მეორის სახელია – შეცნობის სასახლე.

მასში შენი სამშვინველი სიცოცხლის გაფურჩქვნას მიაღწევს, მხოლოდ იცოდე, ყოველი გაფურჩქვნილი ყვავილის ძირში – ***გველია***[24] ჩასაფრებული.

მესამე სასახლის სახელი – სიბრძნეა; მის მიღმა ***ყოვლისმცოდნეობის***[25], ***აკშარას*** უშრეტი ცოდნის, უსასრულო წყაროს წყლებია გადაშლილი.

თუ მოისურვებ პირველი სასახლის უსაფრთხოდ გავლას, ნება არ მისცე შენს სამშვინველს, ვნებათა ცეცხლი სიცოცხლის მზის სინათლეში რომ აერიოს. თუ გინდა გაიარო მეორეც, არ შეაყოვნო ფეხის ნაბიჯი

იმისათვის, რომ დატკბე ამ სავანის მაცდურ ყვავილთა დამათრობელი ნეტარსურნელებით. თუ გსურს ***კარმის***[26] ბორკილების მოცილება, ნუ ეძებ შენს ***გურუს***[27] მოჩვენებათა ამ ქვეყანაში.

ბრძენი არ ყოვნდება გრძნობათა ტკბობის ამ სავანეში.

ბრძენი ყურს არ უგდებს ტკბილად მოუბარ ილუზიას.

ეძიე ის, ვინც ***სიცოცხლეს***[28] მოგანიჭებს, სიბრძნის სასახლეში, რომელიც ყველაფრის მიღმიერია და იქ იმყოფება, სადაც არ არსებობენ ჩრდილები და ჭეშმარიტების სინათლე ჩაუქრობელი დიდებით ანთია.

ხელთუქმნელი არსებობს შენში, მოსწავლევ, ისევე, როგორც არსებობს იგი სიბრძნის სავანეში. თუ გსურს, მიაღწიო მას და ორთავე შენში გაამთლიანო, მაშინ, მოიცილე ილუზიის შავი საბურველი. დაახშვე სხეულის დაუოკებელ სურვილთა ბორგვა, არ მისცე ნება ვნებით აღვსილ წარმოდგენებს, სიბრძნისკენ მიმავალი შენი სინათლის გზა ჩაგიხერგონ, რათა გააერთიანო ისინი. როდესაც საკუთარ ***უმეცრებას***[29]

მიხვდები, სწრაფად გაეცალე ცოდნის სავანეს. საშიშია მისი მზაკვრულად მომხიბლავი სილამაზე და იგი მხოლოდ შენს გამოსაცდელადაა საჭირო. იფრთხილე, რათა მისი მაცდური ბრწყინვალებით მოტყუებული შენი სამშვინველი არ მოექცეს მისი მოჩვენებითი ნათლის უღელქვეშ.

ეს სინათლე დიდი მაცდურის, ***მარას***[30] უძვირფასესი გვირგვინიდან ანათებს. გრძნობები, ამ ნათებით მონუსხულნი, აბრმავებენ სამშვინველს და უგუნური მიჰყავთ მარცხისაკენ.

შენი ღამის ლამპარით მოხიბლული ჩრჩილი განწირულია მის ალში დასაღუპავად. უდარდელი სამშვინველი, რომელიც ილუზიის დამამცირებელ დემონთან ბრძოლაში ამაოდ იცლება ძალებისაგან, ისევ სიკვდილის მონად დაუბრუნდება დედამიწას.

შეხედე აურაცხელ სულთა კრებას. დააკვირდი, როგორ ბორგავენ ისინი ადამიანთა ცხოვრების აბობოქრებულ ოკეანეთა ზე, როგორ უძლურდებიან, იცლებიან სისხლისაგან და ფრთებდამსხვრეულნი,

ცხოვრების აბობოქრებული ზღვის ზვირთებში ერთიმეორის მიყოლებით შთაინთქმებიან. გაავებული ქარისაგან აწიოკებულნი, გრიგალებისაგან დევნილნი, მორევში იხრჩობიან და ზღვის პირველივე ხახადაფჩენილ უფსკრულში უჩინარდებიან.

თუკი სიბრძნის სასახლეს გაივლი და ნეტარების ველის მიღწევასაც ისურვებ, მტკიცედ შეკარი შენი გრძნობები, რათა ვერ შეაღწიოს მათში გათიშვის დამღუპველმა ერესმა, რათა არ დაკარგო ***ერთიანი.***

ნება არ მისცე ***მაიას,***[31] ილუზიების ტალღებში ჩაძირულ "***ზეცაში შობილს,***[32]" მოსცილდეს ***ერთიან მამას,***[33] ოღონდ ეცადე, რომ ცეცხლოვანმა ***ძალამ,*** [34] შენი ***გულის***[35] ყველაზე იდუმალ, ჭეშმარიტ ადგილას დაისადგუროს.

და მაშინ ეს ძალა ამაღლდება შენი გულიდან, გადაინაცვლებს მეექვსე შუალედურ სივრცეში, შენს თვალთახედვის შუასაყარში, სადაც შენი ერთიანი სამშვინველის სუნთქვად გარდაიქცევა და მასწავლებლის ხმად აჟღერდება, ხმად, რომელიც ყველაფერს აღავსებს.

აი, მხოლოდ მაშინ გახდები "***ზეცაში მოგზაური,***[36]" ის მოგზაური, რომელიც წყლებს ზემოთ მოთარეშე ქარებზე დააბიჯებს ისე, რომ ტალღებს ტერფებით არც კი ეხება.

ვიდრე მისტიურ ბგერათა ზედა საფეხურზე შედგები, შენ ღმერთის ხმა უნდა გაიგონო, რომელიც შენშია, თავისი შვიდი ნაირსახეობით.

პირველი ბულბულის ტკბილი სტვენის მსგავსია, ბულბულისა, რომელიც თავის მეწყვილეს დამშვიდობების საგალობელს უმღერს.

მეორე არამიწიერი ***სულის***[37] ვერცხლის წინწილას ხმაზედ ჟღერს ისე, რომ ვარსკვლავთა ციმციმს აღვიძებს.

შემდეგი ბგერა ჰგავს საკუთარ ნიჟარაში დატყვევებული ოკეანის სულის მელოდიურ ჩივილს.

მას ***ბამბითის***[38] სიმღერა მოჰყვება.

მეხუთე, შენში ლერწმის სალამურის წკრიალით შემოდის. და საყვირის ხმაში გადაიზრდება.

ბოლო ბგერა, ღრუბელში მეხის ყრუ

გრუხუნის მსგავსად გადაიგრიალებს.

მეშვიდე ბგერა სხვა ყველა ბგერას შთანთქავს. ისინი მოკვდებიან და ვეღარავინ გაიგონებს მათ.

როდესაც მთელი შენი ***პიროვნება***[39] დამარცხებულია და მასწავლებლის ფეხებთანაა გართხმული, მოსწავლე მაშინ ერწყმის ერთიანს, აღწევს ერთიანთან გაიგივებას და იმყოფება ***მასში***[40].

ვიდრე გზაზე შეაბიჯებ, შენ, შენი "***სურვილების სხეული***[41]" უნდა მოსპო, განწმინდო "***აზრთა სხეულიც***[42]", გული კი უმანკო უნდა გახადო.

მარადიული სიცოცხლის წმინდა, გამჭვირვალე კრისტალური წყლები აღარ აიღრევიან შმაგი ქარისაგან დევნილ ბინძურ წყლებში. დილის მზის სხივებში წმინდა ***დუმფარას (ლოტოსის)*** მკერდს ნაპკურები ელვარე ცის ნამის წვეთები, იფერფლებიან, თუკი მიწაზე დაეცემიან... შეხედე!.. წმინდა მარგალიტი ტალახად იქცა.

შეეჯიდე უწმინდურ აზრებს მანამ, სანამ ისინი დაგამარცხებენ შენ. არ დაინდო ისინი, ისევე როგორც ისინი არ გინდობენ შენ,

რადგან თუ დაუთმობ მათ და ისინი განმტკიცდებიან და ზრდას დაიწყებენ, გწამდეს ჭეშმარიტად; შენი აზრები მოგერევიან და მოგსპობენ. გაფრთხილდი, მოსწავლე, მათ ჩრდილსაც კი არ მისცე საშუალება, მოგიახლოვდნენ შენ. რადგან ეს ჩრდილი დაიწყებს ზრდას, შეიძენს მოცულობას და ძალას, და ბნელეთის ქმნილება გადაგყლაპავს მანამ, სანამ შენ შავი ურჩხულის არსებობას შენიშნავ.

ვიდრე შენი "***მისტიური ძალა***[43]" ღვთაებად შეგექმნის, შენმა ნებამ გამარჯვება უნდა მოიპოვოს "მოძრაობის სხეულთან" ბრძოლაში.

შენი ფერფლი და სული ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს; ერთ-ერთი მათგანი უნდა გაქრეს, რამეთუ მათი ერთად არსებობა შეუძლებელია.

ვიდრე შენი სამშვინველის გონება გაიღვიძებდეს, პიროვნების ჩანასახი უნდა დაინგრეს, ვნებათა ჭია მოისპოს ისე, რომ ვეღარ დაუბრუნდეს ცხოვრებას.

შენ ვერ გაჰყვები გზას, ვიდრე თვითონ არ გახდები თვით ეს ***გზა***[44]. დაე, შეისმინოს

შენმა სამშვინველმა მოძმისაგან ტანჯვის ყოველი შეძახილი, მსგავსად იმისა, როგორც წმინდა დუმფარა უხსნის დილის მზეს თავის გულს, რათა მისი სხივებით დატკბეს.

არ დაუშვა, რომ მცხუნვარე მზემ შეგიშროს ტანჯვის თუნდაც ერთი ცრემლი, ვიდრე შენ თვითონ არ შეუშრობ მას, შენი ხელით, დატანჯულის ღაწვებიდან.

დაე, შენს გულის წიაღში ჩაიღვაროს ტანჯული ადამიანის ყოველი ცრემლი, და იქ იმყოფებოდეს იგი; ნუ მოიცილებ მას, ვიდრე არ განელდება სევდა, რომლისგანაც იშვა იგი.

ო, შენ, რომლის გულიც სავსეა სათნოებით, იცოდე რომ ეს ცრემლები – ის ნაკადულებია, რომლებითაცაა მორწყული უკვდავი თანაგრძნობის მინდვრები. მხოლოდ მორწყულ ნიადაგზე გაიფურჩნება ***ბუდას***[45] შუაღამის ყვავილი, ყველაზე იშვიათი ყვავილი ყვავილთა შორის. იგი – სიკვდილისა და დაბადების ხსნის მარცვალი გახლავთ. იგი ათავისუფლებს ***არქატს***[46] როგორც მოცილეობის სულისაგან, ისე ჟინისაგან და მიჰყავს იგი ყოფიერების ველებით მშვი-

დობისა და ნეტარებისაკენ, რომელიც მხოლოდ ***დუმილისა*** და ***არყოფნის***[47] ქვეყანაშია მიღწევადი.

მოსპე სურვილი, მაგრამ თუ მოსპობ, იფხიზლე, რათა არ გაცოცხლდეს იგი.

მოსპე სიცოცხლისადმი სიყვარული, მაგრამ თუ მოსპობ ***სიცოცხლისადმი***[48] სიყვარულს, მაშინ ეს მოხდეს არა მარადიული ცხოვრების წყურვილით, არამედ მოხდეს იმისათვის, რომ სასრული შეიცვალოს არსებულით.

ნუ ისურვებ ნურაფერს. ნუ გააშმაგებ გულს ***კარმის***[49] წინააღმდეგ და ნუ იქნები უკმაყოფილო ბუნების მარადიული კანონებით.

ებრძოლე მხოლოდ პირადს, გარდამავალს, მერყევს, განადგურებისათვის განწირულს.

დაეხმარე ბუნებას და ითანამშრომლე მასთან და აი, მაშინ ბუნება აღიარებს შენში ერთ-ერთ მის შემოქმედს და დაგემორჩილება შენ და ფართოდ გახსნის შენს წინ სანუკვარი წიაღისაკენ მიმავალ კარს. შენს თვალწინ გახსნის ქალწულებრივ უმანკო მკერდში დავანებულ თავის ყველა საგან-

ძურს. მიწიერი ხელისაგან ხელშეუხებელი, შეურყვნელი, იგი თავის საგანძურს შენს სულიერ თვალთახედვას გაუმხელს, იმ სულიერ თვალთახედვას, რომელსაც არასოდეს არ სძინავს, რომლისათვის აღარ არსებობს არანაირი საფარველი ყოველ მის სამფლობელოში.

მაშინ იგი მიმართულებასაც მიგანიშნებს და შესაბამის აღჭურვილობასაც შეგძენს, რათა განვლო პირველი ***შესასვლელი***[50], მეორე, მესამე და ასე ყველა, მეშვიდეს ჩათვლით. აი, მათ მიღმა კი უკვე მიზანია, რომლის იქეთ, სულიერი სინათლით გასხივოსნებული ეზიარება ენით გამოუთქმელ დიდებას, რომელიც დაფარულია უცხო თვალთათვის, გარდა სულიერი თვალთახედვის მქონეთათვის.

მხოლოდ ერთ ნაკვალევს მივყევართ ღვთისაკენ მიმავალ გზაზედ; მხოლოდ მის დასასრულს შეიძლება ჩაგესმას ხმა მდუმარებისა. კიბე, რომლითაც ადის ძიებას დაწაფებული, ნაშენია ტანჯვისა და სევდის საფეხურებით; მათი განელება მხოლოდ სიკეთით აღვსილ ხმას შეუძლია. ვაი შენ,

მოსწავლევ, თუკი ამ კიბის მიღმა თუნდაც ერთ მანკიერებას გადაიტან და კიბის ძირში არ დატოვებ; რამეთუ კიბე ჩატყდება მაშინ და ძირს გადმოგაგდებს. კიბის ძირი შეცდომებისა და შენივე შეცოდებათა ჭაობში დგას და ვიდრე გაბედავ განსხეულების ვრცელ უფსკრულს გადაევლო, შენ უნდა განბანო შენი ფეხები ყოველი ამაოებისაგან განთავისუფლების, საკუთარი თავის უარყოფის წყლებში. ვაი იმას, ვინც გაბედავს და უწმინდური ფეხებით წაბილწავს თუნდაც ერთ საფეხურს. შავი და წებოვანი ტალახი გამკვრივდება და ადგილზე მიადუღაბებს თავხედს; და ვით მზაკვარი მონადირის ხაფანგში გაბმული ჩიტი, ვედარ შეძლებს წინსვლას, თავხედის მანკიერებანი მოჩვენებებად გარდაიქცევიან და წაათრევენ მას უკან. მისი ცოდვები ხმას აიმაღლებენ და ისე აკივლდებიან და იხარხარებენ, როგორც დაისისას კივიან და ხარხარებენ ტურები; მისი აზრები ურდოებივით შემოესევიან მას და დატყვევებულს, მონობაში წაათრევენ.

მოკალი შენი სურვილები, მოსწავლევ, დაასუსტე ყოველი შენი მანკიერება, ვიდრე

უზენაესისაკენ მიმავალ გზაზე შედგავ ფეხს.

გაანადგურე შენი ცოდვები, სამარადისოდ დაამუნჯე ისინი, ვიდრე აღმავლობის გზას შეუდგები.

დაამშვიდე შენი აზრები და მთელი შენი ყურადღება მიმართე მასწავლებლისკენ, რომელსაც შენ ჯერ ვერ ხედავ, მაგრამ რომელსაც შენ უკვე გრძნობ.

გარდააქციე შენი ყოველი გრძნობა, ერთიან გრძნობად თუ გსურს, რომ იყო დაცული მტრებისაგან. სხვაგვარად შენი სამშვინველის დაბინდული თვალებისათვის არ გამოჩნდება მასწავლებლისაკენ მიმავალი ციცაბო ბილიკი.

გრძელია და დამქანცველი გზა, რომელიც შენს თვალწინაა გადაშლილი. თუნდაც ერთი სინანულიც კი, რომელსაც ზურგს უკან მოიტოვებ, უკან გადაგისვრის და ისევ მოგიწევს მძიმე აღმართის ხელახლა დაძლევა.

წარსულ სიძნელეთა ხსოვნა წაშალე. არ მოიხედო უკან, თორემ დაიღუპები.

არ დაიჯერო, რომ შეიძლება ჟინის მოსპობა, ვიდრე ასაზრდოებ და კვებავ მას: ეს სიცრუეა, რომელიც მარამ შთაგაგონა. მანკი-

ერების კვებით იგი ვრცელდება, იზრდება, იკრებს ძალას ისე, როგორც სუქდება ყვავილის გულში ჩაბუდებული მატლი.

თავისსავე ნერგზე აღმოცენებული, ვარდი კვლავ კვირტად უნდა ჩაისახოს, ვიდრე ჭია გამოჭამს მის გულს და მის სასიცოცხლო წვენს ამოშრეტს.

ოქროს ხე[1] მანამ შლის თავის უძვირფასეს ტოტებს, სანამ მას გრიგალები გაახმობენ.

მოსწავლე ჯერ ბავშვს უნდა დაემსგავსოს, ვიდრე მის ყურთასმენას პირველი ბგერა ჩაწვდება.

ერთმთლიანობის მასწავლებლის ნათელიც და მისი ოქროს ნათებაც სწავლის დაწყებისთანავე ასხივოსნებს მოსწავლეს. მასწავლებლის ნათელი გამჭოლად გადის მოსწავლის განსხეულების შავბნელ აურაში. ხან სად და ხან სად არ გამოანათებენ ეს სხივები ისევე, როგორც მზის სხივები ასხივოსნებენ დაბურული ტყის მინდვრებსა და გორაკებს. მაგრამ გახსოვდეს მოსწავლევ: ვიდრე სხეული არ მიატოვებს სურვილებს, ვიდრე არ დამშვიდდება შენი

თავი და სამშვინველი არ გახდება მტკიცე და წმინდა ვით მოელვარე ალმასი, მანამდე სინათლე ვერ შეაღწევს შენი სამშვინველის სანუკვარ სივრცეში, ვერ გაათბობს შენს გულს და ***მისტიური ბგერები***[52] ***სულიერი სიმაღლეებიდან***[53] ვერ მიაღწევენ შენს ყურთასმენას, რარიგ გულმოდგინედაც არ უნდა უსმინო მათ შენ, შენს პირველ საფეხურზე.

ვიდრე არ მოისმენ – ვერ იხილავ;

ვიდრე არ იხილავ – ვერ მოისმენ.

უცქერდე და ისმენდე – აი, პირველი საფეხური.

როდესაც გარე სამყაროსათვის მოსწავლეს დახშული აქვს ხედვა და სმენა, შეჩერებული აქვს სუნთქვა, ამ დროს იგი ხედავს, ესმის, ყნოსავს და აგემოვნებს კიდეც, რადგან მისი ოთხი გრძნობა გაერთიანდა და მზადაა გადავიდეს, მეხუთე, ***შინაგან მგრძნობელობაში***,[54] ამით იგი მეოთხე საფეხურზე შედგავს ფეხს.

მეხუთეზე კი ყველა გრძნობა კვლავ უნდა ჩაკლა ისე, რომ ვეღარასოდეს დაუბრუნდნენ ***ცხოვრებას***[55].

შეაკავე შენი გონება ყოველი გარეშე საგნებისა და ჩვენებებისაგან.

თავი შეიკავე შინაგანი ხედვებისაგან, რათა არ დაჩრდილონ მათ შენი სამშვინველის სინათლე.

ამიერიდან შენ მიაღწიე ***სრულყოფილ ჭვრეტას***[56] – მეექვსე საფეხურს.

და როდესაც გადახვალ მეშვიდე საფეხურზე, ო ბედნიერების არსში ჩამწვდარო, შენ ვეღარ იხილავ ***წმინდა სამს***[57], რამეთუ თვითონ გახდები წმინდა სამება. თავად შენ და შენი გონება გვერდიგვერდ მდგარ ტყუპებს დაემსგავსებით, და მათ თავზე კი აინთება ***ვარსკვლავი***[58] – შენი ძიების მიზანი. "**სამი**", რომლებიც ენით გამოუთქმელ დიდებასა და ნეტარებაში იმყოფებიან, მაიას სამყაროში სახელს ვეღარ შეიძენენ ამიერიდან. ისინი ერთიან ვარსკვლავში გაერთიანდნენ, ანთებულნი, იმ არამწველ, ცეცხლში გაერთიანდნენ, რომელიც ***ალის გარსს***[59] წარმოადგენს.

შენ მიაღწიე, ო, გამარჯვების მატარებელო იოგო, რომელსაც ხალხი ***დხიანას***[60] უწოდებს – იმ ბოლოს წინა საფეხურს, რომლის იქეთ მხოლოდ ბოლო საფეხურია – ***სამადხი***[61].

ამიერიდან შენი "***მე***" ერთიან "***მე***"-შია ჩაძირული, რამეთუ შეუერთდა იმ "***მე***"-ს, საიდანაც დაიბადა შენი ყოფიერება.

სადაა შენი ინდივიდუალობა, ო, მოსწავლევ, სადაა თვითონ მოსწავლე? ის – ნაპერწკალია, რომელიც ალში შთაინთქა, წვეთი – ოკეანეს უსასრულობაში, წარუშლელი სხივი, რომელიც გახდა "***ყველაფერი***" და მარადიულ ნათებად იქცა.

ამიერიდან შენ თავად მოქმედიცა ხარ და მოწმეც, სინათლის ცენტრიცა და სხივთა ფენაც, ბგერაში სხივიც და სხივში – ბგერაც.

ყოველი ხუთი წინააღმდეგობა ცნობილია შენთვის, კურთხეულო. შენ დაამარცხე ისინი, შენ ბატონობ მეექვსე დაბრკოლებაზეც, შენ ***ჭეშმარიტების***[62] ოთხივე ნაირსახეობას ინახავ. სინათლე მათზე განფენილი, შენგან ანათებს, ო, შენ რომელიც მოსწავლე იყავ და ამიერიდან კი მასწავლებელი გახდი.

ოთხი ჭეშმარიტებიდან, ტანჯვის შემე-

ცნებით, განა შენ არ განვლე ჭეშმარიტება პირველი?

განა არ დაამარცხე შენ მბრძანებელი ***მარა***[63] იმ კარიბჭის შესასვლელთან, რომლითაც იწყება ცდუნებათა სამფლობელო – ჭეშმარიტება მეორე?

განა არ დაამარცხე შენ მესამე კარიბჭესთან ცოდვა და განა ამით მესამე ჭეშმარიტებას არ მიაღწიე?

განა არ შედგი ფეხი იმ ***გზაზედ***[64], რომელიც ცოდნისაკენ მიდის, – ჭეშმარიტება მეოთხე?

ამიერიდან დარჩი ბოდხის ხის ძირას, რომელიც ყოველი შემეცნების სრულყოფილებაა, რადგან იცოდე, შენ სამადხი აითვისე: შენი თვალთახედვა უტყუარია და სრულყოფილი.

შეხედე! შენ თვითონ ხარ სინათლე, თვითონ ხარ ბგერა, ამიერიდან საკუთარი თავის მასწავლებელიცა ხარ და საკუთარი ძიების საგანიც: ის უწყვეტი ხმა, რომელიც დროის მარადისობაში ისმის, ის ხმაა, რომელიც ცვლილებას აღარ ექვემდებარება და მიუწვდომელია ცოდვებისათვის,–ეს



შვიდი ბგერაა ერთიან **დუმილის ხმაში.**

OM TAT SAT

ნაწყვეტი II

ორი გზა

ახლა კი, ო, თანაგრძნობის მასწავლებელო, მიანიშნე გზა სხვებს. შეხედე იმათ, ვინც გელოდება და ბნელიდან და უმეცრებიდან აკაკუნებს, რათა მათ წინაშეც გაიხსნას სიკეთის მომტანი, კანონისაკენ მიმავალი კარი!

მაძიებელთა ვედრება:

ხომ არ მოისურვებ, მოწყალეო, გვაზიარო გულის ***მოძღვრებას***[65]? ხომ არ უგულებელჰყოფ თხოვნას მსახურთა შენთა, – დააყენო ისინიც განთავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე?

პასუხი მასწავლებლისა:

გზა – ორია; დიადი სრულყოფილებანი – სამი; სათნოება – ექვსი, რომელნიც მო-

კვდავს "***შემეცნების ხედ***[66]" გარდასახავენ.

ვინ მიუახლოვდება მათ?

ვინ იქნება ის პირველი ღირსეული, რომელიც შედგავს ფეხს ამ გზაზედ?

ვინ იქნება ის, რომელიც პირველი მოისმენს ორი გზის მოძღვრებას, იმ ორი გზისა, რომელნიც ერთ მოძღვრებად ერთიანდებიან და უმხელენ მაძიებელს სანუკვარ ჭეშმარიტებას ***გულზე***[67]? კანონი, მოძღვრების გარდა, სიბრძნის შთამაგონებელია და მეტად სევდიან მწუხრზე მოგვითხრობს.

ვაი მე ბედშავს, რომელმაც ვუწყი, რომ ყოველი ადამიანისთვის ხელმისაწვდომია სიცოცხლის ეს საწყისი, რომ ყოველ მსურველს ძალუძს, ეზიაროს უდიადეს სულს და მაინც, აქვთ რა სიკეთის ესოდენ შესანიშნავი საშუალება, ისინი არ იყენებენ მას!

იმზირე ისე, როგორც იმზირება მთვარე მისგანვე განათებული წყლების ზედაპირზე, რათა იხილო, რომ სამყაროს სული ***(ალაია)*** აირეკლება დიდშიც და პატარაშიც, უმცირეს ატომშიც, მაგრამ ყოვლისა და ყველას გულს მაინც ვერა და ვერ აღწევს. ო, ნეტავ რატომაა,

რომ ადამიანთა ესოდენ მცირე რიცხვი იყენებს ჭეშმარიტების შეცნობის ამ ფასდაუდებელ თვისებას, არსებულის სწორად აღსაქმელად და არყოფნაში შესაღწევად!

ამბობს მოსწავლე:

ო, მოძღვარო, რა გავაკეთო იმისათვის, რომ სიბრძნეს ვეზიარო? ო, ბრძენო, რა მოვიმოქმედო, რათა სრულყოფილებას მივუახლოვდე?

ეძიე გზები. განწმინდე გული, ვიდრე ძიებას დაიწყებ და სამოგზაუროდ გაეშურები. ვიდრე პირველ ნაბიჯებს გადადგავ, ისწავლე ჭეშმარიტის არაჭეშმარიტისაგან და წარმავალის მარადიულისაგან გარჩევა. რაც მთავარია, ეცადე გამიჯნო გონების ცოდნა სულის სიბრძნისაგან, "თვალის მოძღვრება" "გულის მოძღვრებისაგან".

ჭეშმარიტად, უმეცრება დახუფულ ჭურჭელსა ჰგავს, რომელსაც ჰაერი აკლია, სამშვინველი (მანასი) კი ამ ჭურჭელში მოქცეული ჩიტია. ვეღარ ჩიკჩიკებს და ვეღარც იძვრის მგალობელი, დუმს გაშეშებული, ვიდრე ღონემიხდილს სული არ განუტევებს.

მაგრამ, უმეცრებაც კი სჯობიან სულიერი სიბრძნის გარეშე თავით შეცნობილს, რადგან მხოლოდ სულიერ სიბრძნეს ძალუძს გზის განათება და მასზე მაძიებლის სწორი წარმართვა.

სიბრძნის მარცვლები ვერ იზრდებიან ჰაერს მოკლებულ სივრცეში. რათა იცოცხლოს და ცხოვრების გამოცდილების ნაყოფი მოიტანოს, სულს სივრცე, სიღრმე და ის სწორი მითითებანი ესაჭიროება, რომელნიც მას ზეცისაკენ, ***ალმასის სულისაკენ***[68] მიმართავენ. ასეთ მითითებებს ნუ ეძებ ილუზიის სამფლობელოში, არამედ ამაღლდი ილუზიებზე, ეძიე მარადიული და ***უცვლელი***[69], ნუ ენდობი საკუთარი გონების ჭირვეულ სურვილებს.

რამეთუ გონება სარკესა ჰგავს: არეკვლისას მისი ზედაპირი ***იმტვერება***[70] და მხოლოდ სამშვინველის (მანასის) სიბრძნის ნაზი შთაბერვით გაქრება ილუზიის მტვერი გონებიდან. ეცადე, ო, ახალბედავ, გაამთლიანო შენი სული და გონება.

მოერიდე არცოდნას, მაგრამ ასევე მოერიდე ილუზიასაც. იბრუნე პირი ამა ქვეყნის

ყოველი ხიბლისაგან; ნუ ენდობი შენს გრძნობებს, რამეთუ ისინი მაცდურნი არიან. მაგრამ შენს შიგნით – შენსავ გრძნობათა კიდობანში – უპიროვნოში ეძიე საკუთარი ჭეშმარიტი "***მე***[71]" და იპოვი რა მას, შენსავე სიღრმეში ჩაიხედე; და გახდები "***განხივოსნებული***[72]".

განერიდე ქებას, ო , სასოებით აღვსილო: ქება ხიბლში მოგაქცევს. შენი სხეული, თვითონ შენ როდი ხარ, შენი ჭეშმარიტი "***მე***"– უხორცოა და ვერცა ქება და ვერცა ძაგება ვერ შეეხება მას.

თვითკმაყოფილება ცაში აზიდულ კოშკსა ჰგავს, რომლის წვერზეც ბრიყვი ამაყი შემომჯდარა. იქ, უჩინარმა სხვათათვის, მოიკალათა მან თავის ამაყ სიმარტოვეში, გამოჩენილი მხოლოდ საკუთარივე თავისათვის.

მცდარი მოძღვრება უკუგდებულია ბრძენთაგან, სიკეთის კანონის ძალით ისინი ქარს გაატანენ მას. ამ კანონის ბორბალი ერთნაირად ბრუნავს როგორც მორჩილთათვის, ასე ამაყთათვის. "***თვალის მოძღვრება***,"– ბრბოს; "***გულის მოძღვრება***" – რჩეულთ.

პირველნი, საკუთარი სიამაყით დამთვრალნი, ხმამაღლა აცხადებენ: "***შეხედეთ, მე ვიცი***", უკანასკნელნი კი, რომელნიც მორჩილად აგროვებდნენ ჭირნახულს საკუთარ ბეღელში, ჩუმად იძლევიან აღსარებას "***ასე მეთქვა მე***[73]".

"დიადი გამცრელი"-ა სახელი ***"გულის მოძღვრებისა"***. სიკეთის კანონის ბორბალი სწრაფ, დაუღალავ ბრუნვაშია. იგი ლეწავს დღისით და ღამით, უვარგის ბზეს განაცალკევებს იგი ოქროს მარცვლებისაგან, ქატოს – სუფთა ფქვილისაგან. კარმის ხელი მიმართავს ბედის ბორბალს: მის ბრუნვას მისი გულის ცემა აღნიშნავს.

ჭეშმარიტი ცოდნა – ფქვილია, მცდარი კი – ქატო. თუ სიბრძნის პურით დაპურება გსურს, შეზილე იგი უკვდავების წმინდა წყლებით ***(ამრიტა)***. თუკი ქატოს ილუზიის ცვარნამით შეზილავ, შენგან მომზადებული საკვები მხოლოდ სიკვდილის შავი ფრინველების საკვები გამოვა, დაბადების, ნგრევისა და სევდის ფრინველთა გამოსაკვები.

თუ გეტყვიან, რომ ***არქატი***[74] მაშინ გახდები, როდესაც ყოველი ცოცხალი არსების სი-

ყვარულს დაივიწყებ, უთხარი მათ, რომ ეს სიცრუეა.

თუ გეტყვიან, რომ განთავისუფლების მიღწევა შეიძლება მხოლოდ საკუთარი დედის შეძულებით, საკუთარი ვაჟის უარყოფით, მამაზე უარის თქმით, ადამიანთა და ცხოველთა მიმართ თანაგრძნობაზე უარით, – უთხარი მათ, რომ ცრუობს მათი ენა.

ასე ასწავლიან ***ურწმუნონი***[75].

თუ შეეცდებიან, გასწავლონ, რომ ცოდვა საქმიანობისაგან იბადება, ნეტარება კი – უსაქმურობით, უთხარი მათ, რომ ცდებიან ძლიერ. ადამიანთა საქმიანობის წარმავლობის წარმოდგენები, სულის მონობის ბორკილებიდან განთავისუფლება ცოდვებისა და შეცდომების შეწყვეტით, გამოსადეგი როდია განსხეულებულ ***სულთათვის***[76]; ასე ამბობს ***"გულის მოძღვრება".***

თვალის ***დხარმა***[77] გარეგნულისა და წარმავალის განხორციელებაა; დხარმა გულისა კი ღვთაებრივი ***სიბრძნის***[78], მუდმივისა და რეალურად არსებულის განხორციელებაა.

ლამპარი მაშინ კაშკაშებს, როდესაც ზეთი და შუშა სუფთანი არიან. იმისათვის, რომ მათი სისუფთავე შევინარჩუნოთ, საჭიროა მათი გაწმენდა. მხოლოდ ალი კი როდი გრძნობს ამას. ***“ხის ტოტები ირხევიან ქარისაგან, ღერო კი უძრავია”.***

ორივე საწყისს, ქმედებასა და უმოქმედობას შეუძლიათ შენში თანაარსებობა: დაე, იყოს სხეული შენი მოძრაობაში, გონება – სიმშვიდეში და სული, – მთის ანკარა ტბასავით ნათელი და გამჭვირვალე.

ისურვებ კი გახდე იოგი დროთა ამგვარ ორომტრიალში? თუკი ისურვებ:

– არ დაიჯერო, რომ დაბურულ ტყეთა წიაღში ადამიანთაგან ამაყი განდგომით; არ დაიჯერო, რომ ფესვებისა და ფოთლების ჭამით; რომ წყურვილის მთებიდან თოვლის ნაჟური წყლის სმით;

– არ დაიჯერო, ო, მოკრძალებულო, რომ ასე მიხვალ სასრულ განთავისუფლებასთან.

არ იფიქრო, რომ საკუთარი ძვლების მტვრევითა და ხორცის წვალებით, შენ მიაღწევ “***მდუმარე მე***[79]”-სთან შეერთებას. არ იფიქრო, ო, საკუთარი ***აჩრდილის***[80]

მსხვერპლო, რომ აღასრულებ შენს ვალს ბუნებისა და ადამიანების მიმართ, თუკი შენი უხეში გარსის ცოდვებს მოერევი.

კურთხეულნი მნიშვნელობას როდი ანიჭებდნენ ასეთ მიღწევებს. როდესაც მოწყალების მეუფემ, კანონის ***ლომმა***[81], ადამიანთა ტანჯვის ჭეშმარიტი მიზეზი განჭვრიტა, დაუყოვნებლივ მიატოვა მან საკუთარ თავზე შეყვარებულთა წყნარი სავანე და ***განდეგილი***[82], კაცობრიობის მოძღვარი გახდა. ნირვანას მიღწეულმა, მთებსა და დაბლობში დაიწყო ადამიანებისა და ***ღმერთებისადმი***[83] მიმართული ქადაგება.

თესე სიკეთე და მის ნაყოფსაც მოიმკი. სათნოებაში უმოქმედობა მომაკვდინებელ ცოდვაში გადადის, – ასე ბრძანებს ბრძენი.

შეგიძლია შეიკავო თავი მოქმედებისაგან? ვერა, ასეთნაირად ვერ მიაღწევს სული შენი განთავისუფლებას. რათა ***ნირვანა***[84] მიღწეულ იქნას, საჭიროა ***საკუთარი თავის შეცნობა***, რაც მხოლოდ ქმედითი სიყვარულის შედეგს წარმოადგენს.

დაემსგავსე ისეთ მომთმენს, რომელსაც არც უიღბლობისა ეშინია, და არცა წარ-

მატებას არ მაძიებლობს. მიაპყარ შენი სულის მზერა იმ ვარსკვლავს, რომლიდანაც შენი სულიერი "*მე*[85]" ანათებს, იმ ცეცხლოვან ვარსკვლავს, რომელიც მარადიული ყოფნის უსინათლო სიღრმეებიდან, იდუმალი უსასრულო ველებიდან ანათებს.

შეიმოსე მუდმივობით, მსგავსად იმისა, ვინც ითმენს ბოლომდე. შენი ჩრდილები ცხოვრობენ და *ქრებიან*[86], "შემცნობი შენში" კი, – მარადიულად არსებობს; იგი ისაა, რომელიც იყო, არის და იქნება კიდეც, რომლისთვისაც არასოდეს არ დადგება საბედისწერო ჟამი.

თუ მოისურვებ სიმშვიდე და ნეტარტკბილი მოსვენება მოიმკა, მაშინ მომავალ ცხოვრებათა ყანაში ღირსეული მარცვალი დათესე. მიიღე ჯავრი შენივ ცხოვრებისაგან.

გაეცალე მზის სინათლეს და ჩრდილში დადექი, რათა დაუთმო ადგილი სხვებს. იმ ცრემლებიდან, რომლებითაც მორწყულია მწუხრისა და ტანჯვის გახურებული ნიადაგი, აღმოცენდებიან ყვავილები და ამოვა ნაყოფიც: ეს კარმის სამართლიანი საზღაურია. ადამიანის გავარვარებული ქუროდან, რო-

მელიც შავი ბოლის ღრუბლებს აფრქვევს, ფრთოსანი ცეცხლი იბადება... ცეცხლი ზემოთ მიისწრაფის, და კარმის ყოვლის მხედველი თვალის ზედამხედველობით, სამი უზენაესი გზისათვის განკუთვნილი ნათელი სამოსელის, გასაოცარი ქსოვილი იქსოვება.

ამ სამოსელთა სახელებია: ***ნირმანაკაია, სამბხოგაკაია, დხარმაკაია***[87], – სრულყოფილების სამი საფარი.

"***განდობის***[88]" ეს სამი სამოსელი ადამიანს ჭეშმარიტად მარადიულ სინათლეს ანიჭებს. მათ მისთვის სიბრძნე მოაქვთ, რომელიც პიროვნების შხამიან ნესტარს ანადგურებს; ისინი სიკვდილისა და დაბადების ბედის ბორბალის განუწყვეტელ ტრიალს აჩერებენ, მაგრამ, ო, მოსწავლევ, მათივე მადლით ხომ თანაგრძნობაც კვდება სამუდამოდ. რამეთუ დხარმაკაიას დიდების სამოსელით შემოსილ სრულყოფილ ბუდდებს, უნარი აღარ შესწევთ, ხელი შეუწყონ ადამიანთა გადარჩენის საქმეს. აფსუს! შეეწირება კი მრავალი ერთს, გადაჭყვება კი მთელი კაცობრიობა ერთის სიკეთეს?

უწყოდე, ო, დამწყებო, იგი – გახსნილი

გზაა, ნეტარებისაკენ თავზე შეყვარებულთა გზა, რომელსაც ***"საიდუმლო გულის"*** ბოდხისატვებმა, თანაგრძნობის ბუდდებმა, ზურგი შეაქციეს.

კაცობრიობის სასიკეთოდ ცხოვრება პირველი ნაბიჯია. ექვსი ნათელი ***სათნოების***[89] განხორციელება, – მეორე ნაბიჯი.

ნირმანაკაიას მორჩილების სამოსელით შემკული, – უარს ამბობს საკუთარი "მე"-ს მარადიულ ნეტარებაზე, რათა ადამიანის გადარჩენას შეუწყოს ხელი. მიაღწიო ნირვანის ნეტარებას, რათა უარი სთქვა მასზე, – ეს სასრული, უზენაესი ნაბიჯია საკუთარი თავის უარყოფის გზაზე.

უწყიდე, მოსწავლევ, რომ ესაა საიდუმლო გზა, სრულყოფილების ბუდებისგან არჩეული, იმათგან, რომელნიც, უფრო სუსტი სულების მიმართ თანაგრძნობის გამო, ***ეწირებიან*** მათ.

მაგრამ თუ შენი სულის ფრთები სუსტია და ვერ წვდები ***"გულის მოძღვრების"*** სიმაღლეებს, თუკი შენ თვითონ საჭიროებ დახმარებას და გეშინია სხვათა სასიკეთოდ თავის გაწირვა, – დაე გაფრთხილებულ იქნას

შენი მხდალი გული დროულად: იკმარე მოძღვრების კანონის გარეგნულობა. და მაინც, გქონდეს იმედი, რადგან, თუ "საიდუმლო გზა" შენთვის მიუწვდომელია დღეს, შესაძლოა იგი ხელმისაწვდომი გახდეს ***ხვალ***[90]. შეიტყვე, რომ არც ერთი ძალისხმევა, თუნდაც უმცირესი, მიმართული სიკეთისა თუ ბოროტისაკენ, არ შეიძლება ამოკვეთილ იქნას მიზეზთა სამყაროდან. კვამლის მოფარფატე ნაფლეთიც კი ტოვებს თავის კვალს. "სასტიკი სიტყვა", წარსულ ცხოვრებაში ნათქვამი, არ მოისპობა, არამედ კვლავ და კვლავ ***უბრუნდება***[91] მთქმელს". შეუძლებელია პილპილის ბუჩქის ძირმა ვარდი გაახაროს, და ჟასმინის ვერცხლისფერი ვარსკვლავის ყვავილი, ვერ გარდაისახება ეკლად ან შხამიან მცენარედ.

"ამჟამად" შენ შეგიძლია "მომავალი დღის" პირობების შექმნა. "***დიადი მოგზაურობის***[92]" ყოველ წუთსა და წამში შექმნილი მიზეზები შეიცავენ შედეგთა მოსავალს, რამეთუ განუხრელი სამართალი მართავს სამყაროს. ძლევამოსილ, უნაკლო შემოქმედების მისწრაფებას მოკვდავისათვის

მოაქვს ან ბედნიერება ცხოვრებისა, ან მწუხრი არსებობისა, რაც მისი ყოველი აზრისა და საქციელის განუხრელი კარმის შედეგს წარმოადგენს.

მაშ, მიიღე ყოველივე, რაც შენს დამსახურებას შემოუტანია შენთვის შენს მარადიულ საგანძურში, ო, გულო, აღვსილო მოთმინებით. არ დაიდარდო და კმაყოფილი იყავ შენივ ხვედრით. ასეთია კარმა შენი, შენს განსხეულებათა ბრუნვის კარმა და იმათი ბედიც, რომელნიც თანაგრძნობითა და უბედობით შენთან ერთად დაბადებულნი, ცხოვრებიდან ცხოვრებამდე ხარობენ და ტირიან იმიტომ, რომ შენს წარსულ მოქმედებებთან არიან დაკავშირებულნი.

ჰქმენ სიკეთე მათთვის ახლა და მომავალში ისინი გააკეთებენ იგივეს შენთვის.

მხოლოდ საკუთარ თავზე უარის თქმის ყვავილისაგან ვიღებთ სასრული განთავისუფლების ტკბილ ნაყოფს.

მსჯავრდებულია ის, ვინც ცოდვის

ცდუნებით (მარასაგან) დაშინებული, თავს იკავებს, დახმარება გაუწიოს ადამიანს, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ თავზე ზრუნვა ურჩევნია. მოგზაური, რომელსაც სწყურია, მოსვენება მოუტანოს თავის, ცხოვრების ტალღებში დაქანცული სხეულის ასოებს, და იმავდროულად მას აშინებს ცხოვრების მდინარის დინების სისწრაფე, რის გამოც იგი ვერ ბედავს მასში შესვლას, განწირულია სიცხისაგან სატანჯველად. შიშის გამო, საკუთარ თავზე შეყვარებულის უმოქმედობას მხოლოდ ცუდი ნაყოფი მოაქვს.

საკუთარ თავზე შეყვარებულის ღვთისმოსაობა – უაზრობაა. ადამიანმა, რომელმაც არ აღასრულა მისთვის ცხოვრებისაგან განსაზღვრული საქმე, იცხოვრა ამაოდ.

მიჰყევ ცხოვრების ბედის ბორბალს; მიჰყევ მოვალეობის ბორბალს რასისა თუ ნათესავების, მეგობრებისა თუ მტრის მიმართ და ერთნაირად დაახშვე სული შენი, როგორც სიხარულის, ისე უბედურების მიმართ. დაახშვე ბედისწერის (კარმის) კანონი და შეიძინე სულიერი ***ძალები***[93] მომავალი

დაბადებისათვის.

და თუ მზეობას ვერ შეძლებ, მორჩილ პლანეტად დარჩი. და თუ არ ძალგიძს შუადღის მზესავით გიზგიზებდე თოვლით დაფარული მარადიულობის მთების მწვერვალებსა ზედა, მაშინ აირჩიე, ო, დამწყებო, უფრო მოკრძალებული ხვედრი.

მიუთითე გზა სხვებს – თუნდაც სუსტი ნათებით, რომელიც კაშკაშა ვარსკვლავთა გარემოცვაში იკარგება ისე, როგორც საღამოს ვარსკვლავი, რომელიც მხოლოდ ბნელში დარჩენილ მგზავრებს უნათებს გზას.

შეხედე მარსს, სქელი წითელი ნათებიდან მისი ***"თვალი"*** როგორ ეალერსება მძინარე დედამიწას. შეხედე მერკურის ***"მარჯვენის"*** ცეცხლოვან ნათებას, რომელიც სიყვარულით ანათებს მისი ასკეტების თავების ზემოთ. ამჟამად ორივე, ***მზის***[94] მსახურია, ღამის მდუმარე მეციხოვნენი, რომლებიც მზის არყოფნისას ფხიზლობენ. მაგრამ წარსული ***პერიოდებისას***[95] ორივე ბრწყინვალე მზე გახლდათ და კვლავ მზეებად შეიძლება რომ მოგვევლინონ მომავალში. ასეთია ბუნებაში ამაღლებისა და დაცემის

კარმის კანონი.

დაემსგავსე მათ, მიეცი სინათლე და ნუგეში მშრომელ მოგზაურს და ეძიე ის, ვინც შენზე ნაკლები იცის; ვინც იმედსა და ნუგეშს მოკლებული, მოძღვრის გარეშე, გაუნელებელ მწუხრშია ჩაძირული, ვისაც პური და სიბრძნე მონატრებია და აჩრდილს ასაზრდოებს; უამბე მას სიკეთის კანონის შესახებ.

უამბე მას, ო, მისწრაფებულო, რომ მან, ვინც შეძლო ქედმაღლობისა და თავმოყვარეობის ძლევა მოწიწების გულისათვის; ვინც, ჯერ კიდევ სიცოცხლეზეა შეყვარებული, მაგრამ გადაწყვიტა, საკუთარი მოთმინება და კანონისადმი მორჩილება, როგორც ლამაზ ყვავილთა თაიგული ბუდას წმინდა ფეხებთან მიიტანოს მსხვერპლად, ის უკვე ამ ცხოვრებაშივე ხდება "***შროტაპატტი***[96]", "დინებაში შესული". სრულყოფილების სულიერი ***ძალები***[97], შესაძლოა, ჯერ კიდევ შორს ციალებდნენ მისთვის, მაგრამ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია და იგი დინებაშია შესული, ასე, რომ მისი თვალთახედვა შეიძლება არწივის თვალთა-

ხედვას დაემსგავსოს და ყურთასმენა კი, – მფრთხალი შველის ყურთასმენას.

უამბე მას, ო, მაძიებელო, რომ ჭეშმარიტი ღვთისმოსავობით შეუძლია ცოდნის დაბრუნება, რომელიც მას წარსულ ცხოვრებათა სივრცეში ეკუთვნოდა. ანგელოზთა სმენა და თვალთახედვა ერთ მოკლე ცხოვრებაში როდი შეიძინებიან.

მიაღწიე მორჩილებას, თუ სიბრძნის შეძენა გწადია.

განამრავლე მორჩილება, თუკი სიბრძნე უკვე მიღწეული გაქვს.

დაემსგავსე ოკეანეს, რომელიც თავის გულში ყველა მდინარესა და ნაკადულს შეიერთებს. ოკეანეს ძლევამოსილი სიმშვიდე როდი ირღვევა ამით, იგი ვერც კი გრძნობს მათ.

ალაგმე შენში მდაბალი ღვთაებრივით, ღვთაებრივი შეაკავე მარადიულით.

ჭეშმარიტად დიდია ის, ვინც სძლია სურვილს; მაგრამ უფრო დიადია ის, რომელშიც ღვთაებრივმა დიდმა "მე"-მ თავისი სურვილის შეცნობის მიდრეკილებაც კი აღმოფხვრა:

დაიცავი შენი მდაბალი, რათა არ გააუწმინდუროს მან შენში მაღალი.

სასრული განთავისუფლების გზა – შენს დიდ "მე"-შია.

ეს გზა იწყება და მთავრდება კიდეც შენი პირადი მდაბალი "მე"-ს მიღმა.

ამაყთათვის[98] ყველა მდინარის სათავე მწირია და ქებას არ იმსახურებს; არარაობაა უგუნურთა თვალში ადამიანი, მათგან გარეგნულად შეფასებული, თუნდაც რომ უკვდავების (ამრიტას) წყლის მდინარეები ჩქეფდნენ მასში; და მაინც, წმინდა მდინარეების სათავე ***წმინდა ქვეყანაშია***[99] ძევს და ყოველ, სიბრძნეს ნაზიარევ, ადამიანს ეთაყვანებიან გონიერნი.

არქატები და ბრძენკაცები, რომლებიც ჭვრეტის უსაზღვრო ნიჭით არიან ***დაჯილდოებულნი***[100], ისევე იშვიათნი არიან, როგორც უდამბარას ხის ყვავილები. არქატები შუაღამის ჟამს იბადებიან წმინდა მცენარესთან ერთად, რომელსაც ცხრა და შვიდი ღერო ***ახასიათებს***[101], დალოცვილნი ამ ყვავილით, რომელიც თოვლით დაფარული მთების მწვერვალებზე ღამით

იფურჩქნება და ყინულის წმინდა ნაჟურით იკვებება იქ, სადაც ცოდვილი ვერასოდეს ვერ შესდგავს ფეხს.

არც ერთი არქატი არ ხდება ასეთად იმავ ცხოვრებაში, რომელშიც სული პირველად ეზიარა სასრული განთავისუფლების სევდას. და მაინც,–არც ერთ მეომარს, რომელიც ნებაყოფლობით მიილტვის "***ცოცხალსა***" და "***მკვდარს შორის***[102]" სასტიკი ბრძოლისაკენ, არ ეთქმის უარი უფლებაზე, ფეხი შედგას იმ გზაზედ, რომელიც მას ბრძოლის ველზე გაიყვანს, რადგან მან ან უნდა გაიმარჯვოს, ანდა დაეცეს.

თუ გაიმარჯვებს, – ჭეშმარიტად, იგი ღირსია ნირვანისა. მაგრამ, ვიდრე იგი თავის ჩრდილს, სიცოცხლის მოკვდავ გარსს მოიცილებს, რომელიც ტანჯვითა და უსასრულო სევდითაა აღვსილი, ადამიანები მასში დიად და წმინდა ბუდას აღიარებენ.

და თუ დაეცა ბრძოლაში, მაშინაც კი მისი დაცემა უნაყოფო როდი იქნება; უკანასკნელ ბრძოლაში დამარცხებული მტრები ვეღარასოდეს დაუბრუნდებიან ცხოვრებას მისი განსხეულების შემდგომ სიცოცხლეში.

და თუ შენ ნირვანას მიაღწევ ან უარჰყოფ შენს მიერ დამსახურებულ ***ჯილდოს***[103], დაე, ნუ გახდება შემოქმედების ნაყოფი ან მოქმედებისაგან თავშეკავება შენი განზრახვა, ო, გულო, აღვსილო გაბედულებით.

უწყიდე, რომ ბოდხისატვა, რომელიც ხელს იღებს თავის განთავისუფლებაზე ამგვარი მსხვერპლთშეწირვით, რათა "***იდუმალი ცხოვრების***[104]" ტანჯვით შეიმოსოს, "სამგზის თაყვანისცემის სახელს" იმსახურებს. გახსოვდეს ეს ო, შენ, რომელიც მწუხრის ხვედრს ირჩევ საუკუნეთა და საუკუნეთა მანძილზედ.

გზა თავდაპირველად ერთია, მაგრამ ბოლოში იგი გაორდება. სარბიელნი მისნი აღნიშნულია ოთხი და შვიდი კარით. ერთი, გზის ბოლოს ნეტარება, მყისიერია; მეორე, გზის ბოლოს ნეტარება, – გადავადებულია ხანგრძლივი დროით. ორთავ შენი დამსახურების საზღაურია: არჩევანი შენზეა.

ერთიანი გზა ორად იყოფა, "***აშკარა***" და "***ფარულ***[105]" გზებად. პირველს მიზნისაკენ მიჰყევხარ, მეორეს კი – საკუთარი თავის სამსხვერპლოსაკენ.

როს წარმავალს მარადიულისათვის წირავ, ჯილდო – შენია; წვეთი თავის სათავეს უბრუნდება, "***აშკარა გზა***" ნირვანისაკენ, აბსოლუტურობის უბრწყინვალესი მდგომარეობისაკენ, ნეტარებისაკენ მიდის, ისეთი ნეტარებისაკენ, რაც ადამიანის წარმოდგენას აღემატება.

აშკარა გზას განთავისუფლებასთან მივყევართ.

დაფარულ გზას კი საკუთარი თავის უარყოფა მოაქვს და ამიტომ ეწოდება მას ***"სევდიანი გზა".***

მას არქატი ენით გამოუთქმელი სულის სევდისაკენ მიჰყავს, "***ცოცხალი გვამის***[106]" მიმართ გლოვისაკენ და ტანჯული კაცობრიობის მიმართ უძლურებით აღვსილ სიბრალულისაკენ, რადგან არქატი ხედავს, რომ ისინი კარმის ყველა უბედურებისათვის წირავენ საკუთარ თავს; რამეთუ ბრძენკაცებმა იციან, რომ კარმის კანონი ულმობელია და გარდაუვალი.

წმინდა წერილში ჩაწერილია: "ასწავლე, არ შექმნან ახალი მიზეზები; მაგრამ შედეგის ტალღებს, მსგავსად მოქცევის ტალღებისა,

ნუ ეწინააღმდეგები, რათა დასრულდეს მათი ბუნებრივი ღელვა".

"***აშკარა გზა***", როგორც კი მისი მიზანი მიღწეულია, გაიძულებს შენ, ბოდხისატვას, სხეული მიატოვო და სამჯერ კურთხეულ ***დხარმაკაიას***[107] მდგომარეობაში შეაბიჯო, რომელსაც ადამიანებისა და სამყაროს მარადიული დავიწყება მოჰყვება.

"საიდუმლო გზა"-ც პარანირვანას ნეტარებასთან მიდის, ოღონდ კი დაუსრულებელ ***საუკუნეთა***[108] შემდეგ, დამსახურებულ და იქვე დაკარგულ პარანირვანასთან, მის გულში დაბადებულ, მოკვდავთა მიმართ უსასრულო თანაგრძნობის გამო, რადგან გზააბნეულნი, ისინი უჩივიან საკუთარ ხვედრს.

მაგრამ წმინდა წერილში წერია: "უმცირესო, იყავნ უდიდესი". სრულყოფილების მასწავლებელი უარს ამბობს საკუთარ თავზე სამყაროს გადარჩენის გულისათვის და ეს იმ დროს, როდესაც იგი წმინდანის მდგომარეობაში მყოფი, ნირვანის ზღურბლზეა შემდგარი.

ამიერიდან შენ ორივე, პირველი და მეორე გზის სრულ ცოდნას ფლობ. არჩევანის დრო შენი გაბედულებისათვისაც კი მოვა იმ დროს, როდესაც მეშვიდე კარს გაივლი და მიზანს მიაღწევ. გონება შენი ნათელია. იგი აღარ გხიბლავს მაცდური ოცნებებით, რადგან შენ ყველაფერი შეგიცვნია. საბურველისაგან განთავისუფლებული ჭეშმარიტება დგას შენს წინაშე და მტკიცედ ჩაგცქერის რა თვალებში, გეუბნება: "საკუთარი თავის სიმშვიდისა და განთავისუფლებისათვის მიღებული ნაყოფი ტკბილია მეტად; მაგრამ კიდევ უფრო ტკბილია უწყვეტი და მწარე მოვალეობის შესრულებით მიღებული ნაყოფი, სხვათა სასარგებლოდ, ტანჯულ მოყვასთა სასარგებლოდ შეწირულის ნაყოფი."

ის ვინც ***პრაქტიკა-ბუდდა***[109] ხდება, მხოლოდ საკუთარ დიდ "***მე***"-ს ეთაყვანება. ბოდხისატვა, გამარჯვებულია და ჯილდოს დაუფლებული, მაგრამ ღვთაებრივი თანაგრძნობის აღვსილი გულით რომ იტყვის: "სხვათა სასიკეთოდ ვამბობ უარს უდიადეს საზღაურზე", – აი, მაშინ ასეთი ბოდხისატვას ამგვარი საქციელი, უდიდეს მსხვერპლ-

შეწირვას წარმოადგენს.

სამყაროს მხსნელადაა იგი შერაცხული.

OM VAJRAPANI HUM

შეხედე! გზის ბოლოში ნეტარების მიღწევაცაა და სევდის ხანგრძლივი გზის დასაწყისიც. შენ შეგიძლიან აირჩიო ნებისმიერი მათგანი, ო, სევდის ბოლომდე მიღებას მოწყურებულო!

ნაწყვეტი III

შვიდი კარი

“***მასწავლებელო***[110], არჩევანი გაკეთებულია. მე სიბრძნე მწყურია. შენ ჩამოშალე საბურველი, რომელიც “საიდუმლო გზას” ეფარებოდა, შენგან მივიღე უზენაესი ***სწავლება***[111]. შენი მსახური მზადაა, გამოგყვეს შენ”.

დაე იყავნ შენი სურვილისამებრ, ***შრა-***

ვაკა[112]. მზად იყავ, რამეთუ დანარჩენი გზა მარტოობაში უნდა განვლო. გზა ერთია ყველასათვის, მხოლოდ კი ხერხი, ყოველი მოგზაურისათვის მიზნისდა მისაღწევად – განსხვავებული.

რომელზე შეჩერდება შენი არჩევანი, ო, გულო, რომელმაც არ იცის შიში? აირჩევ "***სრულყოფილ ჭვრეტას***[113]" ოთხივე ხარისხით, თუ ნათელი ***სათნოების***[114] ექვსი მიმართულების კეთილშობილების კარებს გახსნი, საიდანაც სულიერებასთან (ბოდხისთან) და სრულყოფილ ცოდნასთან (პრაჯ്ഞა) – სიბრძნის მეშვიდე საფეხურთან დადგები?

"ჭვრეტის" ოთხი მკაცრი საფეხური მთის მწვერვალისაკენ მიიკლაკნება. სამგზის უდიდესია, ვინც მიუვალ მწვერვალს დალაშქრავს.

ნათელ სათნოებათა მწვერვალებისაკენ მიმავალი ბილიკი კიდევ უფრო მეტად ციცაბოა. რათა გზა აღასრულო, შვიდი კარი, შვიდი ციხე-სიმაგრე უნდა აიღო, რომლებსაც ვნებათა განსახიერების სასტიკი და ვერაგული ძალები იცავენ.

გამაგრდი, მოსწავლევ და ოქროს წესი დაიმახსოვრე. რადგან ***შროტაპათის***[115], "დინებაში შესულის" კარი გაგივლია და შენი ტერფები ნირვანის ფუძეს შეხებია, მომავალში მხოლოდ შვიდი განსხეულება დაგრჩება, და ყოველ მათგანს შენი ალმასივით მტკიცე სული დაამშვენებს.

შეხედე, რას ხედავენ თვალნი შენნი, ო, ღვთაებრივი სიბრძნის მაძიებელო?

"ბნელის საბურველი გადაფარებია მატერიის სიღრმეებს. მე მის ნაკეცებში ვიბრძვი. ღმერთო, ჩემს თვალწინ ბნელი სქელდება... მაგრამ სასწაულებრივად განიფანტება შენი მარჯვენის ნებით. აჩრდილი მოძრაობს, იკლაკნება, ვითარცა სოროდან გამოსრიალებული გველი... იგი იზრდება, ვრცელდება და უკუნეთში შთაინთქმება."

იგი შენი პირადი, გზას აცდენილი "მე"-ს ჩრდილია და მასში შენი ბნელი ცოდვები გამოსჭვივიან.

"ჭეშმარიტად, უფალო; მე ვხედავ გზას; მისი საწყისი ბინძურ ხავსშია ჩაძირული, მწვერვალი კი ნირვანას თვალისმომჭრელი

ნათლის სხივებში იკარგება; და მე ვხედავ, როგორ ვიწროვდება კარი ძნელ და ეკლიან გზაზედ, რომელიც ღვთის შეცნობისაკენ მიემართება.”

შენ სწორად ხედავ, მოსწავლევ, ეს კარი მდინარის “***მეორე ნაპირზე***[116]“ გადაგიყვანს შენ. ყოველ კარს თავისი ოქროს გასაღები აქვს მისდა გასახსნელად. დაიმახსოვრე მათი სახელები:

1. *დანა* – უკვდავი სათნოებისა და სიყვარულის გასაღები.

2. შილა – სიტყვისა და საქმის ჰარმონიის გასაღები, რომელიც აწონასწორებს მიზეზ-შედეგობრივ კანონს, რათა ***კარმის***[117] ამოქმედების ყოველი მიზეზი მოვიცილოთ.

3. ქშანტი – თვინიერი მოთმინება, ისეთი, რომელსაც ვერაფერი ვერ შეარყევს.

4. **ვაირაჯია** – ტკბობისა და ტანჯვის მიმართ გულგრილობა, ილუზია ამით მარცხდება და შედეგად ამისა, მხოლოდ ჭეშმარიტებას ხედავ.

5. ვირია – დაუძლეველი ენერგია, რომელიც იკაფავს გზას მიწიერი სიცრუის ჭაობიდან, ზეციური ჭეშმარიტებისაკენ.

6. დხიანა – ერთხელ გახსნილი მისი ოქროს კარი, უცოდველს ***აბსოლუტურის***[118] სამფლობელოსკენ წაიყვანს, სადაც მისი მარადიული ჭვრეტა იწყება.

7. *პრადჟნია* – რომლის გასაღებსაც ადამიანი ღმერთთან მსგავსებისაკენ მიჰყავს, და მისგან ***ძე ნათლისა***[119], ბოდდხისატვა იქმნება.

ასეთია შვიდი კარის გასახსნელი ოქროს გასაღებები.

უწინარეს იმისა, ვიდრე შენ უკანასკნელ კარს მიადგები, ო, საკუთარი განთავისუფლების ქსოვილის შემოქმედო, შენ, უმკაცრეს გზაზედ შემდგარმა, უნდა დაეუფლო მაღალ სათნოებათა სრულყოფილებას, რომელთა რიცხვია ექვსი და ათი.

ვიდრე შენ მასწავლებლის პირისპირი შეხვედრის ღირსი გახდები, ნათლიდან ნათელში მისდა დასანახავად, გაიხსენე, მოსწავლევ, რა იყო შენთვის ნაანდერძევი?

შენ ვერ შესძლებ და ვერც მიუახლოვდები პირველ შესასვლელს, სანამ ვერ ისწავლი სულის სხეულიდან დაცილებას, ბნელის გაფანტვას და მარადიულში სიცო-

ცხლეს. ამის გულისათვის შენ ყოველსა და ყველაში უნდა ისუნთქო და იცხოვრო, ისევე, როგორც ყოველი შენგან შეცნობილი სუნთქავს შენში; გრძნობდე საკუთარ თავს ყოველ არსებულში და ყოველ არსებულს კი, შენს ერთიან "მე"-ში.

და არ უნდა მისცე შენს გრძნობებს უფლება, შენი გონება თავის საჯირითო ასპარეზად გარდააქციონ.

შენ არ უნდა გამოყო შენი ყოფნა ერთიანი ყოფნისაგან და ყოველი არსებულისაგან, არამედ ოკეანე უნდა შეაერთო წვეთთან და წვეთი კი, – ოკეანესთან.

ასე მიაღწევ შენ სრულ შეხმატკბილებას ყველაფერთან, რაც კი სუნთქავს და ცოცხლობს და ამით ადამიანების მიმართ ისეთ სიყვარულს შეიძენ, თითქოს ისინი შენი ძმები იყვნენ, ერთი და იგივე მასწავლებლის მოსწავლეები, ერთი და იგივე სათნოებით აღვსილი დედის შვილები.

დამრიგებელი ბევრია; მასწავლებელი კი მხოლოდ ერთი – ***სამყაროს სული***[120]. იცხოვრე ერთიან მასწავლებელში ისევე, როგორც მისი სხივი ცხოვრობს შენში.

იცხოვრე შენს ახლობლებში ისე, როგორც ისინი ცხოვრობენ მასში.

ვიდრე გზის ზღურბლზე შედგები, შენი გაორება გამთლიანებაში უნდა გადავიდეს, შენი პირადი უნდა შეეწიროს უპიროვნოს და უნდა მოშალო რგოლი, რომელიც აკავშირებს მაღალს ***მდაბალთან***[121].

როდესაც მკაცრი კანონის პირისპირ წარსდგები, იყავი მზად, პასუხი აგო ვალის (დხარმა) წინაშე, რომლის ხმაც პირველი ნაბიჯის გასაკეთებლად გამზადებულ მოსწავლეს ეკითხება:

მოწესრიგდი თუ არა შენ, ყოველი კანონის მიმართ, ო, გულო, აღვსილო მაღალი იმედით?

შეუხმატკბილე თუ არა შენ შენი სული კაცობრიობის დიად სულს? რამეთუ, როგორც ხევში მგვრგვინანი წმინდა მდინარის ყოველი ბგერა მთელს ბუნებაში პოულობს თავის ***გამოძახილს***[122], ასევე "დინებაში შესულის" გულიც უნდა კრთოდეს ყოველი კვნესისა თუ ვაი-ვიშის საპასუხოდ, ყოველისა და ყოველის მიმართ, რაც კი ცოცხლობს და სუნთქავს.

მოსწავლენი შეიძლება მგძნობიარე ***ვინას***

სიმებს შეედარონ, კაცობრიობა კი, – მის რეზონატორს და ხელი, რომელიც სიმებზე დაფრინავს, – დიადი სამყაროს სულის ჰარმონიულ სუნთქვას. თუ სიმი მასწავლებლის თითებქვეშ დუმს და სხვა სიმთა ნაზი ჰარმონიული ბგერების მხარდაჭერას არ ცდილობს, იგი წყდება და ქნარს მოსცილდება. ასეთივე ერთობა უნდა იყვეს მოწაფეთა შორისაც, – შრავაკა. მათი აზრები მასწავლებლის აზრთა ჰარმონიას უნდა ასახავდნენ, აზრებისა, რომლებიც სამყაროს სულთან არიან შეჯერებულნი, თუ არა და, – უნდა განიდევნონ.

შეაჯერე კი შენ შენი ყოფნა, სინათლის მაძიებელო, კაცობრიობის ყოფიერების უდიდეს უბედურებასთან?

თუ შეაჯერე, – გზა ხსნილია შენთვის. მხოლოდ იცოდე, ვიდრე მარტოობის უმძიმეს სევდიან გზას შეუდგები, კარგი იქნებოდა, შეგეტყო შენთვის ამ გზაზე არსებული ყოველი ფათერაკის შესახებ.

სათნოების, სიყვარულისა და ნაზი თანაგრძნობის გასაღებით შეიარაღებული, შენ უვნებელი ხარ გზის პირველი კარის (**დანა**) შესასვლელთან.

შეხედე, ო, ბედნიერო მგზავრო! კარი შენს წინაშე მაღალია და ვრცელი, მისი შესასვლელი იოლად მისაღწევი. მისკენ მიმავალი გზა სწორია, პირდაპირი და მწვანე ბალახითაა დაფარული. თითქოს ბნელი ტყის მინდორზედ თვით მზე ჩამოიღვარაო, თითქოს ეს ღვთის სასუფევლის, თვით სამოთხის ანარეკლიაო. იქ ფერადი ფრინველები, იმედის ბულბულნი გალობენ მწვანე ბაღნარში და წარმატებას უწინასწარმეტყველებენ უშიშარ მოგზაურს. ისინი ***ბოდხისატვას***[123] სრულყოფილების ქებათა-ქებას მღერიან, სულიერი ხედვის (**ბუდხის**) ძალთა ხუთ სათავესა და შემეცნების შვიდ საფეხურს უგალობენ.

შებრძანდი! რამეთუ ხელთ, გასაღები გიპყრია; შენ დაცული ხარ.

მეორე კარისკენ მიმავალი გზაც გამწვანებულია, მხოლოდ ციცაბოა და ქვიანი, მთის მწვერვალისაკენ მიიკლაკნება იგი. ჭაღარა

ნისლები ჩამოწოლილან მკაცრ და კლდოვან სიმაღლეებზე და გზის მიღმა ყველაფერი ბნელში იძირება. რაც უფრო მეტად შორს მიიწევს მგზავრი, მით უფრო სუსტად ჟღერს მის გულში იმედის სიმღერა. მას ეჭვის ჟრუანტელი უვლის მთელს ტანში და მისი ნაბიჯებიც სულ უფრო და უფრო გაუბედავნი ხდებიან.

გაფრთხილდი, ო, მაძიებელო! გეშინოდეს შიშისა, რომელიც ღამის შავი, უხმო ფრთების მქონე ავი სულის მსგავსად აღიმართება შენი სულის სინათლესა და იმ დიად მიზანს შორის, რომელიც შენგან ჯერ ასე შორს ციმციმებს.

შიში კლავს შენს ნებისყოფას, გართმევს და ბოჭავს მოქმედების უნარს. თუ მოგზაური მეორე გასაღებს, – საქმესა და აზრს შორის ჰარმონიას არ ფლობს, – იგი დაკარგავს წონასწორობას და მისი ფეხები დაზიანდებიან კლდოვანი ***ბილიკის***[124] ბასრი ქვებისაგან.

დაე, მტკიცე იყვეს ნაბიჯი შენი, ო, მაძიებელო! "თვინიერი მოთმინების" წყლებით განბანე სული შენი, რამეთუ ამჟამად,

უკვე უახლოვდები ***კშანტის*** კარს, კეთილშობილი ძალისა და მოთმინების კარს.

არ მოხუჭო თვალნი შენნი და ნუ მოაცილებ მათ ***დორჯეს***[125] თილისმას; მარას ისრები უცილობლად ხვდებიან ადამიანს, რომელსაც ვერ მიუღწევია ამა ქვეყნის მიმართ გულგრილობისათვის ისევე, როგორც მისი ცდუნებებისა და ტანჯვის მიმართ (***ვაირაჯია***) გულგრილობას.

დაე, უდრეკი გახდეს გული შენი. შეშინებულის სუნთქვისაგან იჟანგება გასაღები ***ქშანტი*** და იგი ვეღარ გააღებს სასურველ კარს.

რაც მეტად წინ მიიწევ, მით უფრო საშიში ხდება შენი წინსვლა. გზა, ზემოთ მიმავალი, ერთიანი სინათლითაა გასხივოსნებული, გაბედულების ცეცხლის იმ სინათლით, რომელიც შენს გულში ანთია. რაც მეტად გაბედავ, მით მეტს მიიღებ. რაც მეტად შეგეშინდება, მით მეტად გაფერმკრთალდება ის სინათლე და იგი ხომ ერთადერთია, რაც შენი გზის დასასრულამდე უნდა გინათებდეს. რამეთუ როგორც მაღალი მთის მწვერვალს იქეთ გადახრილი მზის უკან-

ასკნელი სხივი, ქვრება და ბნელდება, ისე ბნელდება გულის სინათლეც. როგორც კი ჩაქრება იგი, შენსავე გულიდან ამოსული ბნელი და მრისხანე ჩრდილი დაფარავს შენს გზას და შიშისაგან შეპყრობილს ადგილზე მიგაჯაჭვებს.

გეშინოდეს, მოწაფევ, იმ მომაკვდინებელი ჩრდილისა. სულისაგან წამოსული სინათლე ვერ განაქარვებს სამშვინველის შიშისაგან დაბადებულ ამ ჩრდილს, თუ იგი ყოველ პირადულ ზრახვაში ცნობიერად არ მოსპობს მას, და დარწმუნებით არ იტყვის, რომ, "მე ვუარვყავი გარდამავალი ფორმა; მე დავამსხვრიე მიზეზი და ამიერიდან მისი შედეგებით შექმნილი ჩრდილები აღარ ექვემდებარებიან ***აღორძინებას***[126]". მიმდინარეობს უკანასკნელი, უდიადესი ბრძოლა, სასრული ბრძოლა მაღალსა და მდაბალ "მე"-ს შორის. შეხედე, ამ ბრძოლაში, ამ დიად ჭიდილში, თვით ბრძოლის ველიცაა ჩათრეული და ამიტომ, ისიც კი აღარ არსებობს ამიერიდან.

მაგრამ როგორც კი გასცდები "***თვინიერი მოთმინების***" კარს, იცოდე, რომ მესამე

ნაბიჯიც შესრულებულია შენგან. შენი სხეული, – შენს მონად გადაიქცა. ამიერიდან მეოთხე კარში შესასვლელად გაემზადე, რომლის იქეთ შენ ის ცდუნებები გელოდებიან, რომლებიც მხოლოდ შინაგან ადამიანს ხიბლავენ.

მაგრამ, ვიდრე შენი ხელი მეოთხე კარის საკეტს გადასწევს, შენ უნდა დაეუფლო შენი გონების ცვალებად თამაშს, სძლიო აზრთა და გრძნობათა ურდოებს, რომლებიც დაუპატიჟებლად, მზაკვრულად და შეუმჩნევლად შემოძვრებიან შენი სულის სიწმინდეში.

თუ გინდა, რომ მათთან ბრძოლაში არ დამარცხდე, შენ უნდა უვნებელჰყო შენივე ქმნილებანი, შენივე აზრების ის წარმონაქმნი, რომელთა უხილავი და შეუგრძნობადი გრიგალები მუდამ თავს დასტრიალებენ ადამიანთა მოდგმას. ეს გრიგალები – ადამიანისა და მისი ხრწნადი ბუნების გადმონაშთებია. შენ უნდა შეისწავლო მოჩვენებითი სისავსის სიცარიელე ისევე, როგორც მოჩვენებითი სიცარიელის სისავსე.

ღრმად ჩაიხედე საკუთარი გულის საწყისში და ისე მიპასუხე: იცნობ კი, საკუთარ

ძალებს, ო, შენ, ჭეშმარიტების უშიშარო მაძიებელო, მიხვდი მაცდურ აჩრდილთა ამაოებას?

თუ ვერ შეიცან, – დაიღუპები.

რადგან მეოთხე გზაზედ ვნებათა თუ სურვილთა ოდნავი ნიავიც კი, შენსავე სულის თეთრ კიდობანზე ანთებული წყნარი სინათლის ალს შეარხევს. ***ილუზიის (მაიას)*** მოჩვენებითი საჩუქრების მიმართ სინანულისა თუ სევდის, თუნდაც ნიავის მაგვარ სუსტ ტალღებსაც კი, – რომლებიც შენგან ასე შეუმჩნევლად გიმღვრევენ მიწიერ გონებას, ანუ გართმევენ მოკავშირეს სულის შენსავე დროებით პიროვნებასთან იმით, რომ ყველა გრძნობას გაატარებენ გონებაში, – აღაგზნებენ ***ეგოს***[127] და აღძრავენ ელვასავით სწრაფსა და მასავით სწრაფად წარმავალ აზრებს, და გართმევენ შენგან დამსახურებული სამივე ჯილდოს, რამეთუ მარადიულმა არ იცის ცვალებადობა.

"უკან მოუხედავად მიატოვე რვა სასტიკი ***უბედურებანი***[128]; თუ არ მიატოვებ მათ, მაშინ სიბრძნე მიუწვდომელია შენთვის, მაშასადამე, განთავისუფლებაც". ასეა

ნაანდერძევი სრულყოფილების დიდი მეუფისაგან (ტატხაგატასაგან), "***იმისაგან, ვინც თავის წინამორბედთა კვალზედ იარა***."

მკაცრია და უშეღავათო მეოთხე საფეხურის ***სათნოება (ვაირაჯია)***. თუ ამ გზის დაუფლებას ისურვებ, მაშინ შენ შენი გონების თავისუფლება და გრძნობების სიწმინდე უნდა დაიცვა მომაკვდინებელი ზეგავლენებისაგან.

შენ სამყაროს წმინდა სულის (ალაიას) არსით უნდა განიმსჭვალო, ბუნების აზრსა და სულს უნდა შეუერთდე. მათთან ერთობით, შენ დაუმარცსებელი ხარ; თუ მათ გამოეყოფი, მაშინ "***ფარდობითი ჭეშმარიტების***[129]" ხელის სათამაშო გახდები, "***ჭეშმარიტებისა",*** რომელნიც ამა სოფლის უმთავრეს ერესს წარმოადგენს.

ყოველივე წარმავალია ადამიანში, გარდა სამყაროს სულის ნათელი და წმინდა არსისა. ადამიანი, – მისი კრისტალური სხივია; უმანკო სინათლის სხივი – შიგნითაა, ფერფლის გარსი კი, – გარეთ. ის სხივი – შენი გზამკვლევია და შენი ჭეშმარიტი "მე" ამ ქვეყანაზედ, შენი მცველი და უსიტყვო

მოაზროვნე, ამიტომ ზუსტად იგია შენი მდაბალი "მე"-ს მსხვერპლი. შენი სული მხოლოდ შენი სხეულის შეცდომათა გამო შეიძლება დაზიანდეს; ორივეს დაეუფლე და მართე ორივე, მაშინ უვნებელი მიხვალ "წონასწორობის კართან".

დაე, ყოფილიყავ თავისუფალი შიშისაგან, თუკი გაბედავ "იმ ნაპირზე" გადასვლას! ყური არ მიუგდო მარას ურდოების მაცდურ ჩურჩულს; განაძევე მაცდურნი, ავი მოჩვენებანი, ***ეჭვიანი სულები***[130], რომლებიც უსასრულო სივრცეში დაფარფატებენ.

გამაგრდი! ამიერიდან შენ შუა, "გლოვის კარს" უახლოვდები, რომლის იქით აურაცხელი ფათერაკები გელოდებიან, ო, სრულყოფილებისაკენ მისწრაფებულო!

დაეუფლე შენს ფიქრებს, თუ გსურს, შეაბიჯო მის ზღურბლს მიღმა არსებულ სივრცეში, ო, სრულყოფილებისაკენ მისწრაფებულო!

საკუთარ ნებას დაუმორჩილე სული შენი, თუკი მიზნის მიღწევა გწადია, ო, უცვეთი ჭეშმარიტების მაძიებელო!

მიაპყარ მზერა შენი სულის ერთიან,

უმანკო სინათლეს, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისაგან და გამოიყენე შენი ოქროს გასაღები.

მძიმე ამოცანა შესრულებულია. შენი შრომა დასასრულს უახლოვდება.შენს ჩასაყლაპავად გამზადებულმა უფსკრულის განიერმა ხახამ, თითქმის შეკრა თავისი პირი.

ამიერიდან, შენ განვლე ვრცელი ჯურღმული, რომელიც გარს არტყია ადამიანის ვნებათა სავანეს. შენ დაამარცხე მბრძანებელი მარა და მისი გაშმაგებული ურდოები.

შენ გაანთავისუფლე შენი გული ბილწისაგან, ბოლომდე გამოწურე მისგან ყოველი უწმინდური სურვილი. მაგრამ მოგიწევს შენივ გამარჯვების დაგვირგვინება, ო, დიდებულო მეომარო. აღამაღლე შენი ბურჯის კედლები, რათა დაიცვან შენი "***წმინდა კუნძული***[131]", ააგე მტკიცე ჯებირი, რომელიც შენს გონებას სიამაყისა და ყოვლის მიმართ მბრძანებლური დამო-

კიდებულებისაგან დაიცავს, რამეთუ შეიძლება მოიხიბლო საკუთრივ შენივე სრულყოფილი გმირობისაგან.

სიამაყის გრძნობას შეუძლია, ჩრდილი მიაყენოს შენს გმირობას. მტკიცე და ურყევი სიმაგრე ააგე, რათა აბობოქრებული ტალღების შმაგმა შემოტევამ, რომლებიც მაიას ოკეანედან აზვირთებულნი მოჰქრიან შენი კუნძულისაკენ, ვერ შთანთქონ იგი შენთან ერთად მაშინაც კი, როდესაც გამარჯვება უკვე მიღწეულია.

შენი კუნძული ირემსა ჰგავს, შენი აზრები დაუღალავ მდევართა ხროვას, რომლებიც ქანცავენ იმათ, ვინც ირემივით სიცოცხლის წყაროსკენ მიისწრაფის. ვაი ირმებს, თუკი მდევრები დაეწევიან მათ, ვიდრე გადარჩენის ველზე გაიჭრებიან, რომელსაც "***წმინდა ცოდნის***[132]" გზა ეწოდება.

ვიდრე ამ ციხე-სიმაგრეს მიაღწევ და დაისაკუთრებ მას, შენი სული მანგოს მწიფე ნაყოფს უნდა დაემსგავსოს; სხვათა ტანჯვის მიმართ ისევე ლბილი და ნაზი უნდა გახდე, როგორც მისი გამჭვირვალე ნაყოფი, მხოლოდ საკუთარი მწუხარების მიმართ კი

ისეთივე მტკიცე, როგორც მისი ქვასავით მაგარი კურკაა.

გამოაწვრთნე სული შენი შენივე ეგოს ხიბლისაგან თავის დასაღწევად; დაიმსახურე მისთვის "***ალმასის სულის***[133]" სახელი.

ისე, როგორც მიწის წიაღში ღრმად დამარხულ ალმასს არ შეუძლია ამა სოფლის ელვარების არეკლვა, ისევე მოექეცი შენს სულსა და გონებას; "ჭეშმარიტი ცოდნის" სიღრმეებში ჩაძირულნი, ისინი ვეღარ აირეკლავენ ილუზიის მოჩვენებით სამფლობელოს.

და აი, მაშინ, ვრცლად გაიხსნება შენს წინაშე შესასვლელის კარი, რათა შეაბიჯო შიგნით და მაშინ, ბუნების ყველაზე ძლევამოსილი ძალებიც კი ვეღარ შეაჩერებენ შენს წინსვლას. მაშინ გახდები გზის შვიდსავე საფეხურის მბრძანებელი, მაგრამ არა უწინარეს ამისა, ო, ენით გამოუთქმელ სიძნელეთა გამოცდილებებს მოწყურებულო.

მანამდე შენ კიდევ უფრო მეტად მძიმე გამოცდა გელოდება; შენ საკუთარი თავი საყოველთაო აზრად უნდა იგრძნო და ამასთან ერთად ყოველი აზრი უნდა

განდევნო შენი გონებიდან.

შენ ისე უნდა მოიკრიბო შენი გონება, რომ ვერანაირმა გრიგალმა, თუნდაც ყველაზე ძლიერმა ვერ შთაგბეროს მიწიერი ზრახვები. განწმენდილ ტაძარში არ უნდა იყოს არცა მოქმედება, არცა ბგერა და არცა მიწიერი სინათლე; ვით სიცივისაგან გაყინული პეპელა იქვე, ზღურბლზე დაეცემა უსულოდ, ისე მიწიერი არსიც შენში, იქვე, ტაძრის კართან უნდა მოკვდეს.

რადგან წმინდა წერილში ნათქვამია:

"იმისათვის, რომ ოქროსფერი ალი შეურხევლად ენთოს, ლამპარი დაცულ, ქარისა და ნიავისათვის ***მიუწვდომელ***[134]" ადგილას უნდა დაიდგას. თუ ლამპარს ცვალებად ქარს დაუთმობ, ალი რხევას დაიწყებს და მისი მკრთომარე სინათლე შენსავე სულის თეთრ კიდობანზედ ასევე მკრთომარე ბნელსა და მაცდურს, მარად ცვალებად ჩრდილებს შეგიქმნის.

აი, მაშინ შენი სული – აზრი, ჯუნგლებში მოთარეშე გაგიჟებულ სპილოს დაემსგავსება. მას ტყე ცოცხალ მტრებად მოეჩვენება და იგი განწირულია ტყის მოხეტიალე ჩრდი-

ლებთან ბრძოლისათვის, რადგან მოთამაშე ჩრდილები მას მზით განათებულ ხან ერთ კლდეს მიახეთქებენ და ხანაც – მეორეს.

გაფრთხილდი, რათა საკუთარ "მე"-ზე ზრუნვით შენმა სულმა, საკუთარ ფეხქვეშ არ დაკარგოს "ღვთაებრივი ცოდნის" მყარი დასაყრდენი.

გაფრთხილდი, რათა უზენაესი "მე"-ს დავიწყებით, შენმა სულმა არ დაკარგოს ნებელობის უნარი შენსავე მერყევ გონებაზედ და ამით არ დაკარგო შენგანვე უკვე დამსახურებული გამარჯვებები.

გაფრთხილდი და მოერიდე ცვლილებებს, რადგან ცვლილებები შენი უდიდესი მტერია. მათ შეუძლიათ დაგღუპონ, გზიდან შენი აცდენითა და ეჭვების ღრმა ჭაობში გადაგდებით.

მოემზადე და შეისმინე გაფრთხილებანი. თუკი ეცადე, მაგრამ ვერ მოერიე, ო, გულადო მეომარო, შემართებას ნუ დაკარგავ: გააგრძელე ბრძოლა და კვლავ და კვლავ განაახლე შენი თავდასხმები.

უშიშარი მეომარი არ ნებდება, და მისი პირდაღებული იარებიდან თუნდაც ცხელი

სისხლი მოჩხრიალებდეს, იგი ისევ და ისევ ეკვეთება მტერს, გამოაძევებს მას ციხე-სიმაგრიდან და მხოლოდ ამის შემდეგ, მას, გამარჯვებულს განუტევებს სული. ვინც ვერ გაიმარჯვა და იტანჯება, მისებრ მსგავსად იმოქმედეთ თქვენც: საკუთარი სულის ბურჯიდან განაძევეთ ყოველი მტერი თქვენი: პატივმოყვარეობა, ბრაზი, სიძულვილი, საკუთარი სურვილების უკანასკნელი ჩრდილიც კი, – თუნდაც რომ ვერ გაიმარჯვოთ მათზე.

გახსოვდეს შენ, ადამიანის განთავისუფლებისათვის ***მებრძოლო***[135]: ყოველი ჩავარდნა – წარმატებაა და ყოველ გულწრფელ მცდელობას, მომავალში ნაყოფი მოსდევს. ისინი – ის წმინდა ნერგებია, რომლებიც უხილავად იზრდებიან მოწაფის სულში; მათი ტოტები ყოველი განსაცდელისას იკრებენ ძალას, ლერწამივით ირხევიან ავბედით ქართა ტრიალში, მაგრამ არასოდეს გატყდებიან და არ დაიღუპებიან. და როს დადგება ჟამი მათი – მაინც ***აყვავდებიან***[136].

მაგრამ, თუ გამზადებული სულით მოხვედი

– შიში ვერ იბატონებს შენზედ.

ამიერიდან სულიერ ძალთა კარის (**ვირია**) გავლით, გზა ხსნილია შენთვის. ეს შვიდიდან მხოლოდ მეხუთე (**ვირია**) კარია. შენ იმ გზაზედ დგახარ, რომელსაც განუწყვეტელი ჭვრეტის (**დხიანა**) ნავსაყუდელისაკენ მიჰყევხარ, რიგით მეექვსე, სულიერი თვალთახედვის (**ბოდხის**) კართან.

ის კარი ალებასტრის ჭურჭელსა ჰგავს, გამჭირვალეა იგი და თეთრი; მის შიგნით წყნარი, ოქროს ცეცხლი ანთია, სრულყოფილი ცოდნის (**პრაჯნია**) ალია იგი; მას სული გამოასხივებს.

ეს ჭურჭელი, – თვითონ შენა ხარ.

შენ უარჰყავი ვნებათა სამყარო, შენ უკვე იმოგზაურე "**ჭვრეტისა**" და **"სმენის**[137]**"** გზებზე და ახლა კი, უკვე შემეცნების სინათლეში დგახარ. ამიერიდან შენ ტკბობისა და ტანჯვის მიმართ სრულყოფილი გულგრილობისთვის მიგიღწევია[138].

ო, ***უცოდველო***[139], შენ გადარჩენილი ხარ.

იცოდე, ცოდვის დამმარცხებელო, რადგან "ნაკადში შესულმა" მეშვიდე გზა გადაიარა, მთელი ბუნება წმინდა მოკრძალებით თრთის მის წინაშე და გრძნობს, რომ იგი დამორჩილებულია. ვერცხლისფერი ვარსკვლავი, ციალით ამცნობს ამ ამბავს შუაღამის ყვავილებს; ნაკადული, ქვებს რომ თავს ევლება, რაკრაკით ამცნობს ამ კეთილ ამბავს ყველას; ოკეანის შავი ზვირთები, თავის მხრივ, გუგუნით უამბობენ იგივეს ნაპირზე დამდგარ ვეება კლდეებს; ამ სიკეთის სურნელით გაჟღენთილი ნიავი ამ ამბავს მინდორ-ველებზე მღერის და გოროზი ფიჭვები საიდუმლოდ გადასჩურჩულებენ ერთმანეთს: "***აღსდგა, აღსდგა დღის მეუფე***[140]."

ამიერიდან თეთრი ქათქათა სვეტივით დამდგარა იგი დაისის მხარეს; ჟამთა უწინარესი, აზრთა მნათობი უგზავნის მის სახეს სინათლის პირველივე სხივთა ტალღებს; ძლევამოსილი გონება მისი უსაზღვრო ოკეანეს მსგავსად გადაშლილა

უკიდეგანო სივრცეში. მას თვით სიკვდილ-სიცოცხლის ნება უპყრია თავისი ძლევამოსილი მარჯვენით.

ჭეშმარიტად ძლიერია იგი. მასში გამონთავისუფლებული ცოცხალი ძალა ის ძალაა, რომელიც იგი თვითონვეა, და ამ ძალის მადლით მას ძალუძს, ილუზიების სკინია ღმერთებზე მაღლა ასწიოს, დიად ბრახმასა და ინდრაზე მაღლა. ახლა კი იგი ჭეშმარიტად მიაღწევს დიად საზღაურს!

მაგრამ... ისურვებს კი იგი, დიდ ილუზიაზე გამარჯვებული ამ საზღაურის ნობათებით, დამსახურებული განძეულობებითა და დიდებით, საკუთარი სიმშვიდისა და ნეტარებისათვის სარგებლობას?

ეს ასე არ მოხდება! თუ მოისურვებ, ო, ბუნების საიდუმლოებათა წვდომას მოწყურებულო, გაჰყვე სრულყოფილის ნაკვალევს, იცოდე – ის ნობათები და ძალები პირადი "მე"-სათვის როდი გეძლევა.

ისურვებ კი წინ აღუდგე იმ წყლების დინებას, რომლებიც წმინდა ***მერუს***[141] მთის მწვერვალზე დაბადებულან? ისურვებ კი, წარმართო, ისინი შენი პირადი სარგე-

ბლობისათვის ან დაუბრუნო ისინი სათავეს?

თუ მოისურვებ, რომ ასე ძვირად მოპოვებული ცოდნის, ზეცაში დაბადებული სიბრძნის ნაკადი ამ ცოცხალმა და მკურნალმა მდინარემ შეინახოს, არ დაუშვა, რომ იგი დაჭაობდეს უძრაობით.

და თუ უზენაესის თანამშრომლობას ისურვებ მაშინ, – ტყუპი ბოდხისატვების მსგავსად, შენი ცოდნის სინათლე ***სამთავე სამყაროსათვის***[142] უნდა გადმოღვაროო.

იცოდე, რომ ზეადამიანური ცოდნისა და ზეციური სიბრძნის შენგან მოპოვებული ნაკადი, შენივე გავლით სხვა სათავსოში უნდა მოექცეს, რადგან შენ თვით სამყაროს სულის გამტარი გახდი.

იცოდე, ო, საიდუმლო გზის წმინდანო, მისი წმინდა და გრილი ტალღებით უნდა გაანელო აზვირთებული ოკეანეს სიმწარე, სევდიანი ძლევამოსილი ზღვის ის სიმწარე, რომელიც ადამიანთა ცრემლებისაგანაა გაჩენილი.

ჰაი-ჰაი, რომ ზეცაში ანთებულ უძრავ ვარსკვლავს დაემსგავსე და ამ გასხივოსნებული მნათობის სივრცის სიღრმე-

ებიდან წამოსული სინათლე ყველასათვის უნდა იფრქვეოდეს, და არა საკუთარი თავისათვის; უნდა იძლეოდეს სინათლეს ყველასათვის და თვითონ კი არავისაგან არ უნდა ღებულობდეს.

ჰაი-ჰაი, რომ რადგან მთების კალთებზე და მიწის ზედაპირზე უძრავად დადებულს ცივსა და წმინდა თოვლს დამსგავსებიხარ, იცოდე, რომ იგი ინახავს და ათბობს სამომავლოდ შემონახულ თესლს და იმათაც მშვიდად სძინავთ, თოვლის საფარით ყინვისა და ცივი ქარებისაგან საიმედოდ დაცულებს. თოვლის საფარი საიმედოდ იცავს დედამიწის მკერდს გამყინვარე ქარების მომაკვდინებელი, სუსხიანი სუნთქვისაგან... რადგან იმ მკერდშია დავანებული დაპირებული ის მოსავალი, რომელიც დააპურებს მოშიებულებს.

ვინც თავი გაწირა საუკუნეთა და საუკუნეთა განმავლობაში სიცოცხლისათვის და დარჩა უცნობი ადამიანთათვის ისე, რომ მათ მადლიერებას არც კი ღირსებია; ისე, როგორც რიყის ქვისაგან, სხვა რიყის ქვებთან ერთად ნაშენია "***დამცველთა კედელი***[143]" და იმ, ცალკეული და გან-

საკუთრებული ქვის შესახებ ამ კედელში არავინ უწყის, აი ზუსტად ასეთია შენი მომავალი ხვედრიც, თუ კი რიგით მეშვიდე კარს გადაივლი. მრავალი თანაგრძნობის მასწავლებლის ხელით ნაშენი, მათივე სისხლით შედუღაბებული ეს კედელი, იცავს კაცობრიობას იმ დღიდან, როდესაც ადამიანი გაადამიანდა, და დაიცავს კიდეც მას მომავალი, უფრო მძიმე განსაცდელებისაგან.

და მაინც, ადამიანი ვერ ხედავს ამ კედელს, არ უნდა მისი აღიარება, და არ სურს, შეისმინოს სიბრძნე სიტყვისა... რამეთუ სიბრძნე უცნობია მისთვის.

მაგრამ შენ, რომლის სულიც ასე ძლიერია და უცოდველი, შენ შეგისმენია, შენ ყველაფერი შეგისწავლია, ამიტომ არჩევანიც უნდა გააკეთო და კიდევ ერთხელ უნდა შეისმინო.

"ჭვრეტის გზაზედ" შენ უვნებელი ხარ. ჭეშმარიტად, იმ გზაზედ, რომელზედაც ბნელეთის გარდა, არაფერი დახვდება დაქანცულ მოგზაურს; გზაზედ, რომელზეც ხელები ეკლებითაა დაღადრული და ტერფები კი – გზის ბასრი ქვებითაა დასერილი; გზაზედ,

საითკენაც ძლევამოსილი მაცდური ***მარა*** მიმართავს თავის უსასტიკეს იარაღს, – იქ დიადი საზღაური დაუყოვნებლივ შეიძინება.

წყნარად და მშვიდად ჩასრიალდება მოგზაური ნირვანისაკენ მიმავალ ნაკადში. რადგან ცნობილია მისთვის, რომ რაც მეტად დაუსისხლიანდება ტერფები, მით მეტად განიბანება იგი თვითონ. მან მტკიცედ იცის, რომ შვიდ და ხანმოკლე, სწრაფად წარმავალ განსხეულებაში, ნირვანა მისი ხვედრი გახდება...

ასეთია "ჭვრეტის გზა", იოგის საიმედო ნავსაყუდელი, ის დალოცვილი მიზანი, რომელსაც ასეა მოწყურებული "ნაკადულში შესული".

მნიშვნელობა როდი აქვ იმას, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, თუკი იგი დაეუფლება ***არიახატას***[144] გზას.

იმ გზაზედ ამ ქვეყნის მიმართ სიყვარული სამუდამოდ ქრება, სიცოცხლის მიმართ ***სწრაფვა***[145] ფესვებიანად იძირკვება სამუდამოდ. მაგრამ... შესდექ, მოსწავლეო... კიდევ ერთი სიტყვა. შეგიძლიან კი, გულიდან, ღვთაებრივი თანაგრძნობის ამოგლეჯა?

თანაგრძნობა, – ხარისხი როდია. იგი კანონთა კანონია, ჰარმონია მარადიული, თვით სამყაროს სულია იგი, უსასრულო სამყაროს არსება, ჭეშმარიტი სიმართლის სინათლე, ყოველ საგანთა წყობა, მარადიული სიყვარულის კანონი.

რაც მეტად შეუერთდები მას, რაც მეტად შთაინთქმები საკუთარი ყოფიერებით ერთიან ყოფიერებაში, რაც მეტად შეუერთდება შენი სული ყოველი არსის სულს, მით უფრო **სრულყოფილ თანამგრძნობად**[146] გარდაიქცევი.

ასეთია გზა არქატისა, რომლითაც მოდიან სრულყოფილების ბუდები.

ცნობილია თუ არა შენთვის წმინდა ეტრატების საიდუმლო შინაარსი, რომელთა მიხედვითაც შენ წარმოსთქვამ:

"ომ! მწამს, რომ ყოველი არქატი როდი ეზიარება ნირვანის ტკბილ საზღაურს."

"ომ! მწამს, რომ ყოველი ***ბუდდა***[147] როდი შედის ნირვანის დხარმაში."

ჭეშმარიტად! ***არიას*** გზაზედ შენ უკვე "ნაკადულში შესული" როდი ხარ ჯერ, არამედ შენ საკუთარ თავზე, ჯერ "***ხელი***

აგილია[148]" და ამით ნიაღვარიც გადაგივლია. ჭეშმარიტად, შენ დხარმაკაიას სამოსელი დაგიმსახურებია; მაგრამ სამბჰოგაკაია უფრო მეტად დიდია, ვიდრე ნირვანას მიღწეული, და ორივე მაღგანზე კიდევ უფრო მეტად დიდია ***ნირმანაკაია, თანაგრძნობის ბუდდა***[149].

დახარე თავი და შეისმინე მთელი ძალით, ო, ბოდხისატვა... თანაგრძნობა გვეუბნება: "როგორ შეიძლება, არსებობდეს ნეტარება, ვიდრე ყოველი, რაც არსებობს, განწირულია ტანჯვისათვის? იქნები კი თანახმა საკუთარ გადარჩენაზე, თუკი გადარჩენილს გესმის, როგორ კვნესის და გმინავს მთელი სამყარო?"

ამიერიდან იცი.

მიაღწევ შენ მეშვიდე საფეხურს, გაივლი შენ სასრული შემეცნების კარს, ოღონდ იმისათვის, რომ ტანჯვას ეზიარო, თუ გსურს იყო სრულყოფილი, "წინამორბედის კვალზედ იარო", იყო უანგარო უსასრულობის დასასრულამდე.

აი, ახლა კი შენ უკვე განათლებული ხარ – აირჩიე შენი გზა.

უცქირე ნაზ ნათებას, რომელიც ცის აღმოსავლეთს მოსდებია... ქებათა-ქების ჰიმნშია ჩართული ცაც და დედამიწაც. ოთხჯერ გამჟღავნებულ ძალთა სიყვარულის ჰიმნი აღევლინება ზეცას; მოგიზგიზე ცეცხლის, მჩქეფარე წყლის, კეთილსურნელოვანი მიწის და სწრაფი ქარის ჰიმნია ირგვლივ.

მიაყურადე!.. წარმოუდგენელი სინათლის ოქროს გრიგალიდან, რომლის ტალღებშიც ნებივრობს გამარჯვებული, მთელი ბუნების ათასბაგოვანი ხმა აღიმართება ასევე ათასგვარი ბგერებით, რათა გააცხადოს:

სიხარული თქვენდა, ო, სევდიანი დედამიწის შვილებო[150]! "იმ ნაპირიდან" უკან დაბრუნდა მოგზაური. დაიბადა ახალი არქატი...[151]

მშვიდობა ყოველთა[152]

შენიშვნები

1. იდდხი სამხრეთ ბუდდისტთა პალის ენაზე, ეს იგივეა, რაც სანსკრიტული სიდდხი, ანუ ფსიქიური ნიჭიერებანი, რაც ადამიანის პარანორმალურ ძალებს წარმოადგენს. ასეთი ძალები შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს: ერთი მოიცავს ყველა მდაბალ ფსიქიურ ენერგიებს, მეორე კი – მაღალ ძალებს, რომლებსაც შინაგანი სულიერი ვარჯიშებით ვაღვიძებთ. „ბხაგავადგიტაში“ კრიშნა ამბობს: “ის, ვინც იოგას განახორციელებს (ანუ ადამიანის ცნობიერების უზენაეს ღვთაებრივ მესთან შეერთებას), ვინც თავის გრძნობებს სძლევს და თავის აზრს მთლიანად ჩემზე გადმოიტანს, ასეთი იოგი ყველა სიდხის დაიპყრობს და ისინიც მზად არიან, ემსახურონ მას.”

2. “უხმო ხმა,” ანუ “ხმა მდუმარებისა,” ჭეშმარიტ შინაარსთან კიდევ უფრო მეტად მიახლოებული იქნებოდა, – “ხმა სულიერ ბგერაში”, რადგან ეს სანსკრიტული ტერმინია, რომელიც სენზარის, წმინდა ენის სიტყვის

შინაარსს ესატყვისება.

3. *დხარანა* – შინაგან სივრცეში ღრმა, სრულიად სრულყოფილი ყურადღების გადატანაა, რომელსაც თან ერთვის გარეშე სამყაროსაგან ყურადღების სრული გათიშვა ისევე, როგორც მისგანვე აღძრული ემოციებისაგან გათავისუფლება, მათგან თავისებური, ერთგვარად სრული აბსტრაგირება.

4. *რაჯა.*

5. *ასატ*

6. *სატ*

7. "დიდი მასწავლებელი" – ტერმინი, რომელსაც იყენებენ მოსწავლენი (ჩელა), ადამიანში უზენაესი "მე"-ს, ღვთაებრივი საწყისის აღსანიშნავად. უზენაეს "მე"-ს, ბუდდისტთა მისტიციზმში **„ადი ბუდდა"** შეესატყვისება, ბრახმანიზმში – **ატმა** და ძველ გნოსტიციზმში კი მას **ქრისტე** ეწოდება.

8. "ადამიანის განვითარებადი სული", მანასი. აქ ადამიანის სამშვინველის შინაარსის აღსანიშნავად გამოიყენება, ოკულტიზმში მიღებული შვიდსაფეხურიანი დაყოფის შესაბამისად, განსხვავებით

ცხოველური და სულიერი სამშვინველისაგან.

9. *მახამაია*, დიდი ილუზია, ნიშნავს ობიექტურ სამყაროს.

10. *საკიადიტი* – პირადი არსებობის მოჩვენებითობა.

11. *ათთავადა* – მცდარი რწმენა იმის შესახებ, რომ ადამიანის სულს, სამყაროს სულისაგან გამოყოფა და დამოუკიდებელი არსებობა შეუძლიან.

12. *Uneversal All-Self.*

13. *კალახამსა*, "გედი დროსა და სივრცეში", ბრახმას სიმბოლო. სიმბოლური ფრინველი, რომელიც ქაოსში ჩამოაგდებს თავის კვერცხს და იგი სამყაროდ გარდაიქცევა.

14. ძველი აღმოსავლეთის წმინდა სიტყვა, (***აუმ***)რომელსაც რამდენიმე შინაარსი აქვს; იოგები მას მოწიწებითა და მოკრძალებით წარმოთქვამენ თავიანთი ლოცვებისა და ჭვრეტის დროს; მარცვალი "***ა***" - კალახამსას მარჯვენა ფრთაა, ***"უ"***- მარცხენა ფრთა, ***"მ"*** - კუდი და გედის თავს კი ადჰამატრა ეწოდება." ასეა ნათქვამი ნადავინდა უპანი-

შადებში (რიგვედა).

15. მარადისობას აღმოსავლეთში სულ სხვა შინაარსი აქვს, ვიდრე ჩვენთან, დასავლეთში. ჩვეულებრივად, იგი ბრამას 100 "წელს", ან საუკუნეს ნიშნავს, სხვანაირადერთ მახაკალპას, რომლის ხანგრძლივობაც 311 040 000 000 000 წელს უდრის.

16. ამბობს ნადავინდა უპანიშადა: "იოგი, რომელიც ფრინველ ***ხამსას*** ზურგზე მოთავსდა (ანუ ***აუმ***-ზე ფიქრობს), არ ექვემდებარება კარმისა და ცოდვების ზეგავლენას."

17. ***სულში*** ცხოვრება თუ გსურს, დათმე შენი პირადი ცხოვრება.

18. ***მარა,*** ეზოთერული შინაარსით – განსხეულებული ცდუნება, რომელიც ადამიანზე მანკიერებებით ზემოქმედებს და სიტყვასიტყვით ნიშნავს იმას, "ვინც ღუპავს სულს." მას მბრძანებლის სახით გამოხატავენ, რომლის გვირგვინსაც თვალისმომჭრელი, აუტანელი ელვარების ძვირფასი ქვა ამშვენებს, ისეთი, რომ ვინც მას უცქერის, ბრმავდება.

19. ცნობიერების ***სამი მდგომარეობა***:

სიფხიზლე – ***ჯაგრათი***, თვლემა – ***სვაპტა***, ღრმა ძილი – ***სუშუპტი;*** ამ სამ მდგომარეობას მეოთხეში მივყავართ.

20. ***ტურია*** – მაღალსულიერი ცნობიერების მდგომარეობა.

21. ზოგიერთი აღმოსავლური მისტიკოსი კალახამსას სხეულში არსებულ **შვიდ მდგომარეობას** აღიარებენ, "გედს დროისა და სივრცის მიღმა," რომელიც გარდაისახება "დროისა და სივრცეში არსებულ გედად," როცა გამოუვლენელი ბრაჰმანი გამოავლენს საკუთარ თავს.

22. ავიდია – არცოდნა.

23. ობიექტური სამყარო, რომელიც მიწიერი გრძნობებითა და ცნობიერებით შეიცნობა.

24. საგამოცდო სწავლების სრასასახლე – ასტრალური სფეროა, ზეგრძნობითი აღქმისა და მაცდურ მოვლენათა ფსიქიური სამყარო, ასევე მედიუმების სამყარო და ელიფას ლევის "ასტრალური გველიც." ამ დიდი ილუზიის სამყაროში მოწყვეტილი არც ერთი ყვავილი არ იქნა გადმოტანილი დედამიწაზე ისე, რიმ მის ფოთლებში გველი

არ იყოს დამალული.

25. სრული სულიერი ცნობიერების სივრცე, რომლის სიმაღლესაც ნაზიარევი ადამიანი, ილუზიებისაგან სრული თავისუფლების მდგომარეობას ეუფლება.

26. ***მიზეზ-შედეგობრივ*** თანამიმდევრობათა ჯაჭვი, რომელიც ადამიანს მიწიერი ცხოვრებისაკენ იზიდავს და დედამიწაზე მის მრავალ დაბადებათა თანმიმდევრობას იწვევს. კარმა შეიძლება ვუწოდოთ ადამიანის შემოქმედების მთელ სიმრავლეს როგორც მისსავე მსგავს არსებათა მიმართ, ასევე მთელი სამყაროს მიმართაც: მისი მიმდინარე ცხოვრება, წარსულ ცხოვრებათა ნაყოფს წარმოადგენს და, თავის მხრივ, მომავალ ცხოვრებათა მარცვალსაც ნიშნავს; იმისათვის, რომ "განთავისუფლდე კარმის ბორკილებისაგან," საჭიროა ეგოიზმისა და ამპარტავნების მოცილება და ზეპიროვნებად გარდასახვა.

27. სულიერი ხელმძღვანელი.

28. "***განდობილი,***" რომელსაც მოსწავლე, ცოდნის გადაცემის გზით, მისი სულში მეორედ დაბადებისაკენ მიჰყავს; მასწა-

ვლებელი, ანუ ***გურუ.***

29. ***აჯნიანა,*** უმეცრება, ანუ ***ჯნანას,*** ცოდნის საპირისპირო მცნება.

30. იხილე განმარტება 18.

31. ***ილუზია,*** გარდამავალ, ხილულ ფორმათა სამყარო, რომელიც ექვემდებარება განადგურებას და წარმოადგენს მარადიულისა და უცვლელის საპირწონეს.

32. უზენაესი ეგო.

33. სამყაროს სული.

34. კუნდალინი – უზენაესი სულის ***(ატმას)*** გამტარი, პასიური პრინციპი; როცა აქტიურ ფორმაში გადადის – ის უკვე ელექტროსპირიტუალური ძალაა, რომელსაც ძალუძს როგორც შენება, ასე ნგრევაც. კუნდალინი ერთ-ერთი მისტიური ძალაა იოგისა, რომელმაც სამყაროს სულთან ერთობას მიაღწია.

35. ბრახმაპუტრა.

36. კეშარა, "ზეცაში მავალი." წმინდა მისტიური წიგნის, ***gnyaneshvare***-ს, მეექვსე **adhyaya**-ში ნათქვამია, რომ იოგის სხეული ხდება, როგორც "ღრუბელი, რომლიდანაც მისი კიდურები ყლორტებივით იზრდებიან,"

რის შემდეგაც იოგი "ვარსკვლავებს იქეთ იხედება; იგი დევების (ანგელოზების) ხმას ისმენს და ესმის კიდეც მათი ენა, მას ჭიანჭველას აზრის წაკითხვაც კი შეუძლია."

37. დხიანი.

38. ვინა, ინდური მუსიკალური ინსტრუმენტი, ჰგავს ჩვენებურ მუღნის.

39. დედანში "***ექვსივე,***" ანუ ადამიანის ექვსივე პრინციპი. ეს ნიშნავს იმას, რომ როდესაც ოთხი მდაბალი პრინციპი, რომლებიც ადამიანის წარმავალ პიროვნებას წარმოადგენენ, განადგურებულნი არიან და, ამასთან ერთად, შინაგანი ინდივიდუალობა (ორი უზენაესი პრინციპი) შეუერთდა უზენაეს – მეშვიდე პრინციპს, ანუ სულს.

40. მოსწავლე ღვთაებრივ სულთან, ატმასთან ერთიანდება. ბრამანიზმის ეზოთერული მოძღვრება ამტკიცებს, რომ ადამიანის შინაგანი, უზენაესი სამების პრინციპი (***ატმა–ბუდდხი–მანასი***), რაც ქრისტიანობაში მამის ტოლფასია- ერთიანია და განუყოფელი მთელი კაცობრიობისათვის.

41. ასტრალური სხეულის (კამარუპას) ის ნაწილი, რომელიც ყოველი ვნებისა და

სურვილის გამტარის როლს ასრულებს.

42. კამარუპა ეკუთვნის ასტრალურს, ანუ პიროვნულს, გარდამავალ "მე"-ს, და მანასარუპა კი, თავის მხრივ, არსებული ინდივიდუალობის, რეინკარნაციებში მყოფი ეგოს გამტარია; "განწმინდო იგი," ნიშნავს – შებოჭო მისი მდაბალი საქმიანობა, მისი მდაბალი აზროვნება (მდაბალი მანასი), რათა აშკარა გახდეს ზეცნობიერების საქმიანობა, რაც იგივეა, – მანასის საქმიანობა. აღმოსავლური ოკულტური მეცნიერება მკვეთრად განასხვავებს მიწიერი, შეზღუდული ცნობიერების აქტიურობას – ზეცნობიერებისაგან, რომელიც მიღმიერ, უხილავ სამყაროთა სივრცეში შეღწევის უნარის მქონეა.

43. კუნდალინი; მას გველისმაგვარი, ანუ წრიული ენერგია ეწოდება, მისი იოგის სხეულში სპირალური მოძრაობის გამო, როდესაც იოგი შინაგან ძალას განავითარებს. ეს ელექტრული ოკულტური ძალაა (***ფოხატი***), ის პირველადი ძალა, რომელიც ყოველი ორგანული თუ არაორგანული მატერიის საფუძველშია ჩადებული.

44. "***გზა***" ყოველ მისტიურ წიგნშია

მოხსენიებული. „*ჯნიანიშვარა*“-ში, *კრიშნა* ასე ამბობს: “*ამ გზაზედ, სადაც არ უნდა დააბიჯო, ის ადგილი შენი პირადი “ ”მე” ხდება*”.

“*შენ ხარ გზა*” – ასე ეთქმის ადეპტს და ისიც, თავის მხრივ, შემდგომში იგივეს ეუბნება თავის მოწაფეს განდობისას. “*მე ვარ გზა*”, – ამბობს სხვა მასწავლებელი.

45. ადეპტი, რომელიც საკუთარი თავისთვის კი არ ცხოვრობს, არამედ ცოცხლობს ადამიანთა მიმართ სიყვარულისა და თანაგრძნობის გამო.

46. იგივეა, რაც ***ადეპტი,*** რომელიც ზეცნობიერებას ფლობს.

47. ნირვანა არის არყოფნა, მხოლოდ ჩვენი სასრული ცნობიერების თვალთახედვით; სინამდვილეში, ნირვანა აბსოლუტური ყოფნის ტოლფასია; ისევე, როგორც აბსოლუტური ცნობიერება, შეზღუდული ცნობიერების თვალთახედვით ნიშნავს უგონობას, რადგან მას ერთიანობაში მოჰყავს შეცნობა, შესაცნობი და შემცნობი.

48. თანხა – სიცოცხლის მიმართ სიყვარული და სიკვდილის მიმართ – შიში,

არის ის ძალა, რაც იგივეა ენერგია, რომელიც ადამიანის ახალ რეინკარნაციას იწვევს.

49. აქ ***კარმა*** მოიხსენიება იმ გაგებით, რომ ადამიანმა თვითონ შექმნა საკუთარი ბედი.

50. გეიტი – განდობისაკენ მიმავალი შესასვლელი; ამ შესასვლელის გახსნა მხოლოდ საკუთარი ეგოიზმის, საკუთარი განყენებული პიროვნების მოსპობით ხდება.

51. სიცოცხლის ხე.

52. ანახატაშაბდა – მისტიური ბგერები ან მელოდიები, რომლებიც ჩაესმის იოგს შინაგან ჭვრეტაში ჩაღრმავებისას.

53. აკაშის სიმაღლეებიდან.

54. ადამიანის ორგანიზმის ეზოთერული მეცნიერება ამტკიცებს, რომ ადამიანის ორგანიზმში არსებობენ, ადამიანთათვის ჯერ უცნობი, ახალ გრძნობათა ჩანასახები, რომლებიც შორეულ მომავალში, ბუნებრივად განუვითარდება ყოველ ადამიანს. იოგებს ძალუძთ დააჩქარონ საკუთარი ევოლუცია და ცნობიერად განავითარონ ეს გრძნობები საკუთარ თავში მათთვის ცნობილი მკაცრი დისციპლინისა და ვარჯი-

შების გამოყენებით.

55. ეს ნიშნავს იმას, რომ ***დხარანას*** მეშვიდე საფეხურზე ყოველი პირადი თვისება, როგორც ასეთი, უნდა მოისპოს და ყველაზე სულიერი – მეშვიდე გრძნობა — (აპერცეპცია) უნდა განვითარდეს.

56. დხარანა, იხილე შენიშვნა 3.

57. რაჯა-იოგაში განვითარების ყოველი საფეხურის (ეს აღმოსავლური ოკულტური განვითარების ერთ-ერთი მეთოდია; მეორე მეთოდი, ხათხა-იოგა ფარულ ძალებს, უმეტესწილად, მექანიკური მეთოდებით განავითარებს იმ დროს, როდესაც რაჯა-იოგა, ყოველივე ამას, სულიერი დისციპლინით აღწევს) აღსანიშნავად, გარკვეული გეომეტრიული ფიგურა გამოიყენება. პირველი საფეხურების ნიშანია ***სამკუთხედი*** და იგივე ნიშნით აღინიშნება მაღალი საფეხურის ჩელაც. უმაღლეს საფეხურებზე სამკუთხედი სხვა ნიშნით იცვლება, ნიშნით, რომლის გამხელაც დაუშვებელია.

58. "განდობის ვარსკვლავი", რომელიც განდობილის თავს ზე ინთება. შივას ყოველი იოგისადმი მფარველობის ნიშანი, – არის

შავი წრე; ამჟამად მას მზის ნიშნად მიიჩნევენ, მაგრამ წარსულში იგი განდობის ვარსკვლავს აღნიშნავდა.

59. უპადხი – ალის ფუძე, მიუწვდომელი, ვიდრე მისწრაფებული, ჯერ კიდევ დედამიწაზე ცხოვრობს.

60. დხიანა – უკანასკნელი საფეხური დედამიწაზე მანამ, სანამ მაღალი ადეპტის ყველა თვისება შეიძინება. ამ საფეხურზე, იოგი (რომელიც სულიერი რაჯა-იოგის მეთოდით მუშაობს) ჯერ კიდევ ინარჩუნებს სულიერ თვითშეგნებასა და თავის უმაღლეს პრინციპთა მოქმედებას, მაგრამ კიდევ ერთი ნაბიჯიც წინ, და მისი ცნობიერება უზენაესი ყოფნის სულიერ გეგმილზე გადავა. იოგას სამი მდგომარეობა: ***დხარანა*** (მიწიერი ცნობიერების გამოვლენათა სრული დაძლევა), ***დხიანა*** (ადამიანის სულისათვის დამახასიათებელი უმაღლეს სულიერ ობიექტებში შესვლის უნარი, რაც ხელმისაწვდომია მხოლოდ ხსენებულ წინაადმდეგობათა დაძლევის შემდეგ) და ***სამადხი*** (***ექსტაზი***) – ***სამიამას*** საერთო სახელს ატარებენ.

61. **სამადხი** – სულის ისეთი მდგომარეობა, როდესაც იოგი ინდივიდუალობის ყოველგვარ ცნობიერებას – საკუთარი ინდივიდუალობის ჩათვლით, ეთხოვება. იგი სამყაროს ყოფიერებას უერთდება და იგი ხდება ყველაფერი.

62. ჩრდილო ბუდდიზმში ჭეშმარიტების ოთხი ნაირსახეობითაა: ***კუ*** – ტანჯვა, ***ტუ*** – ცდუნებათა შეერთება; ***მუ*** – ცოდვების მოსპობა და ***დაო*** – გზა. "ხუთი დაბრკოლება"– ესენია: ***ტანჯვის*** შეგნება, ადამიანის ***ტვირთის*** შეგნება, ადამიანის თავს მოხვეული მძიმე და ***ნაძალადევი ხვედრის*** შეგნება, ***ვნებათა ყოველგვარი კავშირებისაგან და თვით სურვილებისაგანაც კი განთავისუფლების ასეთივე აუცილებლობის შეგნება.*** ბოლო მათგანი – "***გადარჩენის გზა***" გახლავთ.

63. ცდუნებათა სამფლობელოს შესასვლელთან მბრძანებელი ***მარა*** დგას და მის გვირგვინში ძვირფასი ქვის თვალისმომჭრელი ელვარებით, ცდილობს დააბრმავოს მაძიებელი.

64. ***დაო.***

65. ბუდას მოძღვრების ორი სკოლა: ***ეზოთერული*** (საიდუმლო) და ***ეგზოთერული*** (გახსნილი), რომელთა სახელებია: "***გულის დოქტრინა***" და "***თვალის დოქტრინა***" (ჩინეთში „თსუნგ-მენ" და „იაუ-მენ"). პირველ მოძღვრებას ასეთი სახელი დაერქვა იმის გამო, რომ იგი ბუდას გულიდან დაიბადა, "თვალის დოქტრინა" კი მისი თავისა და გონების ნაყოფია. "**გულის დოქტრინას**" ასევე ჭეშმარიტების ბეჭედს უწოდებენ ანუ, სხვაგვარად, ჭეშმარიტ ბეჭედს, აი, ამიტომაა, რომ ეს სიმბოლო თითქმის ყველა ბუდისტურ ეზოთერულ რელიგიურ ტექსტში გვხვდება.

66. "ცოდნის ხე" – სახელი, რომელსაც მხოლოდ მისტიური ცოდნის სიმაღლეებს წვდომილ ***ადეპტს*** ანიჭებენ. ***ნაგარჯუნას, მადხიამიკის სკოლის დამაარსებელს***, ერქვა "**დრაკონის ხე**", რადგან დრაკონი სიბრძნისა და ცოდნის სიმბოლოს წარმოადგენს. ხეს იმისათვის ეთაყვანებიან, რომ ბუდდამ ამ ბოდხის (სიბრძნის) ხის ქვეშ მიაღწია მეორედ დაბადებასა და სულიერ გაბრწყინებას, იქვე დაიწყო ქადაგება და იმავე

ხის ქვეშ გარდაიცვალა.

67. "იდუმალი გული" ნიშნავს საიდუმლო დოქტრინას.

68. ალმასის სული, ვაჯრასატვა – სახელი, რომელსაც უზენაეს ბუდას, "***მისტერიათა მეუფეს***" ანიჭებენ. მას ასევე ***ადი-ბუდას*** უწოდებენ.

69.* სატ**, – ერთიანი მარადიული აბსოლუტური რეალობა, სხვა დანარჩენი მხოლოდ ილუზიაა. ***მაია, – ფენომენების სამყარო, გარდამავალ ფორმათა სამყარო.

70. შენ-სიუ (ბოდხიდხარმა), ჩრდილოეთ ჩინეთის მეექვსე პატრიარქი, რომელიც სიბრძნის რელიგიის საიდუმლო დოქტრინას ასწავლიდა, ამტკიცებდა, რომ ადამიანის გონება სარკესავითაა, იგი იზიდავს და აირეკლავს კიდეც მტვრის უმცირეს ატომსაც კი და ამიტომ, გონებას, სარკის მსგავსად, გონივრული მოვლა და სარკესავით გაწმენდა ესაჭიროება.

71. "ჭეშმარიტ ადამიანს" ჩრდილოეთის ბუდისტები რეინკარნაციაში მყოფ უკვდავ სულს უწოდებენ, რომელიც შეუერთდება რა უზენაეს **"მე"**-ს, ბუდა ხდება!

72.“გაბრწყინებული”ნიშნავს ***ბუდას.***

73. ბუდისტური რელიგიური ტექსტების წინსართი ფორმულა, რომელიც იმის მიმანიშნებელია, რომ ყოველივე მისი მომდევნო ცოდნა, თვით ბუდასაგან ან მის მოწაფეთაგანაა მიღებული. არქატების მიერ ზეპირად გადმოცემული ცოდნაა.

74. არქატი – იგივეა, რაც ***ადეპტი,*** ანუ ***მასწავლებელი.***

75. ტირტხიკი, პირიქითა ჰიმალაიას ბრახმანების სექტა, რომლებიც წმინდა ტაძრებში მოგზაურობენ, უმეტესწილად იმ ადგილებში, სადაც წმინდა განბანვის საშუალება იყო.

76. ადამიანის სული მანამ მიიზიდება რეინკარნაციულ ციკლში, სანამ მასში კიდევ არსებობს ძლიერი სურვილი და ვიდრე სურვილი ძლიერია, იგი იწვევს შეცდომებს და ამიტომ, დაშვებული ცოდვების გამო ადამიანის ეგოს, მის მდაბალ, მოკვდავ ბუნებას, მონობაში ჰყავს მისივე უკვდავი სული.

77. დხარმა – ინდური მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ძირითადი იდეა

შეიძლება ითარგმნოს სიტყვებით, – ვალი, ან კანონი; ზოგჯერ „დხარმა“ ნიშნავს უბიწოებას, ზოგჯერ კი – რელიგიას.

78. ბოდდხი, – ჭეშმარიტი ღვთაებრივი ***სიბრძნე.***

79. ადამიანის მეშვიდე უზენაესი პრინციპი.

80. მისტიურ სკოლებში ***სხეულს ჩრდილი*** ეწოდება.

81. ბუდდა.

82. არანიაკა – განდეგილი, რომელიც ჯუნგლებში გაიხიზნა მას შემდეგ, რაც იოგი გახდა.

83. ჩრდილოეთისა და სამხრეთის იოგები უსიტყვოდ თანხმდებიან იმ საკითხში, რომ ბუდდამ, როგორც კი გადაწყვიტა სიცოცხლის პრობლემა და შინაგან გასხივოსნებას მიაღწია, დაუყოვნებლივ მიატოვა მარტოობა და ამა სოფლად ქადაგება დაიწყო.

84. ნირვანა არის მდგომარეობა, რომელიც მოდის მას შემდეგ, რაც ცალკეული, პიროვნული და არასრულყოფილი, შეზღუდული ცხოვრება დაძლეულია, როცა ინდივიდუალური ცნობიერება სამყაროს

ცნობიერებას ერწყმის და პირადი გრძნობები კი სამყაროს სულის გრძნობებს უერთდებიან. მიაღწევს რა ნირვანას, ადამიანი ინდივიდუალობის სრული შენარჩუნებით აცნობიერებს საკუთარ თავს ყველგან და ყველაფერში, ყოველსა და ყველაფერს კი, – საკუთარ თავში. დასავლეთში ნირვანაზე გავრცელებული წარმოდგენებისაგან განსხვავებით, – თითქოს ეს მდგომარეობა საერთოდ გამორიცხავს სიცოცხლეს, – სწორი იქნებოდა, ნირვანისათვის ისეთი ზეპიროვნული ცხოვრების სისავსე დაგვერქვა, რომელიც სამყაროს ცხოვრებას შეუერთდა. ეს სრულყოფილი, ყოვლადმცოდნეობის მდგომარეობა, ქრისტიანმა მისტიკოსმა, – ანგელუს სილეზიუსმა, – ასე გამოხატა: ***“ მე ისეთივე დიდი ვარ, როგორც ღმერთი, იგი ისეთივე პატარაა, როგორც მე... მე თვითონ ვარ მარადიულობა: დროის ზეგავლენისაგან განთავისუფლებული მე ვერწყმი ღმერთს და თავადაც ვიერთებ მას.”***

85. ეზოთერული მოძღვრების თანახმად, ყოველი სულიერი ეგო, სამყაროს სულის

სხივს წარმოადგენს.

86. პიროვნების ***"ჩრდილები,"*** ანუ ცალკეული ფიზიკური განსხეულებანი, რომლებიც გარდაიცვლებიან; "შემცნობი," ანუ გამოცდილებათა შემკრები უკვდავი სული, – ერთი და იგივე სულია ყველა განსხეულებაში და იგი არსებობს მარადიულად.

87. სულიერი განვითარების ამ მაღალი საფეხურების ეზოთერული მოძღვრება ასეთია: როდესაც ადეპტი მთელ გზას გაივლის და მის წინ ნირვანის ნეტარება გადაიშლება, მას შეუძლია მასზე უარის თქმა ადამიანთა მიმართ თანაგრძნობის გამო და ცხოვრებაში, ჩვეულებრივი ადამიანებისაგან შეუმჩნეველად, დარჩენა, რათა ხელი შეუწყოს ადამიანთა სულიერ განვითარებასა და მათ გადარჩენას. ***ადეპტი*** თუ ***არქატი***, რომლებმაც თავი გაწირეს ტანჯული კაცობრიობის მიმართ თანაგრძნობის გამო, ***ბოდხისატვას*** სახელს ატარებენ. ფიზიკური სიკვდილის შემდეგ, ნირვანის ნეტარებაზე უარის თქმის გამო, ***ბოდხისატვა*** ეთერულ სხეულში განაგრძობს სიცოცხლეს, სხეულში, რომელსაც ***ნირმანაკაია*** ჰქვიან და უხილავია

არაგანდობილთათვის, რათა დაეხმაროს ადამიანებს და დაიცვას ისინი. იგივეა –***სამბხოგაკაია***, მხოლოდ მას ***"სამი სრულყოფილების"*** დიდება ემატება, რომელთაგანაც ერთი, მიწიერ საზრუნავთაგან სრული განთავისუფლებაა. დხარმაკაია, – სრულყოფილ ბუდას ეკუთვნის, თუმცა ეს სხეული როდია, არამედ ***იდეალური სუნთქვა***, ცნობიერება, რომელიც სამყაროს ცნობიერებას შეუერთდა. ***დხარმაკაიას*** მდგომარეობა, ბუდას მიწიერ სამყაროსთან ყოველგვარ კავშირს სპობს, ასე რომ ადეპტი, რომელმაც ნირვანის ნეტარების უფლება მოიპოვა, უარს ამბობს მასზე, – მისტიურ ენაზე, – დხარმაკაიას სამოსელზე, რათა საშუალება შეინარჩუნოს კაცობრიობის დასახმარებლად; სამბხოგაკაიასაგან იგი ინარჩუნებს მხოლოდ სრულყოფილ ცოდნას და ნირმანაკაიას მდგომარეობაში რჩება. ეზოთერული სკოლა ასწავლის, რომ გაუტამა ბუდა და ზოგიერთი მისი არქატი დარჩნენ ამ სამყაროში ნირმანაკაიას მდგომარეობაში, რითაც კაცობრიობის სასიკეთოდ თავგანწირვის მაგალითი მოგვცეს.

88. სამოსელმა ***შჰანგნა***მ, რაჯაგრიხის შჰანგნავესუდან მიიღო თავისი სახელწოდება, მესამე დიდი არქატისაგან ანუ პატრიარქისაგან, როგორც ორიენტალისტები ეძახიან 33 არქატის, ბუდიზმის გამავრცელებელ იერარქიას. "სამოსელი შჰანგნა" სიმბოლურად ნიშნავს სიბრძნის ფლობას, რომელსაც პიროვნული საწყისისაგან განთავისუფლება მოაქვს. სიტყვა-სიტყვით „შჰანგნა" ნიშნავს გზაზე შემდგარი განდობილის სამოსელს. ედკინსი შეგვახსენებს, რომ ეს მცენარეული ქსოვილი ჩინეთში ტიბეტიდანაა შეტანილი ტანის დინასტიის მეფობის დროს. ტიბეტური ლეგენდის მსგავსად, ჩინური ლეგენდაც ასე ამბობს: "როცა არქატი იბადება, მასთან ერთდროულად წმინდა ადგილზე ეს მცენარეც იზრდება."

89. პარამიტები: გულმოწყალეობა, სისუფთავე, მოთმინება, ენერგია, ჭვრეტა და სიბრძნე. მღვდელმსახურთათვის, გარდა ექვსი აღნიშნული სათნოებისა, კიდევ აუცილებელია: სწორ საშუალებეთა გამოყენება, მეცნიერება, კეთილშობილი აღთქმები და

მიღებულ გადაწყვეტილებათა ძალა (ეიტელი, ჩინური ბუდიზმი).

90. "ხვალ" ნიშნავს მომავალ დაბადებას.

91. პრასანგიკის სკოლის დარიგებებიდან.

92."დიდი მოგზაურობა" ადამიანის არსებობათა სრული ციკლი ერთ წრეში. ჩვენი მიწიერი რგოლის სრულ ევოლუციურ ციკლად მიჩნეულია შვიდი წრე, თანამედროვე დედამიწა მეოთხე წრეზეა. "ამჟამად" ნიშნავს მიმდინარე ინკარნაციას, "მომავალი" – შემდეგ ინკარნაციას.

93. სიდხი.

94. ტიბეტურ ასტროლოგიაში მზეს ეწოდება ***ნიიმა,*** მარსს – ***ნიგმარ***, მერკურის – **ლჰაგპა**. მარსის სიმბოლოა თვალი, მერკურის – მარჯვენა. გამოსხივება ნიშნავს – აურას.

95. კალპები – ეს ის პერიოდებია, რომლებითაც, ეზოთერული მოძღვრების მიერ, დაყოფილია სამყაროს არსებობა. მახაკალპა, დიდი კალპა, უდრის ბრახმას 100 წელიწადს, ანუ იგი უდრის 311 040 000 000 000 წელს.

96. შროტაპატი, ანუ ნირვანის "ნაკადში შესული" ეწოდება იმ ჩელას, რომელმაც პირველი განდობა მიიღო. ჩელა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აღწევს მიზანს და ამთავრებს მთელს თავის გზას ერთსა და იმავე განსხეულებაში. ჩვეულებრივად კი იგულისხმება, რომ გზაზე შემდგარი ჩელა მხოლოდ მეშვიდე დაბადებაზე აღწევს მიზანს.

97. სიდხი.

98. იგულისხმება ჰიმალაიას პირიქითა, თირთხიკის ბრახმანული სექტა. ტიბეტის ბუდისტთა შორის ისინი არამართებულ სექტად არიან მიჩნეულნი, და პირიქით.

99. ტიბეტი.

100. "უსაზღვრო თვალსაწიერს" ანუ ზებუნებრივ მხედველობას ფლობენ არქატები, და მათზე ცნობილია ის, რომ ისინი ხედავენ და იგებენ ყველაფერს ერთნაირად, როგორც იქვე ადგილზე, ისე ნებისმიერ მანძილზეც.

101. იხილე განმარტება ***87.***

102. "ცოცხალი" – ადამიანის უკვდავი არსი, მისი უზენაესი ***"მე",*** "მკვდარი" –

პირადი პატარა “მე.”

103. იხილე განმარტება ***87.***

104. ნირმანაკაის ცხოვრება – იხილე განმარტება ***87.***

105. “აშკარა გზა” მრევლისათვის, ***“ფარული გზა” საიდუმლო სკოლების მოსწავლეთათვის,*** რომლებიც განდობისათვის ემზადებიან. განდობის დროს განიმარტება “ფარული გზის” შინაარსი. საიდუმლო სკოლაში მოწაფედ მიღების ძირითად წესს წარმოადგენს მკაცრი ზნეობრივი დისციპლინა, პირად ინტერესებზე და მიწიერ კეთილდღეობაზე უარის თქმა, შინაგანი განწმენდა და მტკიცე გადაწყვეტილება, – მიუძღვნა საკუთარი თავი ტანჯული კაცობრიობის მსახურებას.

106. ადამიანი, რომელსაც სულიერად ჯერ არ გამოუღვიძია.

107. იხილე განმარტება ***87.***

108. კალპები, იხილე განმარეტება 95.

109. *პრატიეკა – ბუდას* სახელს ის ბოდხისატვები ატარებენ, რომლებსაც, მთელ რიგ ცხოვრებათა განმავლობაში, დხარმაკაიას სამოსელი სურთ. არ ზრუნავენ

რა კაცობრიობაზე და მხოლოდ საკუთარ ნეტარებაზე ფიქრობენ, ისინი შედიან ნირვანაში და სამუდამოდ იკარგებიან ადამიანებისათვის. ჩრდილო ბუდისტებისათვის **პრატიეკა – *ბუდა*** სულიერი ***ეგოიზმის*** სინონიმია.

110. უპადხიაია –სულიერი მოძღვარი, გურუ. ჩრდილო ბუდისტები ასეთ მოძღვარს სულიერ სიწმინდეს მიღწეულთა, "არჯოი"ს, საიდუმლო სიბრძნეს მატარებელ მასწავლებელთა შორის ირჩევენ.

111. იანა – ეტლი; მახაიანა – დიდი ეტლი, და ქინაიანა, – პატარა ეტლი, ჩრდილო ბუდიზმის ორი რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლების სახელწოდებებია.

112. შრავაკა (შჰრავაკა) – ეზოთერული, ანუ საიდუმლო სკოლების მოწაფეობის პირველი საფეხური; ამ საფეხურზე მოწაფე ისმენს სულიერ სწავლებებს (ფუძედან „შჰრუ"). მეორე საფეხურზე, როდესაც სწავლა თეორიიდან პრაქტიკაზე გადადის, მოსწავლე ხდება ***შრამანა*** (შჰრამანა), მოვარჯიშე (***შჰრამა,–მოქმედება***). ორივე საფეხური

პითაგორელთა სკოლის პირველ ორ კლასს შეესაბამება, სადაც მოსწავლეებს ძველ მისტერიებში, ***აკუსტიკასა*** და ***ასკეტიზმში*** განდობისათვის ამზადებდნენ.

113. დხიანა, სანსკრიტულად, ანუ ***სამტან*** ტიბეტურად, – სულის სულიერ სამყაროთა ობიექტებში ჩაძირვაა ან, რაც იგივეა, მედიტაციის მდგომარეობა. დხიანას ოთხი საფეხური აქვს.

114. პარამიტები, იხილე განმარტება 89.

115. შროტაპატი, "ნაკადში შესული", ანუ ვისაც ნირვანისაკენ მივყევართ. შროტაპატი გზის პირველი საფეხურია. მეორეს ეწოდება ***საკრიდაგამინ,*** ანუ "ვინც კიდევ მხოლოდ ერთხელ დაიბადება". მესამეს ეწოდება **ანაგამინ,** "დაბადებას არ დაქვემდებარებული", რა თქმა უნდა, თუკი თვითონ არ მოისურვებს, რომ გაუნათლებელი კაცობრიობის დახმარების საშუალება დაიტოვოს. გზის მეოთხე, ყველაზე დიდი საფეხური, არქატის საფეხურია. არქატი, უკვე ცხოვრებაშივეა ნაზიარები ნირვანაში სრული სისავსით ცხოვრებას. მისთვის უკვე აღარ არსებობს სიკვდილის შემდგომი

მდგომარეობა; იგი სამადხით, სულიერი ექსტაზითაა ჩანაცვლებული, რომლის დროსაც იგი ნირვანის სრულფასოვან ნეტარებას განიცდის.

116. "ნაპირის მიღწევა", – ჩრდილო ბუდისტებისათვის, ნიშნავს პარამიტების დახმარებით ნირვანის მიღწევას. (იხილე განმარტება 89).

117. კარმა ადამიანის იმ მოქმედებებით აღიძვრება, რომლებითაც სამყაროს ჰარმონია ირღვევა; დარღვეული ჰარმონიის ანუ რაც ერთი და იგივეა, სამართლის აღსადგენად საჭიროა ახალი საქმიანობა. ადამიანი, რომელსაც ახალი კარმის შექმნა არ სურს, არ უნდა არღვევდეს სამართალს, რისთვისაც პირად ცხოვრებაში საჭიროა, როგორც შინაგან ასე გარე განზომილებებში, სიმართლის დაცვა.

118. სატ.

119. დხიანი.

120. სამყაროს სული, ალაია ანუ ატმა, სულიერი ენერგიის ცენტრი, რომლის ყოველი სხივიც ადამიანის სულის უზენაეს არსს წარმოადგენს; აქედან არის ის რწმენაც,

რომ ადამიანს უზენაეს სულთან გაიგივებაც შეუძლია და მასთან შეერთებაც.

121. ანტაკარანა – რგოლი, რომლითაც დაკავშირებულია ადამიანის პიროვნება და მისი უკვდავი სული; შეესაბამება მდაბალ გონებას; ეს უკანასკნელი კი, როგორც გადამცემი ინსტანცია ფიზიკურ სამყაროსა და სულიერს შორის, ისპობა სიკვდილის შემდეგ, და მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ვნებებთანაა დაკავშირებული, ინახება განსაწმენდელში, ასტრალური ფორმის, კამარუპას (ნაჭუჭის) სახით, მის სრულ განადგურებამდე. ამ კამარუპებს შეუძლიათ მედიუმების შეპყრობა და ასეთი გზით მიწიერ სამყაროსთან კონტაქტში შესვლა.

122. ჩრდილო ბუდისტები და ჩინელები დიდ მდინარეთა გუგუნში პოულობენ ბუნების ძირითად ნოტს. როგორც ფიზიკურ მეცნიერებაში, ისე ოკულტიზმში, ფაქტის სახითაა აღიარებული, რომ ბუნების ჯამური ბგერა, რომელიც დიდი მდინარეების, ტყეში ქარისაგან მაღალი ხეების რხევის, დიდი ქალაქების გუგუნში, – შორიდან მოისმინება და გამოირჩევა გარკვეული ნოტი. ამაზე

ერთხმად ლაპარაკობენ ფიზიკოსებიცა და მუსიკოსებიც. მაგალითად, პროფესორი რაისი (ჩჰაინესე უზიც) მიგვანიშნებს, რომ მდინარე ხუანხეს გუგუნი იძლევა ბგერა ***კუნგ***-ს, რომელსაც დიადი ნოტი "***ჰქვიან ჩინურ მუსიკაში***." პროფესორი რაისი ამტკიცებს, რომ ეს ნოტი შეესაბამება ფორტეპიანოს "***ფა***"-ს, "რომელშიც თანამედროვე ფიზიკოსები ბუნების ძირითად ტონს ხედავენ". პროფესორი სილიმანი თავის წიგნში "principls of music" იგივეს მოიხსენიებს და დაასკვნის, რომ "ეს ნოტა ფორტეპიანოს შუა ***ფა***-ს შეესაბამება და იგი ბუნების ძირითად ნოტად უნდა იქნას აღიარებული."

123. ხუთი სულიერი სრულყოფილება, რომლებსაც უნდა ფლობდეს ბოდხისატვა: ***რწმენა, ენერგია, სულის სიფხიზლე, გონების მოკრება, სიბრძნის წვდომა.***

124. "კლდოვანი ბილიკების ბასრი ქვებით" აღინიშნება კარმის მოქმედება, რომელიც გაათმაგებულად ძლიერდება გზაზე, რადგან გზა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ძლიერ დაჩქარებული ევოლუცია,

ანუ წინათ შექმნილი კარმის სწრაფი "***მონელება***", რომელიც ბუნებრივად, – ჩვეულ პირობებში განვითარების შემთხვევაში, – მრავალი დაბადების წლებში გადაიზრდებოდა. ღრმა გულწრფელობა აზროვნებაში, გრძნობებსა და საქციელში სრული სიმართლის დაცვა "ვიწრო გზაზე" სასიარულოდ, აი, რა არის საჭირო, სხვაგვარად ვერ გაძლებ, რადგან სულის ამ ძირითადი კანონის დარღვევა მომენტალურად აისახება მოწაფის ცხოვრებაზედ.

125. დორჯე (პალის ენაზე), ან ვაჯრა (სანსკრიტული სახელწოდებით), – ღვთაებრივ არსებათა (ტიბეტური, – ***დრაგ შედ,*** ღმერთები, ანუ ადამიანთა მფარველი ანგელოზები) ხელში არსებული იარაღია, რომელსაც ისეთივე ოკულტურ ძალას ანიჭებენ ბოროტი ძალების მოსაგერიებლად, როგორ თვისებასაც ავლენს ქიმიაში ოზონი ჰაერის განწმენდის დროს. იმავდროულად ეს ჟესტებიცაა, პოზებიცა და მუდრებიც, რომლებსაც მედიტაციების დროს იყენებენ. მოკლედ, ეს არის მავნე ძალების მიმართ გამოსაყენებელი ძლევამოსილების სიმბო-

ლოები, რომლებიც ვლინდებიან როგორც სხეულის მოძრაობით, ისე სხვა ხერხითაც. ***ბონ, დუგ-პამ*** და "***წითელი ქუდების***" სხვა სექტებმა, რომლებიც ტიბეტის დასავლეთსა და მცირე ტიბეტში ბინადრობენ და ჯადოქრობით არიან განთქმულნი, მიითვისეს ეს სიმბოლო და ბოროტად იყენებენ შავი მაგიის მიზნებისათვის. ***გელუგპა***, ანუ "ყვითელი ქუდები", ამ სიმბოლოს, სულიერი ძალების აღსანიშნავად გამოიყენებენ ისევე, როგორც ჯვარს, – ქრისტიანები, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბონის სექტა მას ჯადოქრობის ნიშნად იყენებს, ისევე, როგორც გადაბრუნებულ ორმაგ სამკუთხედს.

126. "მიზეზი" – ადამიანის კარმის წარმომშობი სურვილი, "მისი შედეგებით შექმნილი ჩრდილები" – კარმის შედეგი.

127. "შემაკავშირებელი რგოლი" – ანტაკარანა, იხილე განმარტება 120. "ეგოიზმის აღმძვრელი გრძნობები" – ახანკარა, პიროვნული გრძნობა, მეობა.

128. ბუდიზმის ეზოთერულ სწავლებებში ეს "რვა უბედურება," სხვაგვარად – ბორკილები, ადამიანის სულს ილუზიასთან

მიაჯაჭვებენ, მაშასადამე, დროებითს, გარდამავალს უკავშირებენ და მათ ეწოდებათ: **ა) *კამარაგა*** – გრძნობებით ტკბობის სურვილი, საკუთარი ვნებების მონობა; **ბ) *პრატიგხა*** –ზიზღი ყოველი იმის მიმართ, რაც ულამაზო ფორმებშია მოთავსებული; **გ) *მანა*** – საკუთარ უმეცრებასა და სიამაყეში ჩაძირვა; **დ) *დიტხი*** – პირადი უკვდავების მიმართ შეცდომა; **ე) – *ვიჩიკიტსა*** სიკეთისა და სიცოცხლის მარადიულობის მიმართ ეჭვები, მატერიალიზმი; **ვ) *ბხავარაგა***. ცათა სასუფეველი, როგორც მიწიერი ცხოვრების გაგრძელების სურვილის შეცდომა; **ზ) *სილაბთაპარამასა*** – გარეგნული რელიგიური კულტის რეალობის მიმართ მცდარი რწმენა; **თ)*ისსა*** – ეს ეგოიზმის, პირადი ანგარების ყოველი ნაირსახეობაა.

129. სამვრიტი – ორიდან ერთ-ერთი ის ჭეშმარიტება, რომელიც ყოველი საგნის არარეალობას მიგვანიშნებს. მახაიანას სკოლა ასწავლის ამ ორ ჭეშმარიტებათა შორის განსხვავებათა გარჩევას, – პარამატხასატია და სამვრიტტისატია (სატია – ჭეშმარიტება). ეს საკითხი განხეთქილების

ვაშლია მადხიამიკებსა და იოგაჩარიას, ორი სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელთა შორის; პირველნი უარჰყოფენ, მეორენი კი ადასტურებენ, რომ ყოველი საგანი არსებობს მხოლოდ მის წინ არსებული მიზეზის გამო. მადხიამიკა, – უარზე მდგარი აღმოსავლეთის ნიჰილიზმია, მათთვის ყველაფერი, – პარაკალპიტაა, სიცრუეა და შეცდომა, როგორც სუბიექტური აზრის სამყაროში, ისე ობიექტურ სამყაროშიც. იოგაჩარია პირიქით, წმინდა სულიერების წარმომადგენლები არიან. სამვრიტი მხოლოდ, როგორც ფარდობითი ჭეშმარიტება, წარმოადგენს ყოველი ილუზიის სათავეს.

130. ლამაინები – ელემენტალები, ადამიანის მტერი ავი სულები.

131. უკვდავი სული, ადამიანის დიდი "***მე***".

132. დხიანამარგა – განათლების წმინდა გზა.

133. ვაჯრასატვა – იხილე განმარტება 68.

***134. ბხაგავადგიტადან*, 6.19.**

135. ამ სიტყვებში იმალება აღმოსა-

ვლეთში გავრცელებული რწმენის შესახებ მინიშნება იმასზედ, რომ ყოველი ახალი ბუდა ან წმინდანი წარმოადგენს წმინდა რაზმის ახალ მებრძოლს, რომელიც კაცობრიობის განთავისუფლებისა და გადარჩენისათვის იბრძვის. ჩრდილოეთის ბუდიზმი ასწავლის, რომ ყოველი ახალი ბოდხისატვა, სხვაგვარად, – საკმარისად განდობილი არქატი, არის კაცობრიობის მხსნელი. ბოდხისატვა ისაა, ვინც უარს ამბობს ნირვანის ნეტარებასა და დხარმაკაიას სამოსელზე, ანუ ის, რომელიც მაღალ წოდებაზე ამბობს უარს, წოდებაზე, რომელიც მას სამუდამოდ ჩამოაცილებდა მოკვდავთა სამყაროს და იგი, ამის გამო, ვეღარ შეძლებდა უხილავი დახმარების გაწევას ტანჯული კაცობრიობისათვის მისდა სამუდამოდ გადასარჩენად. შლაგინტვიტის მიერ მის წიგნში, "ტიბეტის ბუდიზმი" – გაკეთებული განცხადება, რომ ნირმანაკაია ნიშნავს "სხეულს, რომლითაც ბუდები და ბოდხისატვები მოდიან დედამიწაზე, რათა განანათლონ ადამიანები" აბსოლუტურად მცდარია და არაფერს არ

ხსნის.

136. მითითება იმაზე, რომ როდესაც ადამიანის ვნებები და ცოდვები დაძლეულია შრომითა და განდეგილობის ძალისხმევით, ნიშნავს იმას, რომ ასეთი მიღწევა ქმნის ნოყიერ ნიადაგს, რომელშიც წმინდა სათნოების "წმინდა ყლორტები" აღმოცენდებიან. ნავარაუდევია ის, რომ თანდაყოლილი კეთილი თვისებები, ნიჭი და ტალანტი წინა ცხოვრებებშია შეძენილი.

137. იოგის ცხოვრებაში დგება ისეთი ჟამი, როდესაც უზენაესზე მისი კონცენტრაცია აღწევს ისეთ ძალას, რომ ყოველი ფიზიკური შთაბეჭდილება, – იქნება ეს მხედველობა თუ ყურთასმენა, ვეღარ მოქმედებენ მასზე, და აი, მაშინ უზენაეს სამყაროთა უფრო წვრილი ვიბრაციები აღწევენ მის გონებას და იგი იწყებს უზენაეს სამყაროთა მოვლენების მოსმენასაც და ხედვას, რაც ჩვეულებრივი ადამიანისათვის სრულიად მიუწვდომელია.

138. ტიტიკშა, – რაჯა იოგას მეხუთე საფეხური, ყოველი წარმავალის მიმართ სრული გულგრილობა; თუ საჭიროა, ყო-

ველივე ეს, რასაც საყოველთაოდ "სიხარული თუ უბედურება" ეწოდება, მორჩილებითა და სრული სიმშვიდით მიიღე, სიხარულის თუ ტანჯვის მიმართ სრული ფიზიკური, გონებრივი და სულიერი გულგრილობით.

139. ნარჯოი.

140. "დღე" აქ ნიშნავს სრულ მანვანტარას, აღურიცხველი ხანგრძლივობის მქონე წინა პერიოდს.

141. ინდუსების წმინდა მთა, ღვთიურ არსებათა ადგილსამყოფელი.

142. ამიტაბხა – უზენაესი, ანუ "უსასრულო სივრცე" (პარაბრახმა); მის ზეციურ სავანეში ორი ბოდხისატვაა, ***გუან-ში-ინ და ტაშიში***, რომლებიც განუწყვეტლივ ღვრიან სინათლეს სამივე სამყაროს თავზე: სულიერ, ასტრალურ და ფიზიკურ სამყაროს თავზედ, რათა სინათლით (განათლებით) ხელი შეუწყონ იოგების განათლებას, რომლებიც, თავის მხრივ, ადამიანთა გადარჩენას მოემსახურებიან. ამიტაბხას სამფლობელოში მაღალი მდგომარეობა, მათ დედამიწაზე გაწეული სათნოებით აღვსილი კეთილი საქმიანობით დაიმსახურეს მაშინ, როდესაც

თვითონ იყვნენ იოგები, – ასე ამბობს ალეგორია.

143. "დამცავი კედელი" ანუ "მეცნიერთა კედელი." მოძღვრება გვაუწყებს, რომ მრავალ თაობათა იოგების, წმინდანებისა და ადეპტების, განსაკუთრებით კი ნირმანაკაიათა ძალისხმევით შექმნილია ერთგვარი დამცავი კედელი კაცობრიობის ირგვლივ, რომელიც უხილავად იცავს მას უმძიმესი უბედურებებისაგან, ბოროტი ძალების ისეთი მცდელობებისაგან, რომლებიც კაცობრიობის დასაღუპავად არიან მიმართულნი.

144. არიახატა, – სრულყოფილი სათნოების, თავგანწირვის გზა.

145. კლეშა, – ამა სოფლის, მისგან სიხარულისა და სიამოვნებების მიმართ სიყვარული.

146. აქ თანაგრძნობის ქვეშ იგულისხმება სულიერი კანონი, რომლის ბუნებაც, – აბსოლუტური ჰარმონია, – ზიანდება უსიამოვნებებით, ტანჯვით და ცოდვებით.

147. ჩრდილო ბუდისტები ყველა არქატს, ადეპტს თუ წმინდანს, ბუდას ეძახიან.

მოყვანილი ორი სტროფი აღებულია “თჰეგპა ჩჰენპოიდო”-ს მაზაიანას სუტრადან.

148. თავგანწირული – ბოდხისატვა, სულიერი იერარქიით იგი სრულყოფილ ბუდაზე დაბლა დგას, მაგრამ ერთიცა და მეორე სახელებიც ხშირად არეულია. ხალხური წარმოდგენები, რომლებიც ხშირად სწორი ინტუიციით გამოირჩევიან, ბოდხისატვას უფრო ეთაყვანებიან – მისი თავგანწირვის გამო, ვიდრე ბუდას.

149. “თანაგრძნობის ბუდა” ჰქვიან იმ ბოდხისატვებს, რომლებმაც არქატის წოდებას მიაღწიეს, ანუ მათ უკვე განვლეს თავისი თავგანწირვის საიდუმლო გზა და უარს ამბობენ ნირვანის ნეტარებაზე, სხვანაირად რომ ვთქვათ – “უარს ამბობენ დხარმაკაიას სამოსელზეც და იმ ნაპირზე შებიჯებაზეც,” რათა საშუალება არ დაკარგონ, დაეხმარონ კაცობრიობას, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა კარმა. მათ ურჩევნიათ, უხილავი გეგმილიდან ეხმარებოდნენ კაცობრიობას და ხელი შეუწყონ მათ გადარჩენას მათზე სულიერი ზემოქმედებით, რათა სიკეთის კანონს მიჰყვებოდნენ ყველაფერში, ანუ

სიწმინდის გზით იარონ. ეგზოთერული ჩრდილო ბუდიზმი აღიარებს ასეთი დიადი თვისებების მქონე ადამიანებს წმინდანებად და ლოცულობს მათზე, ისევე, როგორც ქრისტიანები ლოცულობენ თავიანთ წმინდანებზე.

150. მიალბა, დედამიწა, ეზოთერულ მოძღვრებებში მას ზოგჯერ ჯოჯოხეთს, დასასჯელ ადგილს ეძახიან. ***ავიჩი*** – მდგომარეობაა და არა ადგილსამყოფელი.

151. ნიშნავს, რომ დაიბადა სამყაროს ახალი მაცხოვარი, რომელიც წაიყვანს კაცობრიობას სასრული გადარჩენისაკენ.

152. ჩვეულებრივი წინსართი, რომელიც აღმოსავლეთის რელიგიურ ტექსტებში წინ ერთვის ყოველ დარიგებას თუ მოწოდებას.



იესოს "მდუმარების ხმის" პირადი გზა ღმერთისაკენ

****

/ამონარიდები რამაჩარაკას წიგნიდან: "იესო ქრისტეს ცხოვრებიდან"/

****

რაც მასწავლებელს ემართება, უწერია მის მიმდევრებსაც, – მაგრამ ყველამ, ვინც კი განვითარების ამ წერტილს მიაღწია, თავად უნდა განიცადოს ეს საშინელი, "მარტოობის" ის გრძნობა, რომელსაც განიცდის იგი იმ ცოდნის უკმარისობის გამო, რაც მას ამა სოფლის წარმავალ ფასეულ ღირებულებათა დასაძლევად ესაჭიროება, ვიდრე ყოველივე ამას მისივე სულიერი წმინდათა წმინდის შინაგანი არსიდან არ გაეცემა პასუხი.

***

იმისათვის, რომ ვეზიაროთ იესოს სულიერი ბრძოლის სიღრმისეულ შინაარსს, რომელიც მას უდაბნოში ელოდებოდა, იმ ბრძოლისა, რომლის დროსაც იგი პირისპირ

დადგა საკუთარი სულის წინაშე, ჩვენ უნდა ჩავწვდეთ ებრაელთა განმანთავისუფლებელი მესიის მოლოდინის წყურვილივით აღვსილ უსაზღვრო სურვილს. მესიის მოსვლის წინასწარმეტყველებანი ისე მტკიცედ დაეუფლა ებრაელ ერს, რომ საკმარისი იყო ერთი ნაპერწკალიც კი, თუნდაც ერთი მეტად გამოჩენილი პიროვნებისაგან, რომ მთელს ისრაელს ამბოხის გიზგიზა ცეცხლი მოედებოდა. ყოველი ებრაელი, ღირსი თავისი სახელისა, გულში ინახავდა სანუკვარ ოცნებას, – დავითის მოდგმის მესიად მოსვლას ისრაელის ტახტზე ებრაელთა მეფედ ასასვლელად.

ისრაელი გმინავდა დამპყრობლებისაგან, იტანჯებოდა უცხოელთა უღელისაგან, მაგრამ განმანთავისუფლებელი მესიის მოსვლისთანავე ყოველი ებრაელი მზად იყო, აღმდგარიყო მათს ერზე გამარჯვებულთა წინააღმდეგ და თავი დაეღწია დამამცირებელი უღლისაგან, რათა იმდროინდელ სამყაროში თავისი, ძველებურად ღირსეული, ადგილი დაებრუნებინათ.

ეს საყოველთაო ეროვნული იმედი საიდუ-

მლო როდი იყო იესოსათვის, პირიქით – ეს მას ბავშვობიდანვე ჰქონდა შთაგონებული და უცხოეთში მოგზაურობის დროს მრავალჯერ უფიქრია ამაზე. მაგრამ ოკულტური წყაროებიდან მოსული გადმოცემებით ცნობილია, რომ იესო არც კი ფიქრობდა თავის თავზე, როგორც მესიაზე, ვიდრე უცხოეთში, სწავლაში გატარებული მრავალი წლების შემდეგ იგი არ დაბრუნდა სამშობლოში. ვარაუდობენ რომ აზრი იმის შესახებ, რომ ხომ არ არის იგი ის მოსალოდნელი მესია, რომელსაც ასე დიდი ხანია ელოდებოდა ებრაელი ერი,–შთაგონებული ჰქონდა მას ესსეელებისაგან მაშინ, როდესაც იესო მათთან, იოანე ნათლისმცემელთან შეხვედრამდე, ისვენებდა. მას მიანიშნეს, რომ უჩვეულო მოვლენები, რომლებიც თან ახლდა მის დაბადებას, იმას მოასწავებდნენ, რომ იმ შესანიშნავ პიროვნებას წარმოადგენდა, რომელსაც მსოფლიო ისტორიაში უდიდესი როლი უნდა შეესრულებინა. აქედან დაიბადა ვარაუდი, რომ ზუსტად იგია მესია, თავისი წინაპრის, დავითის ტახტზე დასამკვიდრებლად და ისრაელის ზეცის,

ებრაელთა წარსული ბრწყინვალებისა და ელვარების დასაბრუნებლად. განა უშინაარსო იყო ისეთი ვარაუდი, რომ მას უნდა წაეყვანა რჩეული ერი სანუკვარი მიზნებისაკენ?

იესო სერიოზულად ფიქრობდა ყოველივე ამის შესახებ. მას არავითარი პიროვნული პატივმოყვარეობა არ აწუხებდა, ამიტომ იგი ცდილობდა, ოკულტური ასკეტის ცხოვრება გაეგრძელებინა. მაგრამ მიუხედავად ყოველგვარი პირადი პატივმოყვარეობის უქონლობისა, აზრი ისრაელის განთავისუფლებისა და მისი აღორძინების შესახებ ყოველი ებრაელის გულში საგმირო ცეცხლოვანებას აღძრავდა.

იგი ყოველთვის გრძნობდა, რომ რაღაცით განსხვავდებოდა სხვებისაგან და რომ მას დიდი ცხოვრებისეული შრომა უნდა შეესრულებინა. თუმცა კი მას არ ესმოდა არც თავისი განსაკუთრებული თვისებები და არც მისგან შესასრულებელი განსაკუთრებული სამსახურის თავისებურებები. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ესსეელთა ვარაუდმა მისი პიროვნების შესახებ, მას ღრმა ფი-

ქრებისაკენ უბიძგა. ამის შემდეგ, სასწაულებრივად გამოჩენილმა მტრედმა და ხმამ, რომელიც ნათლობისას მას ყურში ჩაესმა, თითქოს დაუდასტურეს იესოს მის შესახებ ესსეელთა ვარაუდი. ნუთუ ის მართლაც ისრაელის ესოდენ საოცნებო თავისუფლების მომტანი მესიაა? მას სურდა ამის გაგება, მას, თავისი სულის ყოველი საიდუმლო კუნჭულიდან სურდა პასუხის მიღება. ამიტომ განმარტოვდა იგი უდაბნოში, რამეთუ ინტუიციით გრძნობდა, რომ იქ, უკაცრიელ სივრცეში, იგი დაიწყებს ბრძოლას და მიიღებს პასუხს.

იგი გრძნობდა, რომ დადგა მნიშვნელოვანი პერიოდი თავისი ცხოვრებისეული მისიის აღსრულებისა, როდესაც მას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიეღო პასუხი ასეთ შეკითხვაზე: "ვინა ვარ მე". ამიტომ მიატოვა მან იოანეს აღფრთოვანებული ურდოები და მარტოობის ძიებაში, უდაბნოს მივიწყებულ ადგილებში აღმოჩნდა და იგრძნო, რომ პირისპირ წარსდგებოდა საკუთარი სულის წინაშე და ერთხელ და სამუდამოდ მიიღებდა პასუხს მისგან.

***

და უდაბნოს ყველაზე შორეული კლდეების შუაგულ ნაპრალებში, იესო მრავალი დღის განმავლობაში სულიერად ებრძოდა საკუთარ თავს, ყოველგვარი საკვებისა და თავშესაფრის გარეშე. ეს შემაძრწუნებელი და უშეღავათო ბრძოლა იყო ღირსი ამ უზენაესი სულისათვის. მას ჯერ სხეულის მოთხოვნილებათა დაძლევა დასჭირდა. ამბობენ, რომ მისმა ფიზიკურმა ბრძოლამ მწვერვალს მიაღწია მაშინ, როდესაც ინსტინქტურმა გონებამ, რომელიც ფიზიკურ მოქმედებებს მართავს, უკანასკნელად და საოცრად მკვეთრად მოითხოვა თავისი უფლებები. იგი მთელი ძალით, დაბეჯითებით ითხოვდა პურს. იგი აცდუნებდა მას იმით, რომ თავისი ოკულტური ძალებით ქვები პურებად გარდაექცია საკუთარი ფიზიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, – ანუ ითხოვდა იმ მოქმედებას, რომელსაც გმობს ყოველი ჭეშმარიტი ოკულტისტი თუ მისტიკოსი.

“გარდააქციე ეს ქვები პურებად და შეჭამე”, – ღაღადებდა ხმა მაცდურისა. მაგრამ იესო

არ ცდუნდებოდა, თუმცა კი ძალიან კარგად იცოდა, რომ ჯერ წარმოსახვით წარმოიდგენდა ქვების პურებად გარდაქმნას და შემდეგ თავისი ნების ძალით ფაქტიურად შექმნიდა პურებს. ეს სასწაულქმედების ის თვისებაა, რომლის ძალითაც მან შემდგომში წყალი აქცია ღვინოდ და მრავალი მოშიებული დააპურა ხუთი პურითა და ორი თევზით, ნარჩენებით კი კალათები გაავსეს. რა თქმა უნდა, ამის გამოყენება სარგებლობას მოუტანდა მას უდაბნოში დაპურებისათვის და მარხვის შეწყვეტისათვის.

ვერავინ, გარდა უდიდესი ოკულტისტებისა, რომლებმაც პირადად გამოსცადეს ცდუნებების ძალა, – გამოიყენონ საიდუმლო ნიჭი საკუთარი მოთხივნილებების დასაკმაყოფილებლად, ვერ შეაფასებს იმ შინაგანი ბრძოლის ძალასა და სიმძაფრეს, რომელიც იესომ გადაიტანა და გამარჯვებული გამოვიდა ამ განსაცდელისაგან, და როგორც ჭეშმარიტმა ოკულტურმა მასწავლებელმა, მან მოიკრიბა ყველა თავისი შინაგანი ძალა და განაძევა მაცდური.

***

მაგრამ მას კიდევ უფრო მეტად მძიმე და სერიოზული ცდუნება ელოდა წინ. იგი დაუპირისპირდა მესიისა და ებრაელთა მეფის ორ საპირისპირო აზრს, რომელზედაც უკვე მოგახსენებდით. იყო თუ არა იგი მესია? და თუ იყო, როგორ უნდა ეცხოვრა და ემოქმედა? რომელი ხვედრი უნდა აერჩია: დარჩენილიყო ასკეტი თავისი სიბრძნის ყავარჯნითა და უხეში სამოსელით, თუ სამეფო მეწამულ სამოსელში გამოწყობილიყო და გადაეგდო თავისი ყავარჯენი? საჭირო იყო თუ არა, ერის სულიერ მოძღვრებასა და მის მასწავლებლობაზე უარის თქმა რათა ისრაელის ხალხის მეფე გამხდარიყო? ეს იყო ის კითხვები, რომლებსაც საკუთარ სულს ეკითხებოდა და ითხოვდა პასუხს მისგან.

მისტიური წყაროებიდან ცნობილია, რომ სულმა გასცა მას პასუხი, რისთვისაც ორი სხვადასხვა სულიერი ხილვა შესთავაზა, რომელთაგანაც მას ნებისმიერი არჩევანის გაკეთება დაუტოვა. პირველი ხილვის თანახმად, იგი თავისი სულიერი მისწრაფებებისა და მესიის იდეის ერთგული რჩებოდა,

მხოლოდ, ამ არჩევანის შედეგად იგი "სევდის ადამიანად" გარდაიქმნებოდა. იგი ხედავდა, ძველებურად თუ როგორ განაბნევდა ხალხში ჭეშმარიტების მარცვლებს, რომლებსაც მხოლოდ მრავალი საუკუნის შემდეგ უნდა გაეხარათ, ეყვავილად, ნაყოფი მოეტანათ და მსოფლიო ესაზრდოებინათ, საკუთრივ კი, საზღაურად რისხვა და დევნა უნდა მიეღო ძლიერთა ამაქვეყნისათაგან. და მან თავისი მომდევნო აღსასრულისაკენ მიმავალი გზის ყოველი ნაბიჯი იხილა, რომელთა შედეგად იგი მსჯავრდებული, ეკლის გვირგვინით შემკობილი, ბოროტმოქმედთა მსგავსად ორ მდაბიო დამნაშავეთა გვერდით, სამარცხვინო ჯვარცმას, თავის უმძიმეს ხვედრს ღებულობდა და აუტანელი ტკივილებისაგან ტანჯვით კვდებოდა. ეს ყველაფერი მან იხილა და მისი სრულიად უშიშარი გულიც კი, ამ დამამცირებელი ხვედრისაგან, – თავისი მიწიერი შეუსრულებელი მისიის გამო, აღუწერელი სევდით აივსო. მაგრამ ჰყვებიან, რომ მასთან უზენაესი გეგმილებიდან რამდენიმე მაღალი სული დაეშვა, რომლებიც ამხნევებდნენ მას და იმედსა და სიმტკიცეს

შთააგონებდნენ. იგი ზეციურ სულთა გარემოში მოექცა, ისინი საკუთარი თანადგომით შთაგონებას ანიჭებდნენ მას.

ნელ-ნელა ეს პირველი ხილვა და ყოველი უხილავი უზენაესი სული გაქრა და ეული მეუდაბნოეს თვალწინ მეორე, სულ სხვა სურათი გადაიშალა. მან დაინახა, თუ როგორ ჩამოვიდა იგი მთიდან და განუცხადა საკუთარ ერს, რომ იგი მართლაც მესიაა – მეფე ებრაელთა და მოვიდა მათთან, რათა წარუძღვეს რჩეულ ერს მისი გამარჯვებებისა და თავისუფლებისაკენ.

მან დაინახა, როგორი აღფრთოვანებით მიესალმა და შეეგება ერი ისრაელის ნანატრ განმანთავისუფლებელს და დროშებით გარს როგორ შემოეხვია მას. იხილა, თუ როგორ მიუძღვოდა ძლევამოსილ ჯარს იერუსალიმისაკენ: ხედავდა იმას, თუ როგორ იყენებდა თავის მაღალ ოკულტურ ცოდნას, რომელთა მეშვეობითაც იგი მტრის ყოველ ფეხის ნაბიჯსა და ზრახვას განსაზღვრავდა და ამარცხებდა მათ. მან დაინახა, თუ როგორც სასწაულებრივად აიარაღებდა და კვებავდა ჯარს, როგორ იპყრობდა მტერს

თავისი ოკულტური ძალებით. დაინახა, თუ როგორ დაამხო რომაელთა უღელი, როგორ გარბოდნენ მოწინააღმდეგეს ფალანგები ისრაელის საზღვრებიდან შეშინებულნი და შეძრწუნებულნი. ისიც დაინახა, თუ როგორ ავიდა თავისი წინაპრის, დავითის ტახტზე და როგორ დააარსა სანიმუშო მმართველობა, რითაც ისრაელი ყველაზე მოწინავე სახელმწიფო გახდა. იგი ხედავდა იმას, თუ როგორ ვრცელდებოდა ისრაელის ზეგავლენა ყველა მიმართულებით, როგორ იპყრობდა სპარსეთს, ეგვიპტეს, საბერძნეთსა და თვით რომსაც კი, რომელიც უწინ მათ თავად შიშის ზარსა სცემდა. იგი ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა თავის სატახტო ქალაქს საბრძოლო ეტლით, გამარჯვების დღის საზეიმოდ აღსანიშნავად და საბრძოლო ეტლითვე როგორ მიათრევდა თავად კეისარს, ისრაელის მეფის მონას. იგი ხედავდა, რომ მისი სამეფო კარი სამყაროს ცენტრი ხდებოდა და თვით სოლომონის კარზე უფრო მეტად ბრწყინავდა. იერუსალიმს, – მსოფლიოს სატახტო ქალაქად ხედავდა და თავის თავს, იესოს ნაზარევიდან, დავითის

ძეს, მის მბრძანებელად, გმირად და თითქმის ღმერთკაცადაც კი. მსოფლიოს წარმატებული აპოთეოზით შემკულს ხედავდა როგორც საკუთარ თავს, ასე საყვარელ ისრაელსაც.

ამის შემდეგ დაინახა ტაძარი, რომელიც მსოფლიოს რელიგიური აზროვნების ცენტრი გახდა. მისი დიადი ხელმძღვანელობით, ებრაელთა რელიგია მსოფლიოს რელიგიად გარდაიქცა. საკუთარ თავს ისრაელის რჩეულ მოძღვრად ხედავდა, – მოძღვრად, რომელმაც იუდეას რჩეულ მამათა ყოველი ოცნება განახორციელა, ახალი ისრაელის მესიად ხედავდა საკუთარ თავს, რომლის დედაქალაქიც – იერუსალიმი, მთელი მსოფლიოს დედაქალაქად აქცია.

და ეს ყველაფერი მხოლოდ მის ოკულტურ ძალებზე აღმოცენდა, ძალებზე, რომლებსაც მისი ნება მართავდა. ამბობენ, რომ ამ სურათის ხილვისას მის გარშემო შეიკრიბა მსოფლიოს ყველა აზრის ის უხილავი ტალღა, რომლებიც მოასწრო და გაიაზრა ყოველი საუკუნის ადამიანმა, როგორც ძალაუფლების საკუთარი ნატვრა

ან სიზმარი. აი, ამ ძალაუფლების განდიდების მანიის ღრუბლებში გახვეული იდგა იგი და ამ ნისლის უარყოფითი ვიბრაციები დამთრგუნავად მოქმედებდნენ მასზე. უხორცო სულებმაც ასევე შემოუტიეს მას, სულებმა, რომლებიც სიცოცხლეშივე ეძებდნენ ან ჰპოვეს კიდეც ძალაუფლება და ყოველი მათგანი ცდილობდა, შთაეგონებინა მისთვის ამ ძალაუფლების საკუთარი თავისათვის სურვილი. არასოდეს შეკრებილა შავი ძალების ესოდენ დიდი ურდო, რათა მოკდავის გონებაზე იერიში მიეტანათ. განა რა გასაკვირი იქნებოდა, რომ ისეთი ადამიანიც კი, როგორიც იესო გახლდათ, დაუძლურებულიყო? განა მათ არ აცდუნეს ატლანტიდის ბოლო მეფე, საკუთარ ხალხზე თავდავიწყებით შეყვარებილი, და ამ სიყვარულით ცდუნებული, განა იმათ საკუთარი ხელით არ დააღუპვინეს თავისი იმპერიაც და მთელი ატლანტიდაც?

მაგრამ იგი მაინც არ მიეცა ცდუნებას. მოიკრიბა მთელი თავისი შინაგანი ძალა და განაბნია ბნელეთის ეს ურდოები და თავისი ნების ძალით დავიწყებას მისცა

ცდუნებაც და მაცდურებიც ასეთი, აღშფოთებით აღვსილი შეძახილით: “შენ ჩემი, უფლისა და მოძღვრის ცდუნებასაც კი ბედავ! განვედ ჩემგან, სულო ბნელეთისაო!”



ასე, რომ ცდუნება უდაბნოში არ შესდგა, იესომ მიიღო პასუხი საკუთარი სულისაგან და ჩამოვიდა მთიდან იმ ადამიანებთან, რომლებთანაც უნდა დარჩენილიყო ჯვარ-

ცმამდე მათთან თავისი სამწლიანი მსახურების დროის განმავლობაში. მან ყველაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა ელოდებოდა მას, თავისი პირველი ხილვისაგან.

იესომ არჩევანი გააკეთა, – მან თავისი გზა აირჩია...

საზოგადოება "რერიხი სამყაროს დედა" მიმართავს ყოველ მკითხველს თხოვნით: ჩვენი საგამომცემლო საქმიანობისათვის საჭირო მატერიალური შენაწირის ნებისმიერი თანხა შეგიძლიათ ჩაგვირიცხოთ ანგარიშზე:

a) ანგარიში ლარებში
საბანკო კოდი – TBCBGE 22
GE02 TB71 2733 6512 5000 02

b) ანგარიში დოლარში
GE73 TB71 2733 6612 5000 01

c) ანგარიში ევროში
GE46 TB71 2733 6612 5000 02

გამოიწერეთ ჟურნალი "მედეა"
ჩვენი საიტია:

www.oqrossatmisi.tk

ძიების მარგალიტი

ნ.რერიხი